

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოგრაფიის დეპარტამენტი

რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა

თამუნა ჭაბაშვილი

მსხვილმანქანის ლანდშაფტური დაგეგმარების

მეთოდოლოგია და პრაქტიკა

(სოფ.ბოდბისხევის მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი , პროფესორი

ნოდარ ელიზბარაშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

კვლევის მიზანია შეიქმნას სოფელი ბოდბისხევის მდგრადი ეკოლოგიური განვითარების საფუძვლები, მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების საფუძველზე.

კვლევის მიზანთან კი დაკავშირებულია შემდგომი ამოცანების გადაწყვეტა:

- ✓ შესწავლილ იქნას სოფლის ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი.
- ✓ შესწავლილ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემატიკისადმი.
- ✓ განხორციელდეს სოფ. ბოდბისხევის ლანდშაფტური დაგეგმარება;
- ✓ განხორციელდეს ლანდშაფტური დაგეგმარების შედეგების და რეკომენდაციების აპრობაცია ადგილობროვ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს იმ დარგობრივი რეკომენდაციების შემუშავება, რომლის მიხედვით ჩატარდება ტერიტორიების ზონირება მათი შენარჩუნების, განვითარების და გაუმჯობესების მიზნით. კვლევის მეთოდოლოგიას ასევე მიუკუთვნება ადგილობრივი საზოგადოების აზრის შესწავლა და გათვალისწინება. იგი განხორციელდება სპეციალურად შექმნილი სოციალოგიური კითხვარის (ანკეტის) მეშვეობით. კითხვარი დაიყოფა 6 მიმართულებად, 1. ადგილის შესაბამისობა საცხოვრებლად, 2. ბუნებრივი რესურსები, 3. ეკოლოგიური ცნობიერება, 4. მეურნეობა, 5. მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების დონე, 6. ეკოლოგიური პრობლემები. მოპოვებული ინფორმაცია დამუშავდება და მოხდება მისი ვიზუალიზაცია.

კვლევის შედეგად პირველად:

1. შეიქმნება სოფ. ბოდბისხევის ლანდშაფტური გეგმა.
2. გამოვლენილი იქნება ბუნებრივი და ანთროპოგენული კონფლიქტები.
3. განხორციელდება მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების შეფასება.

PROJECT SUMMARY

Development of the sustainable ecological development principles on the basis of landscape planning and ecological awareness of population for bodbiskhevi village is the main goal of the research.

Solution of the next tasks are related to the research goal:

- ✓ study of natural and social-economical features of the municipality;
- ✓ development of the landscape planning for bodbiskhev village;
- ✓ study the attitude of the local community to the ecological problems;
- ✓ results of the landscape planning and recommendations will be approbating with local community and authorities;

Methodology of the landscape planning will be used during the research with final aim to develop recommendations according which zoning of the study area will be done for conservation, development and improvement. Research methodology involves the study of opinion of local people. For this reason, special social questionnaires will be used. Questionnaires will be divided into 5 parts: 1. natural recourses; 2. socio-economic issues; 3. economy-agriculture; 4. environment protection 5. recreation. According to the main subject of the project environment protection and ecological situation will be highlighted. Questionnaires will be 5 points system and appropriate for different ages of the respondents. Collected data will be analyzed with use of GIS techniques.

After the research:

1. Landscape plan of bodbiskhevi village will be created;
2. Natural and anthropogenic conflicts will be detected;
3. Ecological awareness of the local community will be assessed;

სარჩევი

პირველი თავი. თეორიული დებულებები

- 1.1. ლანდშაფტური დაგეგმარების არსი
- 1.2. ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია
- 1.3 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და ლანდშაფტური დაგეგმარება
- 1.4 დაგეგმარების ისტორია საქართველოსა და კავკასიაში

მეორე თავი . ლანდშაფტური დაგეგმარება, ისტორია , გამოცდილება .

- 2.1 მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური გეგმა (ე.წ. „მწვანე გეგმა“)
- 2.2 მეთოდური საფუძვლები
- 2.3 ურბანული დაგეგმარება
- 2.4 სასოფლო დაგეგმარება

მესამე თავი. საკვლევი ობიექტი, დახასიათება ,ინტეგრირებული და დარგობრივი მიზნების შემუშავება

- 3.1. სოფელი ბოდბისხევი
- 3.2. ზოგადი გეოგრაფიული თავისებურებანი
- 3.3 ბიომრავალფეროვნება
- 3.4. ბოდბისხევის გეოლოგიური აგებულება
- 3.5 ჰიდროგეოლოგიური პირობები
- 3.6 სეისმური პირობები
- 3.7 ინფრასტრუქტურა
- 3.8 მოსახლეობა და მეურნეობა
- 3.9 სოფ. ბოდბისხევის ღირსშესანიშნავი ისტორიულ-კულტურული ძეგლები
- 3.10. ბუნებრივი და ანთროპოგენული კონფლიქტები

3.11. დარგობრივი გეგმარებითი მიზნები

3.12. ინტეგრირებული გეგმარებითი მიზნები

მეოთხე თავი . ლანდშაფტის მომსახურება და ლანდშაფტის მართვა: ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

4.1 სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდოლოგია

4.2 არსებული პრობლემების და საფრთხეების ანალიზი

4.3 მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერება

4.4. სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები

4.5. ლანდშაფტის მართვა და ლანდშაფტის მომსახურება

დასკვნები

თემის აქტუალობა

თანამედროვე გეოგრაფიისათვის დამახასიათებელია არაერთი პროცესი, რაც წარმოადგენს მისი განვითარებისა და გეოგრაფიული მიმართულებების ინტეგრაციის საფუძველს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია გეოგრაფიის ეკოლოგიზაცია, რაც საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების, გარემოს თანამედროვე და პროგნოზული მდგომარეობის, მდგრადი ეკოლოგიური განვითარების, გარემოზე ექსტრემალური ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედების მასშტაბების და ფორმების კვლევას უკავშირდება.

ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიული ანუ ლანდშაფტური დაგეგმარება მდგრადი ეკოლოგიური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი დისციპლინათშორისი პრობლემაა, რომელიც აერთიანებს გეგმის შემმუშავებელ, განმსაზღვრელ და განმახორციელებელ სამეცნიერო-პრაქტიკული პროფილის უწყებებს. მისი არსი საზოგადოების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში, ეკოლოგიური ვითარების სწორად განსაზღვრაში, შეფასებასა და გათვალისწინებაში მდგომარეობს. ლანდშაფტური დაგეგმარების მნიშვნელობა მით უფრო მატულობს, რაც უფრო თვალსაჩინოა ეკოლოგიური მიდგომის დეფიციტი სამეურნეო საქმიანობისას, კერძოდ ბუნებათსარგებლობის დაგეგმარებისას. ამჟამად ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია გამყარებულია ევროპის ლანდშაფტური კონვენციით, რომელსაც საქართველო 2011 წელს მიუერთდა.

ლანდშაფტური დაგეგმარების საფუძველი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზია. მისი მნიშვნელობა კომპლექსურობაში მდგომარეობს. ამგვარი მიდგომის მიხედვით ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემო, მისი შემადგენელი კომპონენტებით (რელიეფი, ჰავა, წყლები, მცენარეული და ცხოველთა სამყარო, ნიადაგები, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება) ერთიანობაში განიხილება. იგი გულისხმობს თითოეული კომპონენტის თანაბარმნიშვნელოვანი სტრუქტურული, ფუნქციონალური და დინამიური ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას.

აღსანიშნავია, რომ ლანდშაფტურ დაგეგმარებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მოსახლეობის დამოკიდებულებას ეკოლოგიური პრობლემატიკისადმი. ამგვარი დამოკიდებულება კი, სოფელი ბოდბისხევის მოსახლეობაში დღემდე არ შესწავლილა.

კვლევის მიზნები და ამოცანები :

კვლევის მიზანია მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია და პრაქტიკის განსაზღვრა სოფ.ბოდბისხევის მაგალითზე.

კვლევის მიზანთან დაკავშირებულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. განსაზღვრულ იქნას მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური დაგეგმარების საფუძვლები;
2. განსაზღვრულ იქნას ლანდშაფტის მართვის თეორიული საფუძვლები;
3. განსაზღვრულ იქნას ლანდშაფტის მომსახურების თეორიული საფუძვლები;
4. შესწავლილ იქნას სოფელ ბოდბისხევის გეოგრაფიული გარემო, მდგრადი ეკოლოგიური განვითარების პრობლემები და მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერება მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური დაგეგმარების (მწვანე გეგმის), ლანდშაფტის მომსახურების და ლანდშაფტის მართვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით.

კვლევის სამეცნიერო მნიშვნელობა უკავშირდება მსხვილმასშტაბიან ლანდშაფტურ დაგეგმარებას, რაც საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა. ასევე პირველად განიხილება ლანდშაფტის მართვის და ლანდშაფტის მომსახურების თეორიული საკითხები, მათი აპრობაცია ადგილობრივი მოსახლეობის (სოფელი ბოდბისხევი) სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება სოფელ ბოდბისხევის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას. გარდა ამისა, კვლევის შედეგად პირველად:

1. შეიქმნება სოფელ ბოდბისხევის ლანდშაფტური გეგმა;
2. გამოვლენილ იქნება ბუნებრივი და ანთროპოგენური კონფლიქტები;
3. განხორციელდება მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების შეფასება;
4. გამოიკვეთება ლანდშაფტის მართვასთან და ლანდშაფტის მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა
5. შედგება მონაცემთა GIS ბაზები

თავი 1

1.1 ლანდშაფტური დაგეგმარება- თეორიული დებულებები

ლანდშაფტური დაგეგმარების არსი

ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიის ანუ ლანდშაფტური დაგეგმარება, მდგრადი ეკოლოგიური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ფართოდ არის ასახული ხელშეკრებულებებსა და თანამშრომლობაში.

ლანდშაფტური დაგეგმარება, თავისი არსით სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის ხელსაყრელი ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით შესაძლებელია:

- ბუნებრივი გარემოს ცალკეული კომპონენტების და კომპლექსების თანამედროვე მდგრადობის, მნიშვნელობის, პოტენციალის, მდგრადობის და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი და სინთეზი.
- ტერიტორიის კომპლექსური შეფასება, რომელიც მოიცავს: მდებარეობას, გამოყენების თანამედროვე ფორმების და პერსპექტივების შეფასებას. მიწათსარგებლობის თანამედროვე სტანდარტების ადაპტაციას ქვეყნის ან კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში.
- ტერიტორიის მართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება, რაც გულისხმობს სამეურნეო და სახელმწიფო უწყებების ეფექტურ და პროდიქტულ თანამშრომლობას.
- ოპტიმალური ბუნებასარგებლობის გადაწყვეტილებების მიღება.
- ტერიტორიის მაღალი საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფა.

ლანდშაფტური დაგეგმარების ევროპული (გერმანია, დიდიბრიტანეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და სხვ.) გამოცდილება გვიჩვენებს რომ, რომ იგი:

1. უშუალო კავშირშია ტერიტორიულ მიწათსარგებლობასთან, რეგიონულ სოციალურ-ეკონომიკურ დაგეგმარებასთან;
2. ითვალისწინებს საზოგადოების ან ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს ლანდშაფტთა სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებისადმი;

3. იძლევა ოპერატიული რეაგირების საშუალებას იმ კონკრეტულ ბუნებათსარგებლობით პრობლემებზე, რომელიც შესაძლებელია გადაისინჯოს დროთა განმავლობაში;
4. უპირველესად გეოეკოლოგიური პროფილისა და ორიენტირებულია სახეობებისა და ბიოტოპების, ლანდშაფტური და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე;
5. ითვალისწინებს რეგიონის ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებებს, რის გამოც ცალკეულ შემთხვევაში გააჩნია არა მხოლოდ ეკოლოგიური მიმართულება, არამედ ლანდშაფტი (პეიზაჟის) ესთეტიკური მდგომარეობის, გაჯანსაღების ან შენარჩუნების ფუნქცია;
6. განიცდის თანდათანობით ინტეგრაციას ევროპის ერთიანსამართლებრივი ბაზის ფარგლებში (ელიზბარაშვილი ნ. გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები, თბ., 2016).

ლანდშაფტური დაგეგმარების არსი რამდენიმე ამოცანას უკავშირდება, რომელთაგან მნიშვნელოვანია: ლანდშაფტების ფუნქციის და თვისებების გამოვლენა და შეფასება. ლანდშაფტის შემადგენელი კომპონენტების- ნიადაგის, წყლების, ჰაერის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ლანდშაფტის იერ-სახის და ესთეტიურ მახასიათებელთა შენარჩუნების და მდგრადი განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. ბუნებრივი პირობების და რესურსების მდგრადი გამოყენების მიზნით რეკომენდაციების შეუშავება.

ლანდშაფტური დაგეგმარების პროცესში პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე საკვანძო მნიშვნელობის კითხვას, კერძოდ:

1. რა არის ფასეული ან მნიშვნელოვანი, რასაც ესაჭიროება დაცვა ან რაც გამოსადეგია ასათვისებლად?
2. როგორია არსებული და მოსალოდნელი ზემოქმედება?
3. რა მოხდება დაგეგმილი მიწათსარგებლობის განხორციელების შემთხვევაში?
4. როგორი უნდა იყოს განვითარებისა და ათვისების მიზნები?
5. რომელი და როგორი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი?

ნიადაგის, წყლის, ჰაერის, ცოცხალი სამყაროს და ლანდშაფტის შესწავლის, შეფასებისა და დაცვის ამოცანათა გადაჭრისათვის აუცილებელია ბუნების კომპონენტების ფუნქციონირებისა და ურთიერთკავშირების შენარჩუნებისათვის გარკვეული წინაპირობების შექმნა. მაგალითად, ნიადაგებთან მიმართებაში საუბარია ნიადაგის გარემოს მარეგულირებელ და პროდუქციის მომცემი ფუნქციის დაცვაზე, მათ უნარზე, შეინარჩუნონ მცენარეული საფარისა და ხცოველთა სამყაროს ეკოლოგიური გარემო ეროზიისა და ანთროპოგენური დაბინძურებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის გზით. განსაკუთრებით ფასეულია მაღალი ნაყოფიერებით და სრულყოფილი სტრუქტურით გამორჩეული ნიადაგები. ნაკლებფასეული კი დაბალნაყოფიერი და დეგრადირებული ნიადაგები, რომელთაც ესაჭიროება აღდგენა

მხედველობაში ასევე მისაღებია კომპლექსური ურთიერთკავშირების დაცვის აუცილებლობა წყლის ბრუნვასა და ნიადაგებს შორის, ანუ საუბარი ეხება მიწისქვეშა წყლების ფორმირების პროცესების დაცვას, მათი ხარისხის შენარჩუნებას, ნიადაგის თვით გამწმენდი და ზედაპირული ჩამონადენის რეგულირების უნარის დაცვას.

ატმოსფერულ ჰაერთან და კლიმატთან მიმართებაში განიხილება ემისისაგან მისი დაცვის უზრუნველყოფა (ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, ხმაურის შემცირება) მწვანე ნარგავების შექმნით და შენარჩუნების გზით, აგრეთვე მიკროკლიმატური მახასიათებლების - ჯანსაღი არელების შექმნისა და დაცვის გზით. ამგვარი არელების მეშვეობით სასურველია განხორციელდეს ზემოქმედება მიმდებარე ტერიტორიების გაჯანსაღების მიზნით.

დაგეგმარების ამოცანათა სპექტრი მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს განვითარების და დაცვის “მიზნით პირდაპირ კავშირშია ლანდშაფტის შემადგენელი ბიოლოგიური კომპონენტის ანალიზთან, ბიოტოპების შენარჩუნებასთან და დაცვასთან, ბიოტოპების ერთიანი ქსელის ფორმირებასთან და სხვ. ბიოტოპების ბირთვი უნდა იყოს რაც შეუძლებელია ფართო, ხოლო სტრუქტურა - ბუნებრივი ან ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებული.

რეგიონულ დონეზე ბიოტოპთა ქსელის ფორმირება არასაკმარისია ბიოლოგიური კომპონენტების ნორმალური სტრუქტურის განვითარებისა და დაცვისთვის. ამისთვის აუცილებელია შეიქმნას ცოცხალი ორგანიზმების ადგილსამყოფელთა ფართო და ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომელიც ჯეროვან დონეზე დააკმაყოფილებს მათ კოლისალურ მოთხოვნებს, ამგვარი სისტემა უნდა განვითარდეს გარკვეული ფართობების, პირველ რიგში კი სასოფლო-სამეურნეო ფართობების გამოყენების ინტესივობის შემცირების ხარჯზე. ქსელის განვითარების კონკრეტულ გზებს

(მიზნებს, მოთხოვნებს, ღონისძიებებს), უზრუნველყოფს ლანდშაფტური დაგეგმარება. დაგეგმარებული ღონისძიებების და მითითებების შესრულება ხორციელდება დამგეგმარებლების, მიწათმოსარგებლების და მიწის მესაკუთრეთა ერთობლივი ძალისხმევით.

როგორც ბუნებრივი გარემო, ისე ლანდშაფტი დიდ როლს თამაშობს ადამიანთა ნორმალური ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფაში. ამიტომ ლანდშაფტური დაგეგმარების იმ მიმართულებების ამოცანებში, რომელიც “ბუნების და ლანდშაფტის ესთეტიკური ხარისხის განვითარებას და შენარჩუნებას “ეხება, მოიაზრება ლანდშაფტის ჰარმონიული იერ-სახის დაცვა და ესთეტიკური დანიშნულების გაუმჯობესება.

ამასთან, საუბარია არამარტო ხელუხლებელი, პირველყოფილი ბუნებრივი გარემოს შესახებ რომელიც ნაკლებად თუ მოიძებნება გერმანიაში, არამედ კულტურული ლანდშაფტის ფორმირებისა და შენარჩუნებაზე (დაცვაზე). იგი მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ბუნების დაცვის და ესთეტიკურ კრიტერიუმებს - მისი შემადგენელი ელემენტების მრავალფეროვნებას, თავისებურებებს და მიმზიდველობას. ამგვარ კრიტერიუმებს შეესაბამება სხვადასხვაგვარი ლანდშაფტი, დაწყებული ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ნაკლებად შეცვლილი ანუ ბუნებრივთან მიახლოებული და დამთავრებული ქალაქებსა თუ სოფლებში სპეციალურად შექმნილი „ თავისუფალისივრცეებით “.

ბუნების მიმზიდველობის და ესთეტიკური გარემოს შეცნობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს არამარტო ამგვარი გარემოს არსებობა ან შენარჩუნება, არამედ ხელმისაწვდომობაც. ამიტომ ლანდშაფტური დაგეგმარება მიზანმიმართულია ისეთი ამოცანების გადაწყვეტაზე, როგორცაა ტერიტორიის გამოყოფა, შენარჩუნება და განვითარება, რაც განკუთვნილია ადამიანთა ეკოლოგიურად საპასუხისმგებლო დასვენებისთვის ანუ რეკრაციულ მეურნეობაზე, რომელიც არ მიაყენებს ბუნებას ზიანს. აქედან გამომდინარე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ადგილობრივი და მოსული მოსახლეობის მოთხოვნა დასვენებაზე. ეს ნიშნავს, რომ იმგვარი რეკრაციული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც დაარღვევს ლანდშაფტის სტრუქტურას, დაუშვებელია.

ლანდშაფტური დაგეგმარება, როგორც იმ ნაწილში, ისე სხვა მიმართულებით, განსაზღვრავს (ადგენს):

1. განსაკუთრებული ესთეტიკური და რეკრაციული ღირებულებებს მქონე არეალებს ;
2. იმ საფრთხეებს , რომლებიც ემუქრება ან შეიძლება და ემუქროს ამ არეალებს (მათ შორის რეკრაციული გამოყენების შემთხვევაში) ;
3. მოსალოდნელი საფრთხის შემცირების ან აღმოფხვრის შესაძლებლობებს ;
4. განვითარების მიზნებს , როგორც დაუსახლებელ , ისე დასახლებულ ტერიტორიებზე;
5. ღონისძიებებს , რომელიც მიმართულია ამგვარი მიზნების მისაღწევად;

აქედან გამომდინარე , ლანდშაფტური დაგეგმარების წინაშე დგას შემდეგი კონკრეტული ამოცანები :

1. აღწერილ და გამოვლენილ იქნას , ბუნების კომპონენტების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე , ბუნებრივი გარემოს მდგრადობის თავისებურებანი , მათზე ანთროპოგენური თუ ექსტრემალური ზემოქმედებისას ; განხორციელდეს ბუნებრივ გარემოში არსებული ურთიერთკავშირების შესწავლა, კერძოდ ნიადაგს , წყლებს , ჰავას, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროს შორის ; ჩატარდეს ტერიტორიის ლანდშაფტური მრავალფეროვნების , ეკოლოგიური თავისებურებების , დინამიური მახასიათებლების და ესთეტიკური ღირებულებების კვლევა .
2. გარემოზე ბუნებათსარგებლობის არსებული დაგეგმარების ფორმების , ასევე როგორც გარემოს გავლენის შესწავლა და პროგნოზირება ადამიანის საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებაზე. ამასთან , ლანდშაფტური დაგეგმარება მიზანმიმართული უნდა იყოს ბუნების შენარჩუნებაზე, უნდა იყოს “ გამჭვირვალე „ და ყოვლისმომცველი.
3. ტერიტორიის განვითარების კონცეფციის შექმნისას უნდა განისაზღვროს გარემოს და კონკრეტული ლანდშაფტის ხარისხის კრიტერიუმები , რომელთა შენარჩუნებისკენ სწრაფვა უზრუნველყოფს ადამიანთათვის ჯანსაღ საცხოვრებელ გარემოს. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ღონისძიებები , რომლებიც უზრუნველყოფს როგორც საერთო გარემოს დაცვით ამოცანათა , ისე დარგობრივი გეგმების და ბუნებათსარგებლობის მითხოვნათა შესრულებას.
4. ლანდშაფტურმა გეგმებმა უნდა წარმოაჩინონ გარემოს ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები , რომლებიც გახდება ორიენტირი ტერიტორიალური განვითარების , მშენებლობის ან სხვა გეგმებისთვის ,

აგრეთვე გარემოზე ზემოქმედების რეგულირებისთვის და პროექტთა ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის .

ლანდშაფტურმა დაგეგმარებამ უნდა განაზოგადოს და სინთეზირება გაუკეთოს ბუნების დაცვით მოთხოვნებს , აგრეთვე ლანდშაფტთა დაცვის ღონისძიებებს და უზრუნველყოს ტერიტორიის სარგებლობისას ამ მოთხოვნებსა და სხვადასხვაგვარ გეგმებს შორის ბალანსი. (ელიზბარაშვილი ნ. გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები, თბ. 2016)

1.2 ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია

ლანდშაფტური დაგეგმარების შედგენა ხორციელდება ხუთი ძირითადი, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელი ეტაპის საფუძველზე :

- I. **ინვეტარიზაცია** - იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც უკავშირდება საკვლევ ტერიტორიის-ბუნებრივ გეოგრაფიულ, სოციალური-ეკონომიკური, ეკოლოგიური, ბუნებრივი გარემოს გამოყენებასთან დაკავშირებული კონფლიქტები.
- II. **შეფასება** - გეგმარებითი ტერიტორიის ბუნებრივი პირობების პოტენციალის შეფასება, მიწათსარგებლობის თავისებურებათა და ტენდეციათა გამოვლენა.
- III. **დარგობრივი მიზნების შემუშავება** - გეგმარებითი ტერიტორიის ბუნებრივი კომპონენტების რესურსული გამოყენების წინადადების შემუშავება.

ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა - გეგმარებითი ტერიტორიის გამოყენების, ქმედებების და ღონისძიებების კონცეფციის შექმნის ეტაპი.

ინვეტარიზაციის ეტაპი

ინვეტარიზაციის ეტაპი მოიცავს ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება ნებისმიერი და მოპოვებადი გეოგრაფიული ინფორმაციის თავმოყრას იმ მიზნით, რათა გამოვლენილ და შეფასებულ იქნას ტერიტორიის ბუნებრივი,

ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, აგრეთვე ის კონფლიქტები, რომლებიც უკავშირდება სისტემას “მოსახლეობა - ბუნებათსარგებლობა“.

ინვეტარიზაციის ეტაპი სრულდება თემატური რუკების შედგენით აგრეთვე იმ პრობლემების და კონფლიქტების წარმოჩენით, რომელიც დამახასიათებელია გეგმარებითი ტერიტორიისთვის. ინვეტარიზაციის უმნიშვნელოვანესი შედეგი ტერიტორიის თანამედროვე მდგომარეობის დადგენაა, რის მიხედვითაც გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი სამეურნეო გამოყენების თავისებურებანი, ფორმები და ზემოქმედების მაშტაბები.

ინვეტარიზაციის ეტაპზე ანალიზდება ბუნებრივი კომპონენტები, რომელთა თანამედროვე მდგომარეობა გათვალისწინებულ უნდა იქნას ტერიტორიის განვითარების მიზნობრივი ფუნქციების განსაზღვრისას. ამგვარი კომპონენტებია: რელიეფი, სახეობები და ბიოტოპები; ჰავა, წყლები.

მთიანი ტერიტორიებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რელიეფთან და ბუნების სხვა კომპონენტებთან დაკავშირებული გეოდინამიური პროცესების ანალიზს. რელიეფის ფორმები და მათი მახასიათებლები უშუალო კავშირშია ტერიტორიის მდგრადობის თავისებურებებთან, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს საერთო ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ ვითარებას. ბუნებრივ გარემოს ელემენტებთან ერთად ანალიზდება სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარება, მიწის გამოყენების თავისებურებანი, საკუთრების ფორმები, მეურნეობის ტრადიციული და თანამედროვე მიმართულებანი.

ამგვარი ინფორმაციის მიღება გარკვეულ წილად შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, რისთვისაც უნდა შეიქმნას სპეციალური კითხვარი. ინვეტარიზაციის ობიექტების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს ან გაიზარდოს ბუნებრივი თავისებურებების და დაგეგმარების მოთხოვნების შესაბამისად. ინფორმაციის მოპოვება ხდება როგორც საველე გამოკვლევების, ისე საფონდო, საუწყებო, საარქივო და სამეცნიერო მასალების ანალიზის მეშვეობით. კარტოგრაფირებისას გამოიყენება დარგობრივი და ტოპოგრაფიული რუკები, აეროფოტოგადაღების შედეგები და კოსმოსური სურათები. ბუნებრივი პირობების ანალიზისას, განსაკუთრებით კი ზემოქმედების ფორმების და მაშტაბების დადგენისას, სასურველია ისეთი ინფორმაციის გამოყენებაც, რომლებიც წარმოდგენილია რაიონული და გეგმარების მასალების და გარემოს დაცვის სქემების

სახით. ინვეტარიზაციის ეტაპის ძირითადი შედეგი ბუნებათმოსარგებლეთა იმ ინტერესების გამოვლენა, რომელიც გახდება საფუძველი პრობლემებისა და კონფლიქტების (ბუნებრივი, ანთროპოგენური, სამართლებრივი) გამოვლენისათვის. (ელიზბარაშვილი ნ. გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები, თბ. 2016)

1.3 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და ლანდშაფტური დაგეგმარება

მდგრადი განვითარების არსი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების და პრობლემატიკის ჰარმონიზაციაშია. მათგან გამსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდგრადი ეკოლოგიური განვითარება. ეკოლოგიური სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიული დაგეგმარებაა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ლანდშაფტური დაგეგმარება წარმოადგენს

ლანდშაფტური დაგეგმარება უშუალო კავშირშია მიწათსარგებლობის და სოციალურ-ეკონომიკურ დაგეგმარებასთან, თუმცა აქ ძირითადად აქცენტი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე, რესურსების მდგრად გამოყენებაზე, რეკრაციაზე და დაცული ტერიტორიების ქსელის ფორმირებზე კეთდება. ლანდშაფტური დაგეგმარების სწორად წარმართვაში უდიდესი როლი ენიჭება გარემოსდაცვით კანონმდებლობას, რომელიც მოიცავს ბუნებრივი კომპონენტების და რესურსების გამოყენების სამართლებრივ საფუძველს.

ჩვენი ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“ და „ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას“. (ელიზბარაშვილი. ლან. დაგეგმარება თბ. 2009)

ლანდშაფტური დაგეგმარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია 1996 წლის საქართველოს კანონი „გარემოსდაცვის შესახებ“, რომელიც ქმნის სამართლებრივ საფუძველს გაერემოსდაცვითი კანონებისა დაკანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებისა და ამოქმედებისათვის. კანონის ძირითადი მიზანია: გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპებისა და ნორმების განსაზღვრა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი და კულტურული გარემოთი სარგებლობის უფლების დაცვა, სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფა, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, თითმყოფადი ლანდშაფტების და ეკოსისტემების დაცვა, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

საქართველო ხასიათდება ნიადაგური პირობების მრავალფეროვნებით, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციებისა და მიმართულებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ლანდშაფტური დაგეგმარებისათვის. 1994 წლის საქართველოს კანონის „ნიადაგის დაცვის შესახებ“ მე-4 მუხლში წარმოდგენილია ნიადაგის დაცვის მიზნით დაწესებული აკრძალვები, ხოლო 2003 წლის საქართველოს კანონის „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ მე-7 მუხლში არის შეზღუდვები და აკრძალვები, რომლებიც გათვალისწინებულია ნებისმიერი საქმიანობისას.

წყლის ფორმირების არეალის გამოვლენა და შეფასება ლანდშაფტური დაგეგმარების მნიშვნელოვანი ასპექტია. წყლის რაციონალური გამოყენება საქართველოს სხვადასხვა კანონების მეშვეობით რეგულირდება, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესა 1997 წლის საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ ,მასში წარმოდგენილია მუხლები : მე-19-წყალდაცვითი ზოლის შესახებ , მე-20 -მდინარის წყალდაცვითი ზოლის შესახებ , 21-ე -სანიტარული დაცვის ზონების შესახებ, 22-ე წყალდაცვით ზოლში მიწის გამოყენების მოთხოვნების შესახებ, 23-ე - წყალდაცვით ზოლში ტყის გამოყენების მოთხოვნების შესახებ , 24-ე -წყლის დაცვა დაცული ტერიტორიების სისტემის მიხედვით.

მნიშვნელოვანია ასევე 2006 წლის საქართველოს კანონი „ საქართველოს ზღვის, წყალსვეტებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, რომელიც ლანდშაფტური დაგეგმარების კუთხით შეიძლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს კანონადაც მივიჩნიოთ. (ნ.ელიზბარაშვილი;ლან.დაგეგმარება,თბ 2009)

ლანდშაფტური დაგეგმარებისას გასათვალისწინებელია წიაღისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები.მისი რეგულირებისთვის

კი არსებობს 1996 წლის საქართველოს კანონი „ წიაღის შესახებ “,რომელიც განსაზღვრავს წიაღის სტატუსს, დაცვის ძირითად მოთხოვნებს და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ლანდშაფტური დაგეგმარებისათვის მნიშვნელოვანი მახასიათებელია კლიმატი და კლიმატური რესურსები, რაც თავის მხრივ მეურნეობის არა ერთ დარგს და ბუნებრივ პროცესს უკავშირდება.მისი გაჯანსაღება შესაძლებელია ემისიის თავიდან აცილების,მწვანე ნარგავების შქმნით და ჯანსაღი გარემოს ფორმირების გზით.ამ მიართულებით მნიშვნელოვანია 1999 წლის საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ”.

ტერიტორიის დაბინძურების ერთ-ერთი წყაროს წარმოადგენს ნარჩენები,პესტიციდები და აგროქიმიკატები,რომელთა არასწორი გამოყენებისა და განთავსების შემთხვევაში შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაღგეს გარემოს. ეს საკითხი რეგულირდება 1998 წლის საქართველოს კანონით „პესტიციდებისა დააგროქიმიკატების შესახებ”,2006 წლის საქართველოს კანონით „ნარჩენების შესახებ”და სხვა კანონებით.ქიმიური და მექანიკური ნარჩენების თავისებურებათა გამოვლენა უმნიშვნელოვანესი საკითხიალანდშაფტურ დაგეგმარებაში,რითაც წარმოჩინდება საზოგადოებისა და ბუნებას შორის კონფლიქტი. ასევე მნიშვნელოვანია 1996 წლის საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ”,რომელიც ველური ფაუნის სახეობების დაცვასთან ერთად უზრუნველყოფს მათი ჰაბიტატების, სამიგრაციო გზების, გამრავლების ადგილების დაცვას და ველური ფაუნის მდგრად გამოყენებას. ამავე სფეროდან აღსანიშნავია არსებული კანონები „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ”, რომლითც განისაზღვრება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის სამართლებრივი საკითხები.

1999 წლის საქართველოს კანონით „საქართველოს ტყის კოდექსი“ რეგულირდება ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები.კოდექსის მიზანს წარმოადგენს ტყის მეურნეობის წარმართვის პრინციპების, ტყეთმოსარგებლეთა უფლებების განსაზღვრა,თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების შენარჩუნება, დაცვა და ჰარმონიული რეგულირება, ტყის რესურსებზე საქართველოს მოსახლეობის დაკმაყოფილება.

როგორც ლანდშაფტური დაგეგმარებისთვის, ისე რეკრაციული მეურნეობის განვითარებისა და ესთეტიკური ღირებულებების მქონე არეალების დაცვისათვის, უმნიშვნელოვანესია 1996 წლის საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების შესახებ”,რომლის მეშვეობითც განისაზღვრება დაცული ტერიტორიების დაარსების,

ფუნქციონირებისა და განვითარების საკითხები, სხვადასხვა კატეგორის დაცული ტერიტორიის ფარგლებში დასაშვები საქმიანობა და სხვ

რეკრაციისა და ტურიზმის ტრადიციული განვითარება უშუალოდ უკავშირდება ბუნებათსარგებლობას. იგი რეგულირდება: 1997 წლის საქართველოს კანონით “ტურიზმისა და კურორტების შესახებ”, ასევე 1998 წლის კანონით “კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ”, მისი მეშვეობით განისაზღვრება მოსახლეობის განსახლება, საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსება, სამეწარმეო საქმიანობა და ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობა, წარმოდგენილია სანიტარული დაცვის ზოგადი წესები, კანონით დადგენილი სანიტარული დაცვის სამი ზონის საზღვრები და მათ ტერიტორიაზე დასაშვები და აკრძალული საქმიანობები.

2007 წლის საქართველოს კანონით “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ”, ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. მისი მეშვეობით რეგულირდება კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა, მისთვის სტატუსის მინიჭება თუ მოხსნა, დაცვისა და მართვის მექანიზმები, საერთაშორისო სამართლით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები და ნორმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის 34-46 მუხლები, რომლებიც ლანდშაფტური დაგეგმარებისას, კულტურული მემკვიდრეობის არსებობის შემთხვევაში, სრულიად უნდა იქნეს გათვალისწინებული. კანონით განსაზღვრულია ძეგლთა დამცავი ზონების რეგულირების საკითხები, ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონები, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის მრქანიზმები და განაშენიანების რეგულირების გეგმები.

ლანდშაფტური დაგეგმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტია 2005 წლის საქართველოს კანონი „ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“. კანონით რეგულირდება, ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სივრცითი მოწყობა, ქალაქთმშენებლობის პროცესები, ინფრასტრუქტურის განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დაცვის მოთხოვნები.

ლანდშაფტური დაგეგმარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ის საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციები, რომლებსაც საქართველო მიერთებულია სხვადასხვა წლებში, ასევე სწორედ ეს გარემოსდაცვითი კანონმდებლობები ქმნიან ლანდშაფტური დაგეგმარების მნიშვნელოვან საფუძველს. (ნ.ელიზბარაშვილი; ლან. დაგეგმარება, 2009)

1.4 დაგეგმარების ისტორია საქართველოსა და კავკასიაში

ლანდშაფტური დაგეგმარების შემოთავაზებული ვერსია წარმოადგენს ამ სფეროში საქართველო-გერმანიის და რუსეთ-გერმანიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გამოცემული პუბლიკაციების და მღწეული შედეგების ძილითად ნაწილს. ანალოგიური პუბლიკაციები , ნაციონალური გამოცდილების მიხედვით , მომზადა აზერბაიჯანში და სომხეთში.მათი შემოკლებული და გაერთიანებული ვერსია გამოიცა ინგლისურ და რისულ ენებზე, რაც ლანდშაფტური დაგეგმარების ერთიანი ეკავსიური მეთოდოლოგიის საფუძვლადაც განიხილება. იგი მთიანი ტერიტორიების ბუნებათსარგებლობით დაინტერესებული ქვეყნებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ინტეგრაციის წინაპირობაცაა.

საქართველოს გარემოსდაცვითი და ბუნებათსარგებლობითი კანონმდებლობის მიხედვით პირველად იქნა შედგენილი აჭარის “ სამართლებრივი კონფლიქტების რუკა”; რითაც თვალსაჩინო გახდა არაერთი საკანონმდებლო და მიწათსარგებლობითი შეუსაბამობა. საქართველოში ლანდშაფტური დაგეგმარების ინსტრუმენტების ფართომაშტაბიანი გამოყენებისთვის სამართლებრივი საფუძვლები დამუშავების პროცესშია. ჭიანურდება “ ევროპის ლანდშაფტურ კონვენციაზე” პროცედურაც. კონვენცის რატიფიცირება ხელს შეუწყობს ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების დანერგვას საქართველოში.

უკანასკნელ წლებში გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური უწყების (BFN), გერმანიის განვითარების ბანკის (KFW), ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს (T J S) ,და ველური ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF), ინიციატივით ხორციელდება არსებული გამოცდილების დანერგვა კავკასიაში, კერძოდ იმ ტერიტორიებზე , რომელთაც გააჩნიათ მაღალი ბუნებრივი და კონსერვაციული ღირებულება. ინტენსიურად მიმდინარეობს ლანდშაფტური დაგეგმარების ინსტრუმენტების გამოყენება ახალი დაცული ტერიტორიების (მათ შორის ბიოსფერული რეზერვატების) ფორმირებისას. ამგვარი თანამშრომლობითა და ინსტრუმენტებით საქართველოში შეიქმნა ჯავახეთ - შირაზის (სააქართველო-სომხეთი) ტრანსსასაზღვრო ეროვნული პარკი და ყაზბეგის ბიოსფერული რეზერვატი.(ნ.ელიზბარაშვილი.ლან.დაგეგმარება თბ.2009)

საქართველოში განხორციელდა რამდენიმე და მეტად მნიშვნელოვანი პროექტები ., რომელიც მდგრადი ლანდშაფტური დაგეგმარებისა და განვითარების საწინდარია . ესენია :

თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა

თუშეთის დაცული ლანდშაფტი წარმოადგენს თუშეთის დაცული ტერიტორიების ნაწილს

(თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალთან და თუშეთის ეროვნულ პარკთან ერთად) და მოიცავს

31,517 ჰა. ის მდებარეობს კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, საქართველო–რუსეთის საზღვრის მიმდებარედ. თუშეთის დაცული ლანდშაფტი საქართველოში ამჟამად არსებული ორი დაცული ლანდშაფტიდან – IUCN V კატეგორიის დაცული ტერიტორიებიდან, ერთ–ერთია. ამასთან, ის ერთადერთია რომლის მართვაც ხორციელდება მუნიციპალიტეტის დონეზე – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ

დაფუძნებული ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ მიერ.

თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს მასში წარმოდგენილი მიზნებითა და მართვის მიდგომებით 2014–2019 წლების

პერიოდისათვის. მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურა ეფუძნება IUCN სახელმძღვანელო დოკუმენტს. ძირითადი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მენეჯმენტის გეგმისათვის მიღებულ იქნა თუშეთის მოსახლეობაგან ინტერვიუებისა და შეხვედრები დროს.

მენეჯმენტის გეგმა შედგება 10 თავისგან. მასში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია (თავი 1), თუშეთის კულტურისა და ბუნების ფასეულობების აღწერა და შეფასება (თავი 2

და 3), არსებული პრობლემები და საფრთხეები (თავი 4), თუშეთის დაცული ლანდშაფტის

ძირითადი მიზნები (თავი 5), ზოგადი ამოცანები და ღონისძიებები (თავი 6), თუშეთის დაცული ლანდშაფტის ზონირება (თავი 7) და გეგმის განხორციელებისათვის მონიტორინგის ინდიკატორები (თავი 8).

ძირითადი მახასიათებლები, რაც განაპირობებს თუშეთის უნიკალურობას და მის კულტურულ და ბუნებრივ ფასეულობებს არის მორფოლოგია (მწვერვალებიანი პეიზაჟები, ქედები, მყინვარული ცირკების და ღრმა ხევების კომბინაცია სწორ ზეგანთან),

ჰარმონიული ლანდშაფტი (მთის პატარა დასახლებების, მინდვრების, სათიბების, ტყისა და საძოვრების მოზაიკა), ისტორიულ–კულტურული მემკვიდრეობა

(ორიგინალური რეგიონი, უნიკალური ტრადიციებითა და არქიტექტურით, თუშეთის

სამოვრების გამოყენების კულტურა, თუშების მჭირდო კავშირი თავიანთ მიწასთან), ბუნებრივი ეკოსისტემების მრავალფეროვნება (ვერტიკალური ზონალობის დიდი სპექტრი, სუბნივალური, ალპური და სუბალპური ჰაბიტატები, სხვადასხვა ტყის ტიპები,

ალუვიური ეკოსისტემები, მოყვავილე მცენარეებით მდიდარი სათიბი მდელოები), სახეობათა დიდი მრავალფეროვნება (ენდემურ მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, იშვიათი ჩლიქოსნები, დიდი მტაცებლები), ადგილობრივი აგრობიომრავალფეროვნება (ენდემური მარცვლოვანი კულტურების მრავალფეროვნება და შინაურ ცხოველთა ჯიშები), დაშორებულობა (რეგიონის რთული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის

მნიშვნელოვანი ფასეულობების და მდგრადი ტურიზმის შენარჩუნებას).

ზემოთ წარმოდგენილ ფასეულობებზე უარყოფით გავლენას ახდენს რიგი საფრთხეები,

განსაკუთრებით გადაჭარბებული ძოვება და თანმდევი მიწის ეროზია, ნარჩენები და ჩამდინარე წყლები, ცუდი ინფრასტრუქტურა, არაკონტროლირებადი ტურიზმი და რეკრეაცია, არალეგალური ჭრა და ნადირობა, არასაკმარისი ურთიერთობა მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, და სხვა. თუმცა, ყველაზე დიდი

საფრთხე დაკავშირებულია თუშეთის ტრადიციული ძოვების კულტურის რღვევასთან. გამოსავალი შეიძლება მოიძიოს სხვადასხვა მიმართულებით წარმართულ

ღონისძიებებს შორის, მათ შორის მაგ.: მთელი წილის განმავლობაში თუშეთში დამრჩენი

ადამიანების რიცხვის გაზრდა და სხვა.

თუშეთის დაცული ლანდშაფტისთვის წარმოდგენილია შემდეგი გრძელვადიანი მიზნები:

- ლანდშაფტის დამახასიათებელი თავისებურების შენარჩუნება კონკრეტული ბუნებრივი, ლანდშაფტური და კულტურული მახასიათებლებით.

- მომიჯნავე დაცული ტერიტორიების - თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და თუშეთის

ეროვნული პარკის ბუნებრივი ფასეულობების დაცვისა და კონსერვაციის ხელშეწყობა.

- იმ ტრადიციული საქმიანობის ხელშეწყობა, რომლებიც ხელს უწყობს დამახასიათებელი ლანდშაფტური თავისებურების შენარჩუნებას, განსაკუთრებით,

სამოვრების მდგრად გამოყენებას.

- ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი საარსებო წყაროსა და მათი ადგილობრივი ტრადიციების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

- ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა.

- „ბუნებისადმი კეთილგანწყობილი“ სპეციალური ქმედებების მომცველი მდგრადი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობის შექმნა (ეკო-ტურიზმი).

- ბუნების კონსერვაციისა და მართვის ჰარმონიზების მიზნით თუშეთის მთელ რეგიონში

სახელმწიფო ადმინისტრაციასა (თუშეთის ეროვნული პარკი და სახელმწიფო ნაკრძალი) და თვითმმართველობის ადმინისტრაციას (თუშეთის დაცული ლანდშაფტი) შორის მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

- გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ადგილობრივი თემების მონაწილეობის და

დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

- ინვენტარიზაციის, მონიტორინგისა და კვლევების ძირითადი ღონისძიებების დაგეგმვა

და განხორციელება.

- ფართო საზოგადოებისთვის ეკო-საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება .

- მენეჯმენტის გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია საკონსერვაციო ამოცანები

და ღონისძიებები. ამოცანები არის სტრატეგიული მიზნების განხორციელებისას

მოსალოდნელი შუალედური ან გრძელვადიანი შედეგები, მაგალითად, თუშეთის

დაცული ლანდშაფტის ფასეულობების დაცვისკენ მიმართული. ისინი აღწერილია

გაზომვად ვადებში და კონკრეტული დროის პერიოდის მითითებით, რომლის

განმავლობაშიც უნდა იქნას მიღწეული ეს შედეგები. ამოცანები დაყოფილია 7

თემატურ თავად, რომლებიც მოიცავს: (1) ტრადიციული მდგრადი მოხმარება, (2)

დასახლებული პუნქტების განვითარება, (3) ტურიზმის ინფრასტრუქტურა, (4)

ბიომრავალფეროვნება, (5) ლანდშაფტი, (6) თუშეთის დაცული ლანდშაფტის

ადმინისტრაცია და (7) სხვა საკითხები. თითოეულ ამოცანას თან ახლავს შესაბამისი

ღონისძიებები, რომლებიც აღწერენ თუ რა უნდა გაკეთდეს და ასევე

განხორციელების ინსტრუმენტები ძირითადი დეტალური ნაბიჯებით. ყველა ამოცანა,

ღონისძიება და

განხორციელების ინსტრუმენტი, პრიორიტეტების, ვადის და პასუხისმგებელი

პირების ჩათვლით, ნათლად არის წარმოდგენილი დანართში 6.

- თუშეთის დაცული ლანდშაფტის ზონირება მხედველობაში იღებს თუშეთის

ნაკრძალისა და ეროვნული პარკის არსებობას მის მიმდებარედ და მიწისა და სხვა

ბუნებრივი რესურსების გამოყენებას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

გამოყოფილია 4 ზონა: (1) დაცვის ზონა – თუშეთის დაცული ლანდშაფტის საერთო ტერიტორიის 13,3%, (2) ტრადიციული გამოყენების ზონა – 86,1%, (3) ისტორიულ-კულტურული ზონა – 3% და (4) მდგრადი განვითარების ზონა – 0,3% (დანართი 8). თითოეული ზონისათვის შემუშავებულია ძირითადი მიზნები და წესები, მაგ., დაშვებული და აკრძალული ქმედებები.

მონიტორინგი და მენეჯმენტის გეგმის გადახედვა საჭიროა მისი სწორად განხორციელებისათვის. ეს ასევე საჭიროა განახლებული მენეჯმენტის გეგმის მომზადებისათვის (რომ გადამოწმდეს არის თუ არა შეთავაზებული ქმედებები ეფექტური).

მიზნებისა და ამოცანების მიღწევის შეფასებისათვის შემოთავაზებულია წლიური ანგარიშების და ინდიკატორების (ამოცანების უმეტესობისათვის) მონიტორინგი, როგორც

კონტროლის სისტემა. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშები შეთანხმებული უნდა იყოს წარმომადგენლობით საბჭოსთან, რომელიც წარმოადგენს პლატფორმას მუნიციპალიტეტს და სახელმწიფო პასუხისმგებელი ორგანი და ადგილობრივ თემებს შორის უკეთესი კომუნიკაციისათვის.

თუშეთის დაცული ლანდშაფტის მიზნები

“დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის (N136–III, 07/03/1996

§ 8) მიხედვით, (1) დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის

მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის; და (2) დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფართო სახმელეთო ტერიტორიას და (ან) აკვატორიას, სადაც თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტები გამოირჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებებით.

თუშეთის დაცული ლანდშაფტის მიზნები, მისი შექმნის შესახებ შესაბამისი კანონის (N 2086-

II, 22/04/2003, 27) მიხედვით შემდეგია:

(1) თუშეთის დაცული ლანდშაფტი იქმნება ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-

კულტურული ლანდშაფტის დაცვის, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების რეკრეაციულ-

ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის.

(2) თუშეთის დაცული ლანდშაფტის შექმნის მიზნებია: (ა) უნიკალური ეკოსისტემების,

ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარება-

დაღუპვისგან დაცვა; (ბ) უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის – ხალხური

ხუროთმოძღვრების ძეგლთა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება; (გ)

მაღალმთიანი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის ფსიქოლოგიურ-

ესთეტიკურ რესურსებზე მზარდი რეკრეაციული მოთხოვნილებების

დასაკმაყოფილებლად საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა (დ) ხალხური შემოქმედების

ტრადიციათა შენარჩუნება და განვითარება.

(3) თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ: (ა) გარემოს,

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა, მოვლა-პატრონობა და აღდგენა; (ბ)

მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა; (გ) თუშეთის ეკოსისტემისა და მის ფარგლებში

გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების in-situ

კონსერვაცია და აღდგენა; (დ) რეკრეაციულ-ტურისტული და საგანმანათლებლო

საქმიანობა; (ე) ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა; (ვ) ტურიზმის

განვითარებისათვის

შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. (თუშეთის დაცული ლანდშაფტის

მენეჯმენტის გეგმა; რ. ჯ. ს. ბიტონი, და ა. ჯ. ჯ. ლინჩი 2012)

მენეჯმენტის გეგმის ზოგადი მიზანი

მენეჯმენტის გეგმა წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც გადაწყვეტილების

მიღების ჩარჩოსთან ერთად აყალიბებს მართვის მიდგომასა და მიზნებს რათა მოხდეს

მისი გამოყენება ადგილზე დროის მოცემულ პერიოდში (ფრინველთა დაცვის სამეფო

საზოგადოების (RSPB) განმარტება, 2009). მენეჯმენტის გეგმა არის ტერიტორიის ფუნქციურ-გეგმარებითი ორგანიზაციისა და ეკონომიკური დაგეგმვის ინტეგრალური, განხორციელებად ღონისძიებებზე ორიენტირებული დოკუმენტი (განმარტება N136–III, 07/03/1996 კანონის მიხედვით), რომელიც მზადდება არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების უმთავრესი მიზნების განხორციელებისათვის. მენეჯმენტის გეგმის მთავარი მიზანია ნებისმიერი დაცული ტერიტორიისთვის განსაზღვროს გრძელვადიანი ამოცანები, რომლებიც უნდა განახორციელოს პასუხისმგებელმა ორგანომ გეგმით განსაზღვრულ პერიოდში კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით და გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისათვის ინდიკატორების შემუშავებით. (თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა; რ. ჯ. ს. ბიტონი, და ა. ჯ. ჯ. ლინჩი 2012)

ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

ქ. ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პორტი და ნავთობტერმინალია. ქალაქის ტერიტორიის მომავალი მრავალფუნქციური განვითარებისთვის დამუშავდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც მოიცავს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებსა და პერსპექტიული განვითარების სტრატეგიულ ხედვას. მიწათსარგებლობის გეგმა განსაზღვრავს ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი ზონირების სახეობებს და ადგენს ამ ზონების საზღვრებს ფუნქციური დანიშნულების, ტერიტორიულ-სტრუქტურული მახასიათებლების, გეგმარებითი შეზღუდვების და ქალაქმშენებლობითი ღირებულებების მიხედვით.

2007 წელს "გეოგრაფიკა „ ფრანგული კომპანია FIT Conseil- თან ერთად ჩაატარა აეროგადაღება საქართველოს ტერიტორიაზე . უახლესი აეროგადაღების მასალები საველე ტოპო-გეოდეზიურ და საკადასტრო მონაცემებთან ერთად გამოყენებულ იქნა არსებული ტოპო-გეოდეზიური და საფუძვლის გასაახლებლად და დასაზუსტებლად, ხოლო სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებზე დაყრდნობით შეიქმნა სრულყოფილი და განახლებადი გეომონაცემთა ბაზები, რომლებიც აერთიანებს ინფორმაციას ქალაქის სოციალური და კულტურული ინფრასტრუქტურის ობიექტების და მათი ადგილმდებარეობის შესახებ, სამისამართო ინფორმაციის ჩათვლით, ქალაქის სატრანსპორტო და საინჟინრო ქსელების სქემებს, გარემოს

დაცვის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებს , ახალი მშენებლობის და რეკონსტრუქციის ზონებს და ა. შ.

მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მოხდა ქ. ბათუმის საზღვრის იდენტიფიცირება და დაზუსტება , ქალაქის ტერიტორიის ზოგადი და კონკრეტული ფუნქციური ზონირება , პირველი რიგის და გადადებული ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების დაგეგმვა.(პროექტი,ქ.ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა”დამკვეთი ქალაქ ბათუმისმერია,თბილისი2008)

მთაწმინდის ”ზედა უბნის“ რეკონდტრუქცია მთაწმინდის უბანი ქ. თბილისში ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც დაიწყო ქალაქის ინტენსიური ზრდა ევროპული, კლასიციტური ქალაქგეგმარების საფუძვლებზე. "ზედა უბანი" განვითარდა მთაწმინდის კალთებზე რთული რელიეფის პირობებში. უბნის განაშენიანების რეკონსტრუქცია არასდროს ჩატარებულა და შენობების უმრავლესობა ძლიერ ამორტიზირებულია.

"გეოგრაფიკის" მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება ითვალისწინებს განაშენიანების რეკონსტრუქციას: ქუჩათა ქსელის ნაწილობრივ ცვლილებას, ავარიული შენობების (გარდა არქიტექტურული ძეგლებისა) დანგრევას, არსებული საშუალო სართულიანობის ზრდას 2,3-დან 3,5-მდე. მკვეთარად მოიმატებს ავტოსადგომების რაოდენობა და კეთილმოწყობილი ტერიტორიები. სავარაუდოდ გაიზრდება მოსახლეობის რაოდენობაც, დაახლოებით 25%-ით.

ზოგადად კი შენარჩუნებული იქნება უბნის სტრუქტურა, მორფოლოგია, ღირებული ხედები, პანორამები და ტრადიციული არქიტექტურულ მხატვრული იერსახე.(დამკვეთი „მპს“ მთაწმინდის რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი,2008)

ბორჯომის	მუნიციპალიტეტის	სივრცითი	მოწყობა
ბორჯომის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის პერსპექტიულ ათვისებასა და განვითარებას დემოგრაფიული, ეკონომიკური, ტურისტული, გარემოსდაცვითი, კულტურული მემკვიდრეობის, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო ქსელების და სხვ. მიმართულებით. სივრცითი მოწყობის გეგმის შედგენისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვრცელი გეომონაცემთა ბაზების შექმნას და სხვადასხვა სახის ინფორმაციის თავმოყრასა და			

სისტემატიზაციას.

შეიქმნა ბორჯომის რაიონის ბუნებრივ-ლანდშაფტური რუკა, რომელზეც გამოყოფილია რაიონის მნიშვნელოვანი ბუნებრივი კომპლექსები: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ნემვისა და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილების დაცული ტერიტორიები.

ბორჯომის რაიონის სივრცით სტრუქტურაში გამოკვეთილია ცენტრი - კურორტი ბორჯომი და რამდენიმე ადგილობრივი ქვეცენტრი. საქართველოს მთავრობის დადგენილებით ბორჯომის რაიონში გამოყოფილია კურორტები, მათი სარეკრეაციო არეალები და დაცული ზონები, რაც აისახა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორიების რუკაზე. (დამკვეთი ბორჯომის მუნიციპალიტეტი, 2008წ)

დაბა ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

დაბა ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორიის სოფლების (ციხისჯვარი, მიტარბი, პატარა მიტარბი, თორი) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა წარმოადგენს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების დოკუმენტს არსებული მდგომარეობისა და პერსპექტიული განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე.

დიდი მიტარბის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული კურორტ ბაკურიანის სპორტულ ინფრასტრუქტურასთან, ვინაიდან დიდი მიტარბის სამთო-სათხილამურო ტრასა უშუალოდ უკავშირდება "კოხტა გორის" სპორტულ კომპლექსს. სოფლის ტერიტორიისთვის გამოყოფილია საცხოვრებელი და სამრეწველო, სპორტული და სარეკრეაციო ზონები, მათი ზუსტი საზღვრები, დაგეგმილი და მოწესრიგებულია ქუჩათა ქსელი, გამოყოფილია საზოგადოებრივი ცენტრის ქვეზონა.

სოფელი ციხისჯვარის სიტუაციური გეგმა შემუშავდა იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომ მის მახლობლად მდებარე მთა კოდანის მიდამოებში არსებობს სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. (დამკვეთი საქალთველოს მთავრობა 2007-2008 წწ. გეოგრაფიკი, ქალაქთგეგმარება და ურბანული განვითარება)

კურორტ აბასთუმანის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია

საქართველოს უძველესი კურორტის, აბასთუმანის მიწათსარგებლობის გეგმის შედგენისას სავსე პირობებში კვლევის და საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა კურორტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესები, ფუნქციური ზონების შემადგენლობა, სტრუქტურული წყობა და განვითარების სივრცითი მიმართულებები.

კურორტის განაშენიანების რეგულირების გეგმა მოიცავს როგორც განაშენიანების რეგულირების კონკრეტული პარამეტრების, ასევე ყველა სახის საინჟინრო ქსელების განლაგებისა და სიმძლავრეების დადგენას ადგილობრივი პირობებისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

აბასთუმანის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ფარგლებში დადგინდა ეროვნული მნიშვნელობის და სხვა ძეგლების ნუსხა, გამოიყო ისტორიული განაშენიანების, განაშენიანების რეგულირების და ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონები საზღვრების და დაცვის რეჟიმის აღწერით. გეომონაცემთა ბაზაში გაერთიანდა გრაფიკული და ატრიბუტული ინფორმაცია კურორტის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. (დამკვეთის საქალთველის მთავრობა 2007-2008წწ.ქალაქთგეგმარება დაურბანული დაგეგმარება

დასკვნა: ლანდშაფური დაგეგმარების არსი და მეთოდოლოგია მოიცავს , ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარებას, რაც მოგეხსენებათ ევროპის წამყვანი ქვეყნები ითვალისწინებენ ლანდშაფტურ დაგეგმარების პრინციპებს და მკაფიოდ განსაზღვრავენ განვითარების დონეს. საქართველოც საერთაშორისო ფონზე განვითარებადი სახელმწიფოა, რომელსაც მკაფიოდ აქვს შემუშავებული გარემოს დაცვითი კანონმდებლობა , თუმცა მდგრადი ეკოლოგიურად ორიენტირებული ანუ ლანდშაფტური დაგეგმარების თეორიული და პრაქტიკული მონაცემები ახლად ისახება და ვითარდება, რაც მოგეხსენებათ საწინდარია ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ბალანსისთვის.

მეორე თავი. ლანდშაფტური დაგეგმერება და ისტორია

2.1 მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური გეგმა (ე.წ. „მწვანე გეგმა“)

ადგილობრივი ხელისუფლების უმრავლესობას გამოცემული აქვს სპეციალური სამართლებრივი მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შედგეს ლანდშაფტური გეგმა. იგი უნდა იყოს **ყოვლისმომცველი** ანუ უნდა „ფარავდეს“ როგორც დასახლებულ, ისე მათ მიმდებარე დაუსახლებელ ტერიტორიებს. ღონისძიებებს, რომლებიც გაწერილია ლანდშაფტური გეგმებით, უნდა გააჩნდეთ დროში გაწერილი პრიორიტეტები, უნდა იქნენ მიმართული კონკრეტული შემსრულებლისკენ და ჰქონდეთ მითითებული მათი განხორციელების ხერხები. ლანდშაფტური გეგმის მომზადების ფაზა უნდა გრძელდებოდეს **არანაკლებ წლინახევრის** განმავლობაში, რათა ლანდშაფტის კომპონენტების, განსაკუთრებით მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს აღწერისას, მოიცვას მთლიანი წლიური ციკლი.

ლანდშაფტური გეგმის ჩარჩო პირობები მოიცავს (აღწერს) მის ძირითად წინაპირობებს, აქტუალობას და ძირითად მიზნებს. სრულყოფილი ან ნაწილობრივი ლანდშაფტური გეგმის **განმეორებით ჩატარების აუცილებლობა** შეიძლება განპირობებული იქნას შემდეგ ვითარებაში:

1. ტერიტორიული განვითარების **კონცეფციის კორექტირებისას**. იგი უკავშირდება:
 - იმ ახალი საკანონმდებლო ან ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ლანდშაფტური გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ტერიტორიის განვითარების კონცეფციას;
 - ტერიტორიის განვითარების კონცეფციის შეუსაბამობას რეალურ ცვლილებებთან, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, ან იმ შემთხვევას, როცა მიღწეულია განვითარების ძირითადი მიზნები.
2. ახალი **პრიორიტეტული კომპონენტების** გამოვლენისას, რომელთა შენარჩუნება (დაცვა) უზრუნველყოფს ტერიტორიის განვითარების ძირითადი მიზნების რეალიზაციას,
3. მიზნობრივი ზონების **საზღვრების გადახედვას**, მაგალითად, მაშინ როცა:
 - აღინიშნა ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების მდგომარეობის გაუმჯობესება და უკვე შესაძლებელია „გაუმჯობესების“ ზონის შემცირება;

- ამოიწურა მეცხოველეობის საკვები ბაზა და მისი სამომავლო ექსტენსიური განვითარება არარენტაბელურია;
- სოფლის მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების მოთხოვნას კვების იმ პროდუქტებით, რომელიც იწარმოებოდა ამ ტერიტორიაზე.

4. ცალკეული ზონების კონცეფციის გადახედვისას, მაშინ როცა:

- შემოღებულ იქნება ბუნებათსარგებლობის ახალი შეზღუდვები და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი ნორმატივები.
- გართულდა ის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება რეგლამენტირებულ ბუნებათსარგებლობას.

5. ქმედებების და ღონისძიებების მიმართულებათა კორექტირების ან დაზუსტებისას, მაშინ როცა:

- არ სრულდება ან ვერ უზრუნველყოფს განვითარების მიზნობრივი კონცეფციის რეალიზაციას ცალკეული კომპონენტისთვის განსაზღვრული გარმოსდაცვითი რეკომენდაციები;
- დეგრადირებული ბუნებრივი ლანდშაფტის თვითაღდგენა ხორციელდება არასაკმარისი ინტენსივობით ან არასასურველი მიმართულებით.

განმეორებითი დაგეგმარება შედეგიანად ითვლება იმ შემთხვევაში, როცა რეალიზებული იქნება წინმსწრები გეგმის ის მიზნები, რომლებიც განსაზღვრავს ტერიტორიის განვითარების ძირითად მიმართულებებს.

ლანდშაფტური გეგმა ჩვეულებრივ რეკომენდებულია დამუშავდეს იმ ტერიტორიისთვის, რომელსაც მოიცავს თვითმმართველობა ან მუნიციპალიტეტი (დასახლება, სოფელი) ან ბუნებრივად მნიშვნელოვან ობიექტებს და ლანდშაფტებს (ალკვეთილი, ნაკრძალი, ეროვნული პარკი და სხვ.) (ნ.ელიზბარაშვილი, ლან, დაგეგმარება 2009წ)

მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური გეგმის მიზნები, საშუალომასშტაბიანი ლანდშაფტური (ჩარჩო) გეგმისგან განსხვავებით, ორიენტირებულია არა ტერიტორიის განვითარების ზოგად პრობლემებზე, არამედ იმ კონკრეტული და პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტაზე, რომლებიც განსაზღვრულია ზედა საფეხურის დაგეგმარების გარემოსდაცვითი მოთხოვნებით.

მსხვილმასშტაბიანი დაგეგმარებისას ტერიტორიის საზღვრებად რეკომენდირებულია გამოიყენებულ იქნეს ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები. ამგვარი მიდგომა არ გამორიცხავს ორიენტაციას ბუნებრივ ან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზღვრებზე იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმარების მიზნების

რეალიზაცია უფრო ეფექტური იქნება ამ საზღვრებში. ნებისმიერ შემთხვევაში დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრებში სასურველია წარმოდგენილ იქნას სამეურნეო კავშირურთიერთობების სრულყოფილი კომპლექსი, ინფრასტრუქტურა (გზები, კომუნიკაციები), სოციალური დაწესებულებები, საწარმოები, რეკრეაციული ობიექტები და დასვენების ზონები, ბუნების ობიექტები და სხვ. ამიტომ, მსხვილმასშტაბიანი დაგეგმარების ძირითადი მიზნის განსაზღვრის შემდეგ, ძალზე მნიშვნელოვანია გეგმარებითი ტერიტორიის საზღვრების დადგენა კონკრეტული პრინციპების წარმოჩენით.

მსხვილმასშტაბიანი დაგეგმარების ტერიტორიის საზღვრების დადგენის შემდეგ, რეკომენდირებულია შედგეს გეგმარებით ტერიტორიის **პრობლემათა ჩამონათვალი** და მათი რეალიზაციის მიზნების სქემა. მათი იერარქია განისაზღვრება ტერიტორიის ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პირობებით. მაგალითად, დაცული ტერიტორიებისთვის უპირატესად განისაზღვრება ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა უკავშირდება არა მხოლოდ ბუნებისდაცვით, არამედ ეკონომიკურ და სხვა სახის ღონისძიებებსაც. სასოფლო-სამეურნეო სავარგულეების შემთხვევაში გაითვალისწინება მდგრადი განვითარების პრინციპები, რაც უზრუნველყოფს მისი ბუნებრივი პოტენციალის კვლავწარმოებას და ხანგრძლივ გამოყენებას.

მსხვილმასშტაბიანი დაგეგმარებისას ტერიტორიული განვითარების **ფორმულირებული მიზნები** მიიღწევა განსაზღვრული ქმედებების და ღონისძიებების მეშვეობით, რისთვისაც რეკომენდებულია ტერიტორიის დიფერენციაცია ღონისძიებების ტიპების მიხედვით. საშუალო მასშტაბისაგან განსხვავებით, აქ ნაჩვენებია არა ღონისძიებების ტიპები, არამედ თვით კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება გეგმარებით ტერიტორიას და არსებულ საკანონმდებლო ბაზას (მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით). აქ შეიძლება გამოიყოს ისეთი ღონისძიებები, რაც მიმართული იქნება:

- ტერიტორიის, განვითარების კონცეფციის რეალიზებაზე;
- ტერიტორიის თანამედროვე მდგომარეობის შენარჩუნებაზე;
- არსებული თუ გეგმარებითი გამოყენების შენარჩუნებაზე;
- ბუნებრივი კომპონენტების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე;
- სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებაზე.

დაგეგმარების შედეგებისთვის განმსაზღვრელ როლს ასევე თამაშობს ხელსაყრელი **ადგილობრივი წინაპირობები**. ამიტომ, ვიდრე შეირჩევა დაგეგმარების ობიექტი, რეკომენდირებულია წინასწარ გაირკვეს:

- როგორია ან რას უკავშირდება ადგილობრივი ბუნებათსარგებლობითი პრობლემები და კონფლიქტები;
- რომელი გეგმარებითი ამოცანები შეიძლება გადაიჭრას პროექტის განხორციელებისას;
- ვინ არის შემკვეთი ან ინვესტორი, რაში მდგომარეობს მათი დაინტერესება;
- არის თუ არა შესაძლებლობა (განწყობა) დაგეგმარების შედეგების პრაქტიკული რეალიზაციისთვის და მოსახლეობის ჩართულობისთვის;
- როგორია საბაზისო ინფორმაცია და მისი ხელმისაწვდომობა გეგმარებითი ტერიტორიის შესახებ, აგრეთვე კარტოგრაფიული მასალის სახეები და წყაროები;
- არსებობენ თუ არა ის ადგილობრივი სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციები ან სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროექტის განხორციელებაში;
- როგორი შეიძლება იყოს იმ სამუშაოთა და ინფორმაციის მოცულობა, რომელიც ასაღებია დამატებით;
- რა ვადებში მოხერხდება პროექტის რეალიზაცია.

ლანდშაფტური დაგეგმარების ძირითადი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინათშორის სპეციალისტთა კარგად დაგეგმილი (გაწერილი) საქმიანობის შედეგად, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობის (ურთიერთობის) მეშვეობით.

ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შემდეგი სპეციალისტების მონაწილეობა: პერსონალის მენეჯერი, ბუღალტერი, ეკონომისტი, იურისტი, ლანდშაფტმცოდნე-ეკოლოგი, ჰიდროლოგი, ბოტანიკოსი, ზოოლოგი, ნიადაგმცოდნე, სპეციალისტი ლანდშაფტურ დაგეგმარებაში და პროექტირებაში, კარტოგრაფი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, სატყეო, სოფლის და კომუნალური მეურნეობის მენეჯერი, ტურიზმის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და განათლების სპეციალისტი.

მსხვილ მასშტაბიანი ლანდშაფტური დაგეგმარებისთვის აუცილებელ სამუშაოთა პროგრამა და შინაარსი, რომელსაც სასურველია მიეცეს მკაცრად განსაზღვრული პროექტის ფორმა, უნდა მომზადდეს და დამტკიცდეს შესაბამის დონეზე. ამგვარი ამოცანის გადასაწყვეტად მოწვეულ უნდა იქნეს ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი.

რეკომენდებულია პროექტის მომზადების შემდეგი ეტაპების გავლა:

- ექსპერტთა ჯგუფის ფორმირება პროექტის დასაბუთებისთვის და შესაბამისი განაცხადის გაკეთება; ადგილზე კონსულტაციების ჩატარება, ინფორმაციის შეკრება,

საჭირო რესურსების წინასწარი შეფასება, მატერიალური და ფინანსური ხარჯების გაანგარიშება;

- სპეციალური სემინარების და საზოგადოებრივი მოსმენების ორგანიზება, პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპის შესახებ თათბირების მოწყობა; პროექტის დეტალური პროგრამის შედგენა (სხვა, თემატურად ახლოს მყოფი პროექტებთან კოორდინაციის ჩათვლით) და მისი საორგანიზაციო სტრუქტურის განსაზღვრა; პროექტის ხარჯთაღრიცხვის მომზადება და დამტკიცება.(ნ.ელიზბარაშვილი,ლან.დაგეგმარება2009წ)

საზოგადოების აქტიური მონაწილეობა ლანდშაფტური გეგმის ძირითადი მიზნების რეალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა. ლანდშაფტური დაგეგმარების საწყის ეტაპზე სასურველია მიღწეულ იქნას მონაწილეთა სრულყოფილი და გააზრებული დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის როლზე ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საქმეში. აუცილებელია თვალნათლივ იქნეს გააზრებული, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე ეკოლოგიურად ორიენტირებული ბუნებათსარგებლობის რეალიზაცია შეუძლებელია.

ამგვარი მხარდაჭერის მიღება შესაძლებელია თუ:

- ამაღლება მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების დონე;
- ვუჩვენებთ და დავუსაბუთებთ ადგილობრივ მოსახლეობას ეკოლოგიურად მდგრადი ბუნებათსარგებლობის სიკეთეს, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების აუცილებლობას;
- დემონსტრირებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობისთვის იმის შესაძლებლობა, თუ როგორ გაითვალისწინებენ ადმინისტრაციული ორგანოები მათ ეკოლოგიურ ინტერესებს და როგორ შეუძლიათ მათ გავლენა იქონიონ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ადგილობრივ მოსახლეობასთან საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ორიენტირებული არიან ეკოლოგიურ პრობლემატიკაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამგვარ საქმიანობაში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლებიც იზიარებენ ლანდშაფტური გეგმის მიზნებს და მათი მიღწევის მეთოდებს.

ეკოლოგიური განათლების და აღზრდის სფეროში ლანდშაფტური გეგმის რეალიზაცია ითვალისწინებს:

- მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების და აღზრდის პროგრამის შემუშავებას;

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეკოლოგიური განათლების და დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავებას;
- საზოგადოებრივი ეკოლოგიური საინფორმაციო ცენტრის შექმნას.

ეკოლოგიური განათლების და აღზრდის სფეროში და შესაბამისი პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ეკოლოგიის წამყვანმა (ცნობილმა) სპეციალისტებმა, პედაგოგებმა და ფსიქოლოგებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ეკოლოგიურმა მოძრაობებმა. ამგვარი პროგრამა ორიენტირებული უნდა იქნეს:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეკოლოგიურ განათლებაზე, მათთვის სპეციალური დისციპლინების შემუშავებაზე და სასკოლო სახელმძღვანელოებში ეკოლოგიური საკითხების წარმოჩენაზე;
- მოსწავლეებთან არასაგაკვეთილო მუშაობაზე;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის მეურნეობის გაძლიერების ეკოლოგიური მეთოდების სწავლებაზე;
- ლექციების და სემინარების ორგანიზებაზე;
- იმ თვალსაჩინოების შექმნაზე, სადაც ნაჩვენები იქნება ეკოლოგიურად ორიენტირებული მეურნეობის და უნარჩენო წარმოების სიკეთე.

მსხვილმასშტაბიანი დაგეგმარების საბოლოო ეტაპი მონიტორინგის ორგანიზებაა. მისი პროგრამა მუშავდება ტერიტორიის კონკრეტული მდგომარეობის და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მიზნებს:

- ეკოლოგიური მონიტორინგის კომპლექსური სისტემის შემუშავებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს კონტროლი გავუწიოთ გარემოს მდგომარეობას;
- ფონური (ადამიანი – ბუნება) და მიზნობრივი (ლანდშაფტური გეგმის რეალიზაციის ეფექტურობა) მონიტორინგის შეთანაწყობის უზრუნველყოფას.

მონიტორინგის შედეგები მიეწოდება ხელისუფლების ორგანოებს, მაკონტროლებელ ორგანიზაციებს, მიწათმოსარგებლებს, ადგილობრივ მოსახლეობას. (ნ.ელიზბარაშვილი, ლან. დაგეგმარება, თბ. 2009)

2.2 მეთოდური საფუძვლები

მსხვილმასშტაბიანი დაგეგმარების ფარგლებში, ბუნებრივ-ეკოლოგიური გარემოს თავისებურებათა გათვალისწინებისთვის, შეფასების და განვითარების მიზნობრივი

გეგმების შემუშავებისთვის , საჭიროა წარმოჩინდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბუნებრივი კომპონენტები. ამგვარად , უმეტესწილად განიხილება ნიადაგები , სახეობები და ბიოტიპები , ლანდშაფტები და მათი რეკრაციული პოტენციალი.

მსხვილმასშტაბიანი დაგეგმარებისთვის ჩასატარებელი სამუშაოები შეიძლება ისევე დაიყოს **ხუთ ეტაპად** , როგორც საშუალომასშტაბიანი ჩარჩო ლანდშაფტური გეგმა.

ინვეტარიზაციის ეტაპი საწყის მასალად , ისევე როგორც “ჩარჩო” ლანდშაფტური დაგეგმარებისას, შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო სტატისტიკური მასალები , სატყეო ტაქსაციის, მიწათმოწყობის, ჰიდრომეტეოროლოგიური დაწესებულებების ინფორმაცია და ა. შ. მათი გადამოწმება და კორექტივება ხორციელდება საველე - კამერალური გამოკვლევებისას, სამეცნიერო ლიტერატურის , კარტოგრაფიული და აეროკოსმოსური მასალების ანალიზისას . ძირითადი ინფორმაცია ნიადაგების , სახეობებისა და ბიოტიპების გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ მიიღება მიწათმოწყობის და ტყეთმოწყობის მასალების ანალიზისას .

ლანდშაფტებისა და რეკრაციის ანალიზისთვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ის მასალები , რომლებიც რეკრაციული ობიექტების დამატებითი შესწავლის შედეგად იქნება მიღებული . სოციალურ-ეკონომიკური ვითარება შეისწავლება მოსახლეობის აღწერის მასალების , ადგილობრივი თვითმმართველობის განკარგულებაში არსებული ინფორმაციის ან სოციოლოგიური გამოკვლევების ანალიზის შედეგად.

ამგვარად, საინვეტარიზაციო ინფორმაციის **სტრუქტურა** თითქმის იგივეა , რაც საშუალომასშტაბიანი დაგეგმარებისას, თუმცა იზრდება მისი დეტალიზაციის და ორიგინალურობის ხარისხი, განსაკუთრებით საველე გამოკვლევებისას.

შეფასებითი ეტაპის ძირითად ამოცანად ითვლება ტერიტორიის თანამედროვე ბუნებრივი პირობების შეფასება “ მნიშვნელობის “ და “ მგრძობელობის “ მიხედვით (ისევე, როგორც მსხვილმასშტაბიანი დაგეგმარებისას).

- **ნიადაგების მნიშვნელობა** რეკომენდებულია შეფასდეს სამეურნეო გამოყენების ძირითადი მიმართულებების მიხედვით : ან სატყეო , ან სოფლის მეურნეობის ინტერესების გათვალისწინებით . მნიშვნელობის შეფასებისთვის , ნიადაგების რუკებთან ერთად გამოიყენება მიწათმოწყობის მასალები და ტყეთმოწყობის გეგმები . *მაღალი მნიშვნელობა* შეიძლება განესაზღვროთ იმ ნიადაგებს , რომლებიც

იშვიათობას წარმოადგენენ მოცემული რეგიონისთვის , ახასითებთ მაღალი ნაყოფიერება , ხელს უწყობენ ფიტომასის დაგროვებას და ტყის ეკოსისტემების განვითარებას. დაბალი მნიშვნელობისაა ის ნიადაგები , რომლებსაც არ გააჩნიათ ზემოთაღნიშნული მახასითებლები , თანაც განიცდიან ეროზიის ზემოქმედებას და დაბინძურებული არიან სხვადასხვა ნივთიერებებით. დანარჩენი ნიადაგებისათვის სასურველია განისაზღვროს საშუალო მნიშვნელობა.

ნიადაგების მგრძობელობა რეკომენდირებულია შეფასდეს იმ ეგზოგენური პროცესების გათვალისწინებით , რომლებიც განაპირობებენ ნიადაგის სტრუქტურის დეგრადაციას. სპეციალურად გამოიყოფა ტერიტორიის ის მონაკვეთები , რომლებიც განიცდიან წყლის ზემოქმედებას .

- **ბიოტოპების და სახეობების მნიშვნელობის** შეფასება ხორციელდება იშვიათი, რელიქტიური, ენდემური ან “წითელი წიგნის “ სახეობათა ადგილმდებარეობის , აგრეთვე მცენარეული საფარის მრავალფეროვნების გათვალისწინებით . მაღალი მნიშვნელობისაა ის ბიოტოპები , სადაც არსებული და პოტენციური ბუნებრივი პირობები იდენტურია. საშუალო მნიშვნელობისას მიეკუთვნება ბიოტოპები , სადაც არსებული გარემო უახლოვდება პოტენციურს , ხოლო დაბალი მნიშვნელობისაა ისინი , სადაც ბუნებრივი გარემო მაქსიმალურადაა სახეშეცვლილი .

ბოტოპების და სახეობების მგრძობელობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ხანძრების , ტყეების ჩეხვის , ინტენსიური ძოვების შედეგებზე. ასევე ითვალისწინებენ იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების გეოგრაფიულ თავისებურებებს , ფიტომასის რაოდენობას , ტერიტორიის განახლების პოტენციალს , თესლის გაბნევუს პირობებს , ბედლენდებს ან დეგრადირებულ ტერიტორიებს. მაღალი მგრძობელობისაა ის ბიოტოპები , სადაც მათი გავრცელების მასშტაბები შეიცავს გადაშენების საფრთხეს ; საშუალო მგრძობელობისას მიეკუთვნებიან ისინი , რომლებიც შეიძლება აღდგნენ ანთროპოგენური ზემოქმედების შემცირებისას ან გააჩნიათ ნიადაგის სრულყოფილი სტრუქტურა ; დაბალი მნიშვნელობისაა ისინი , სადაც არ არსებობს ხანძრების

განვითარების წინაპირობა , დაბალია ტყეების აღდგენის ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პოტენციალი.

- **ლანდშაფტების მნიშვნელობის და მგრძობელობის** შეფასებისას გათვალისწინებულ ინდა იქნეს მისი რეკრაციული პოტენციალი ; ესთეტიკური , ეგზოტიკური და მრავალფეროვანი გარემო , კომფორტულობა , რისკის ფაქტორები , ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მცირე მასშტაბები , ტურისტული თუ ბალნეოლოგიური ობიექტების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობა , მოსახლეობის განწყობა , ეკოლოგიური , კულტურული და ისტორიულ - ეთნოგრაფიული ფასეულობები , ბუნების ძეგლები , სამკურნალო წყაროები და სხვ.

ტერიტორიის განვითარების მიზნობრივი კონცეფციის შემუშავება ეფუძნება შეფასების ეტაპის მასალებს. მიზნობრივი კონცეფციის ფარგლებში ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების და ინტეგრირებული მიზნობრივი კონცეფციის გამოყენების შედეგად შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის მიზანი (ქვემიზნებით):

- **შენარჩუნება** (თანამედროვე მდგომარეობის შენარჩუნება ცალკეულ საქმიანობაზე უარის თქმის მეშვეობით . განისაზღვრება მაღალი მნიშვნელობის და მაღალი მგრძობელობის ტერიტორიებისათვის; თანამედროვე ექსტენსიური გამოყენების შენარჩუნება - დაბალი და საშუალო მნიშვნელობის ტერიტორიებისთვის , მაღალი მგრძობელობის ნიადაგებისთვის , ბიოტოპებისა და ლანდშაფტებისთვის);
- **განვითარება** (ექსტენსიური განვითარება და დეგრადირებული ლანდშაფტების გაჯანსაღება - იმ ტერიტორიებისთვის , სადაც წარმოდგენილია მაღალი და საშუალო მნიშვნელობის , საშუალო და დაბალი მგრძობელობის ნიადაგები და ბიოტოპები ; ექსტენსიური განვითარება იმ ტერიტორიებისთვის , სადაც წარმოდგენილია მაღალი და საშუალო მნიშვნელობის , თუმცა დაბალი მგრძობელობის ნიადაგები; რაგამენტირებული ინტენსიური განვითარება იმ ტერიტორიებისთვის , სადაც

წარმოდგენილია მაღალი მნიშვნელობის და საშუალო მგრძნობელობის ნიადაგები და ბიოტოპები) ;

გაუმჯობესება (შემდგომი გადაყვანით რეგამენტირებული ინტენსიური გამოყენების კატეგორიაში - იმ ტერიტორიებისთვის , სადაც წარმოდგენილია დეგრადირებული, მაღალი მნიშვნელობის , საშუალო და დაბალი მგრძნობელობის ნიადაგები და ბიოტოპები ; შემდგომი გადაყვანით ექსტენსიური გამოყენების კატეგორიაში - იმ ტერიტორიებისთვის , სადაც წარმოდგენილია დეგრადირებული , საშუალო მნიშვნელობის , საშუალო და დაბალი მგრძნობელობის ნიადაგები და ბიოტოპები ; შემდგომი გადაყვანით რეგლამენტირებული ექსტენსიური გამოყენების კატეგორიაში იმ ტერიტორიებისთვის , სადაც წარმოდგენილია დეგრადირებული , საშუალო და დაბალი მნიშვნელობის , აგრეთვე მაღალი მგრძნობელობის ნიადაგები და ბიოტოპები (ნ.ელიზბარაშვილი;გამოყენებითი გეოგრაფის საფუძვლები , 2016წ)

2.3 ურბანული დაგეგმარება

ურბანული დაგეგმარება (urban planning) ქალაქგეგმარება, ასევე ურბანული დაგეგმარება — დასახლებების (ქალაქის, დაბის ან სოფლის) ან/და მათ ნაწილების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის შემადგენელი ეტაპი და დისციპლინა, რომელიც დასახლებათა გარემოს ფიზიკური ფორმირების (სივრცითი მოწყობის) პროექტირებასა (დაგეგმარების) და დოკუმენტირებაზეა პასუხისმგებელი. სივრცითი მოწყობის უფრო მცირე მასშტაბებზე ისეთი დისციპლინებია პასუხისმგებელი, როგორცაა არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი. ტერმინი „urban design“ (რუს. „градостроительное проектирование“) შემოთავაზებულ იქნა 1956 წელს ჰარვარდის დიზაინის (დაგეგმარების) უმაღლეს სკოლაში საერთაშორისო კონფერენციაზე.

საქართველოში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ტიპები და იერარქია განმარტებული და შეჯამებულია საქართველოს კანონში სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ, რომელიც 2005 წელს დამტკიცდა და რომელიც რამდენიმე სხვა სამართლებრივ აქტთან ერთად, დაგეგმვისა და დაგეგმარების ფორმალურ მხარეს არეგულირებს. ქალაქგეგმარება გზამკვლევა ქალაქთმშენებლობის საწარმოებლად, რამეთუ პრიორიტეტების ჩამოყალიბება სწორედ ამ ეტაპზე ხდება. აქვე წარმოებს ქვეყნის ამა თუ იმ თემის განვითარების ლოკალური პოლიტიკის დასახვა და მისი კომპლექსური შეჯერება მეცნიერების სხვა

დარგებთან. ამას მოყვება ქალაქების, თემების, ანაც მათი ნაწილების მდგრადი განვითარების ჩარჩო პირობების შექმნა და განტკიცება. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვითი ფაქტორები. გარემოს დაცვის საკითხებს უკანასკნელი წლების განმავლობაში სულაც წამყვანი როლი უკავიათ, რადგან წარმოუდგენელია მოქალაქეებს შორის მიწის სამართლიანი განაწილება, თუ თავად გასანაწილებელი ობიექტის ხარისხი მათ კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფს. ეს პრობლემები დეტალურად არის მიმოხილული "აგენდა 21"-ში, რომელიც ყველა განვითარებული ქვეყნთვის გარემოსთან და მიწასთან მოპყრობის სახელმძღვანელოა.(წყარო15)

ისტორია

ისტორიულად ურბანული განვითარება ხშირად სპონტანური, ქოტური მოვლენა იყო, ვინემ გაწონასწორებული დაგეგმვის პროცესი. თუმცა გამიზნულად დაგეგმილი ან მართული ქალაქებისა და დასახლებების მაგალითები ანტიკურ ხანამდეც არსებობდა. ძვ. წ. 2600 წლისთვის ინდუსის ხეობის ცივილიზაციის ჰარაპანის ზოგიერთი დასახლება ქალაქად იქცა და მათი მოსახლეობა ათასებს აჭარბებდა. ზოგიერთი ამ ქალაქთაგანი აგებული იყო კარგად-გათვლილი გეგმის მიხედვით. ისეთი ქალაქების, როგორცაა მოჰენიო-დარო და ჰარაპა, ქუჩები მოკირწყლული იყო და მართკუთხად იყო განლაგებული იერარქიის მიხედვით (კომერციული ბულვარებითა და მცირე სახოვრებელი ხეივნებით), დღევანდელი ნიუ-იორკის მსგავსად. სახლები დაცული იყო ხმაურის, სუნისა და ქურდებისგან, ჰქონდა საკუთარი ჭები და სანიტარული კვანძები. ამგვარ ქალაქებს ჰქონდა კანალიზაცია, დრენაჟი, ვრცელი სასაწყობო მეურნეობა, წყლის რეზერვუარები და კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა.

ბერძენი ჰიპოდამუსი (ძვ. წ. 408) ხშირად დასავლური ქალაქგეგმარების მამად ითვლება, მილეტის მისეული პროექტის გამო. ალექსანდრეს ბრძანებით მან ალექსანდრიის გეგმა შეადგინა, რაც ხმელთაშუა სამყაროს იდეალიზებული ქალაქგეგმარების ბრწყინვალე ნიმუშია. ქალაქს ხელს უწყობდა ნილოსის ზღვის გავაკებულ შესართავთან მდებარეობა.

ძველი რომაელები ქალაქგეგმარებაში კონსოლიდირებულ სქემას იყენებდნენ, რომელიც სამხედრო თავდაცვისა და სამოქალაქო ხელსაყრელობისთვის იყო განვითარებული. მარტივი გეგმა შედგება ცენტრალური მოედნისგან საქალაქო მომსახურების ობიექტებით, რომელსაც გარს აკრავს კომპაქტური ქუჩების მართკუთხა

წრფიული ქსელი. მთელ დასახლებას შემორტყმული აქვს ქვის გალავანი თავდაცვისთვის. მგზავრობის დროის შესამცირებლად ორი დიაგონალური ქუჩა კვეთს მართკუთხა ქსელს კუთხიდან კუთხემდე, ცენტრალური მოედნის გავლით. როგორც წესი, ქალაქში გაედინება მდინარე, წყლისა და ტრანსპორტისთვის, რომელსაც ასევე გააქვს კანალიზაციის ნარჩენები, ალყის პირობებშიც კი. მრავალი ევროპული ქალაქი დღემდე ინარჩუნებს წყობის ამგვარ სქემას (მაგ. ტურინი). (წყარო 15)

რაციონალური დაგეგმვის იდეამ კრახი განიცადა შუასაუკუნეების ევროპაში რეს პუბლიკის იდეის გავრცელებით. ციხესიმაგრის ან გამაგრებული სააბატოს ირგვლივ რომაული ბირთვის გარეთ (რომელიც ხშირად მიტოვებული იყო) ქალაქი იზრდებოდა "ხის ტოტებისმაგვარად", როგორც გაფართოებული სოფელი ან ვრცელი ქალაქი. ვინაიდან ახალი ცენტრი ხშირად შემადღებულ, გამაგრებული პლატფორმაზე მდებარეობდა, ქალაქის გეგმა ორგანულ ხასიათს იღებდა, მისდევდა რა შემადღების კონტურების არაწესიერ ზედაპირს, სასოფლო-სამეურნეო ტერასების ფორმების მსგავსად.

იდეალური ქალაქი აქტუალური ხელმეორედ ფლორენციაში ხდება ადრეული რენესანსის პერიოდში, სადაც ვარსკვლავის ფორმის ქალაქის გეგმა მიღებულ იქნა ახალ ნაღმტყორცნამდღე ვარსკვლავისებურ ციხესიმაგრეში. ვარსკვლავის ფორმის ფორტიფიკაციას ფორმატული გავლენა ჰქონდა რენესანსის ქალაქგეგმარების შემდგომ განვითარებაზე: "რენესანსი ჰიპნოტიზებული იყო ქალაქის ერთი ტიპის მიერ, რომელმაც საუკუნენახევრის განმავლობაში, ფილარეტიდან სკამოზიმდე, ყველა უტოპიურ სქემაზე გავლენა იქონია: ეს იყო ვარსკვლავის ფორმის ქალაქი". რადიალური ქუჩები ვრცელდებოდა კარგად განსაზღვრული სამხედრო, კომუნალური და სასულიერო ძალაუფლების ცენტრიდან პერიფერიებისკენ. მხოლოდ იდეალურ ქალაქში მდებარეობდა ცენტრალურად დაგეგმილი სტრუქტურა მის შუაგულში, როგორც რაფაელის 1504 წლის სპოსალიციოში; აგებისას ვიგევანო, ახალი ქალაქის ცენტრის რაციონალურად დაგეგმილი ქვატროცენტროს უნიკალური ნიმუში, 1493-95 წლებში, ნაცვლად ემსგავსება დახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულს არკადებით.

ბერძნული რაციონალური დაგეგმვის ჭეშმარიტი მემკვიდრეები მუსლიმები იყვნენ, რომელთაც მიაკუთვნებენ ფორმალური ზონირების იდეას, თუმცა დასავლეთში მის ამჟამინდელი მნიშვნელობა უმეტესწილად თანამედროვე არქიტექტურის საერთაშორისო კონგრესის (Congrès Internationaux d'Architecture Moderne) იდეებს ეყრდნობა. (წყარო 15)

მრავალი ქალაქი ლათინური ამერიკის ცივილიზაციებში ასევე ანვითარებდნენ

დაგეგმვას საკუთარ ქალაქებში, კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემების ჩათვლით. მეხიკო-ტენოტიტლანი, აცტეკთა იმპერიის დედაქალაქი, აგებული იყო ტბა ტეხკოკოს კუნძულზე, რომელიც ამჟამად ცენტრალური მეხიკოს უბანია. მისი ძლიერების მწვერვალზე ტენოტიტლანი მსოფლიოს უდიდესი ქალაქი იყო 250.000 მცხოვრებით.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დასავლეთში (დასავლეთი ევროპა, ჩრდ. ამერიკა, იაპონია და ავსტრალაზია) დაგეგმვამ და არქიტექტურამ ზოგადი კონსენსუსის რამდენიმე სტადია გაიარა. თავდაპირველად იყო მე-19 საუკუნის ინდუსტრიალიზებული ქალაქი, რომელშიც შენობებზე გავლენას მეწარმეები და მდიდარი ელიტა ფლობდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო ხალხისთვის (კერძოდ კი ქარხნების მუშებისთვის) საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მოძრაობები. ქალაქი-ბაღნარის კონცეფცია ჩაისახა და რამდენიმე სანიმუშო ქალაქიც კი აშენდა, როგორცაა ლეჩუორზი და ვევილინ გარდენ სიტი (ჰერტფორდშირი, ბრიტანეთი) - მსოფლიოს პირველი ქალაქი-ბაღნარები. თუმცა ეს საკმაოდ მცირე მასშტაბის პროექტები იყო ზომით და მათში ტიპიურად მხოლოდ რამდენიმე ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ურბანულ დაგეგმვაზე გავლენას ახდენს ახლად ჩამოყალიბებული არქიტექტურისა და სამოქალაქო ინჟინერიის დისციპლინები. ამ დისციპლინებმა თანდათან დაიწყო კოდიფიცირება რაციონალური და სტილისტური მიდგომებისა ქალაქის პრობლემების გადაჭრაში ფიზიკური დიზაინის მეშვეობით.

მოდერნიზმი ქალაქგეგმარებაში მხოლოდ 1920-იანი წლებიდან იჩენს თავს. მოდერნისტული ქალაქი ერთგვარი ეფექტიანი, განხორციელებადი უტოპია უნდა ყოფილიყო. გაჩნდა ქალაქების აღმშენებლობის მასშტაბური გეგმები, მათ შორის პარიზისთვისაც, თუმცა რაიმე მასშტაბური ამ პერიოდში არ მომხდარა სანამ მეორე მსოფლიო ომი ყველაფერს არ დაანგრევდა. სწორედ ამის შემდეგ ეძლევა მოდერნიზმს გასაქანი და ჩნდება პირველი მოდერნისტული შენობები და მთელი უბნებიც კი. ეს შენობები იაფი მასალისგან და სწრაფად შენდებოდა ფართო მასებისთვის საცხოვრებელი ფართის უზრუნველსაყოფად და შედეგად მალე ისინი სიღარიბისა და ცუდი გემოვნების სინონიმებად იქცა.

1960-იან წლებში რაციონალური დაგეგმვის მოდელთან კრიტიკულმა მიდგომამ

საშუალება მისცა დისციპლინას ურბანული დაგეგმვის დარგში მოეცვა ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის, საზოგადოების სოციალური დაგეგმვისა და გარემოს დაცვის დაგეგმვის საკითხებიც. მოდერნიზმის დასასრული 1970-იან წლებში დადგა, როდესაც იაფი, უნიფორმული მაღლივი კორპუსების მშენებლობა შეწყდა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ბრიტანეთსა და საფრანგეთში. მას შემდეგ ბევრი მათგანი დაინგრა კიდევ და მათი ადგილი შედარებით ტრადიციული სტილის ნაგებობებმა დაიჭირა. ყველაფრის უნიფორმულად და უნაკლოდ გარდაქმნის ნაცვლად ქალაქგეგმარების თანამედროვე აქცენტი ინდივიდუალიზმი და მრავალფეროვნებაა საზოგადოებასა და ეკონომიკაში. ეს არის პოსტმოდერნისტული ერა.

დაგეგმვის ასპექტები - ესთეტიკა

ქალაქის დაგეგმვისას ესთეტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ სურათზე ბატში, ინგლისი, მე-18 საუკუნის კერძო სექტორის დასახლება ლამაზად იყო დაგეგმილი.


განვითარებულ ქვეყნებში ბოლო დროს დიდი კრიტიკა ხვდება გარემოს გადაჭარბებულ დახუნძვლას სხვადასხვა ნიშნებით, აბრებითა და ფირნიშებით. დებატების საგანია ასევე ბალანსი (ან უბალანსობა) პერიფერიულ განაშენიანებას, დასახლების სიმჭიდროვის ზრდასა და ახალი დასახლებების დაგეგმვას შორის. ასევე გაუთავებელია კამათი მიწის შერეული დანიშნულებით გამოყენების სიკარგეზე ან კიდევ გეოგრაფიული ზონების სხვადასხვა დანიშნულებით განცალკევების უპირატესობაზე.

წარმატებული ქალაქგეგმარება ყურადღებას ამახვილებს "შინაურ" ხასიათზე და "ადგილის შეგრძნებაზე", ბუნებრივი, ხელოვნებისა და ისტორიული მემკვიდრეობის პატივისცემაზე, ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის სხვა საშუალებების ორგანულ შერწყმაზე, და მისთ.

ზოგიერთი ურბანისტის აზრით შუასაუკუნეების მოედანი და არკადა წარმატებული ურბანული დიზაინის ყველაზე მომხიბვლელი ელემენტებია, რასაც ამტკიცებს იტალიური ქალაქების სიენასა და ბოლონიის გარემო.

თუმცა ქალაქების თავიდან დაგეგმვის შანსი იშვიათია, ქალაქგეგმარება მნიშვნელოვანია ქალაქების ზრდის მართვისთვის, ისეთი ხელსაწყოების გამოყენებით, როგორცაა ზონირება, მიწის გამოყენების მართვა, ასევე ზრდის მართვის ტექნიკა განვითარების ტემპების მართვისთვის. ისტორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ამჟამად ყველაზე ლამაზად მიჩნეული ქალაქები ხანგრძლივი, ინტენსიური აკრძალვების სისტემის შედეგია შენობების ზომების, გამოყენებისა და მახასიათებლების მხრივ. ეს აკრძალვები საკმარის თავისუფლებას იძლეოდა, თუმცა აიძულებდა მშენებლებს გარკვეული სტილი, უსაფრთხოების ზომები და მასალა გამოეყენებინათ. მრავალი ისტორიული დაგეგმვის ტექნიკა ამჟამად

ახლებურად იაზრება და თანამედროვე ფორმით გამოიყენება, მას "გააზრებულ ზრდას" (smart growth) უწოდებენ. (წყარო15)



სურათი 1.1

თანამედროვე ქალაქგეგმარების წინამორბედი - პარიზის რეკონსტრუქცია ოსმანის მიერ, მე-19 საუკუნის 50-იანი წლები

სურათი 1.2 ტორონტოს ურბანული ცენტრი



სურათი 1.3

ქალაქის დაგეგმვისას ესთეტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ სურათზე ბატში, ინგლისი, მე-18 საუკუნის კერძო სექტორის დასახლება ლამაზად იყო დაგეგმილი.

2.4 სასოფლო დაგეგმარება (rural planning)

სოფლის დაგეგმარება არის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი შედარებით დაუცველ ადგილებში მცხოვრები თემების ეკონომიკური კეთილდღეობა. სოფლის განვითარება ტრადიციულად ორიენტირებულია ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, სატყეო და სამთო. თუმცა, სოფლის დასახლება უფრო ფართო პერსპექტივის განვითარებისკენ მიისწრაფვის, რაც უფრო მეტ ყურადღებას უთმობს განვითარების მიზნების ფართო სპექტრს და არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ან რესურსების დაფუძნებულ ბიზნესს. იზრდება ტურისტული მეურნეობა, რეკრაცია და იქმნება ახალი საწარმოები, შესაბამისად ეჯიბრება სოფლის მეურნეობას, სატყეო მეურნეობასა და განაპირობებს რესურსების მპოვებას, რომელიც დომინანტურია ეკონომიკურის. გარდა ამისა, ქვანახშირისა და ბუნებრივი გაზის ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მოპოვებამ გამოიწვია ამ სექტორებს შორის კონფლიქტი. სოფლად დაგეგმარება მიზნად ისახავს პროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნასა და ექსპლუატაციას, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილის კონსერვაცია და ურბანული საქმიანობის უზრუნველყოფა შესაბამის სფეროებში. სოფლის მეურნეობის დაგეგმვა აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველყოს საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მიწა, საკვები და ბოჭკოვანი წარმოებისთვის.

მიწათმოქმედებისთვის განკუთვნილი მიწა არის რესურსი, რომელიც არ შეიძლება შეიქმნას ან შეიცვალოს. მას შემდეგ, რაც მოხმარებისას გარდაიქმნება, ძალიან რთულია, ან შეუძლებელია, სასოფლო-სამეურნეო მიწის რეაბილიტაცია, მისი პროდუქტულობის გაზრდის მიზნით. რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მიწაზე მოსავლის ან ცხოველის მეურნეობისათვის, სადაც არის შესაბამისი წყალმომარაგება ან ნალექი და იმ ადგილებში, სადაც მგრძნობიარე მიწა მწია. სასოფლო-სამეურნეო სექტორი მოიცავს საწარმოო საქმიანობას, არამედ მოიცავს საკვების, ბოჭკოვანი მასალის, ხის და ფოთლების დამუშავებას და ტრანსპორტირებას. აქედან გამომდინარე, დაგეგარებამ უნდა უზრუნველყოს წყლის ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, ვერმერებისა და გადამამუშავებელი ობიექტების და ბაზრების ეფექტურობა.

სოფლის დაგეგმარება ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების მდგრად განვითარებას,

ეკოსისტემების დაცვას და სოფლის კეთილდღეობას. ადგილობრივი ხელისუფლების დამგეგმავები, სახელმწიფო რეგიონალური დამგეგმავები, ფერმერებმა ან პოლიტიკოსებმა უნდა განიხილონ პრინციპები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო სექტორის მისაღწევად:

1. სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის აღიარება მდგრადი რეგიონალური ეკონომიკისა და ურბანული თემების მეშვეობით სოფლის მეურნეობის შესახებ, ცნობების გათვალისწინებით, დაგეგმვის დოკუმენტების ხედვასა და მიზნებში.

2. სოფლის მეურნეობის ბუნებრივი რესურსების იდენტიფიცირება და დაცვა შესაბამისი მიწის ტერიტორიების განსაზღვრის გზით და შეუსაბამო მიწათსარგებლობის გამოკლებით, განსაკუთრებით ურბანულ ან სასოფლო-სამეურნეო დასახლებებში, სამთო და ნავთობ მოპოვებაზე, მუდმივ პლანტაციებსა და ინფრასტრუქტურულ დერეფანში, ამ ტერიტორიიდან ადგილობრივი და სპეციალიზებული სოფლის მეურნეობის წარმოება.

3. თავიდან იქნას აცილებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის და ურბანული ზრდის ზეწოლა, სოფლის მეურნეობის სფეროში ადგილობრივი და რეგიონული წარმოების სისტემების ეკონომიკის შესაბამისად.

4. მიწის გამოყენებისას შექმნილი კონფლიქტი : 1. თავიდან იქნას აცილებული მიწათსარგებლობისას კონფლიქტი და უზრუნველყონ თავსებადი ,სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის, განსაკუთრებით ინტენსიური ცხოველების წარმოებისა და ინტენსიური მებოსტნეობის ტერიტორიების განსაზღვრა, თავიდან აცილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტერიტორიებთან შეუსაბამო ადგილსამყოფელი და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს ბუფერულ ტერიტორიებს . არსებული მიწათსარგებლობის კონფლიქტის მართვაა, პრევენციებისა და საჩივრების განხილვისას, წინასწარ არსებული კანონიერი და კანონიერად მოქმედი სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენება. 2. ხელი შეუწყოს მდგრადი მიწის და წყლის გამოყენებას და პრაქტიკას სასოფლო-სამეურნეო წარმოებისას შესაბამის მიწაზე. მდგრადი მიწის და წყლის გამოყენების პრაქტიკის ხელშეწყობა.

5. სასოფლო-სამეურნეო სფეროში ფასეულობებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სირთულეებისა და მრავალფეროვნების აღიარებით, მცირე ზომის ტურისტული ღონისძიებების ეფექტური პროცესების განვითარების უზრუნველსაყოფად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამუშავებისა და რეალიზაციისათვის.

6.სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისათვის აუცილებელია სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და წყლის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და შენარჩუნება კრიტიკული და სტრატეგიული სოფლის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას, რომელიც მხარს უჭერს პირველადი წარმოების და გადამუშავების ან მიწოდების ჯაჭვს მომსახურებასთან.

7. უზრუნველყოს სოფლის მეურნეობისთვის ეკონომიკური, დასაქმებისა და სოციალური დახმარების სერვისები , თვითდასაქმებული სოფლად და ქალაქებშიც, ამ დასახლებების ზრდა მკაფიოდ განსაზღვრულია ურბანული საზღვრების ფარგლებში.

8. სასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულებების დაცვა მნიშვნელოვანია ტურიზმისათვის ,სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიების ეკოსისტემის, მომსახურებისა და მიმზიდველობის გამოვლენისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული მიწის გამოყენებისას ის ელემენტები, რომლებიც შეამცირებს ამ ღირებულებებს. (წყარო19)

სასოფლო დაგეგმარების თვალსაჩინო მაგალითები ევროპაში :

სურათი 1.4





სურათი 1.5



სურათი 1.6

„მწვანე დიზაინი“

მწვანე დიზაინში მსხილმასშტაბიანი დაგეგმარების ის ფორმა იგულისხმება, რაც უკავშირდება ბაღების და პარკების კეთილმოწყობას. იგი ხორციელდება როგორც ლანდშაფტური დაგეგმარების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპების, ისე სპეციალისტთა მონაწილეობით, ტრადიციების გათვალისწინებით და ინდივიდუალურად.

ყველაზე ხშირად მწვანე დიზაინის დაგეგმარებაში ლანდშაფტის არქიტექტორები მონაწილეობენ, რომლებსაც მიღებული აქვთ შესაბამისი განათლება და სახელმწიფო ლიცენზია. აქ ძირითადი აქცენტი რელიეფსა და გეოლოგიურ აგებულებაზე, კლიმატურ და ჰიდროლოგიურ, ნიადაგურ და მცენარეულ ფაქტორებზე კეთდება. აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბაღის ან პარკის რეკრეაციული ფუნქცია (დანაშნულება), დასვენების ან გართობის არეალები, კომუნიკაციები (გზები, განათება), გამოყენების სეზონი (პერიოდი) და სხვ. მწვანე დიზაინის ეფექტურობა ასევე დამოკიდებულია მგეგმარებლის აგროეკოლოგიური განათლების და შინაგანი კულტურის დონეზე.

რელიეფური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია პანორამის ეფექტურობა, ადგილის სიმაღლე, ფერდობის ექსპოზიცია და დახრილობა. მიკროკლიმატიდან ყურადღება მახვილდება ჰაერის ტემპერატურის და ნალექების დინამიკაზე, სიმშრალის ინდექსზე, ქარებსა და ექსტრემალურ კლიმატურ მოვლენებზე. ჰიდროლოგიური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია გრუნტის წყლების სიახლოვე, ხოლო ნიადაგებთან დაკავშირებით – მისი ქიმიური და ფიზიკური თვისებები.

ბაღებისა და პარკების მწვანე დიზაინი ორ ტრადიციულ მიმართულებას ითვალისწინებს. პირველი სწორხაზოვან (ევროპა), ხოლო მეორე – ასიმეტრიულ (აზია) დაგეგმარებას უკავშირდება.

ევროპულ (საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) დიზაინში ყურადღება მახვილდება 4 კომპონენტზე, ესენია: საერთო პეიზაჟი, წყალი (შადრევანი, გუბურა, არხი), ნიადაგის ზედაპირი (მდელო) და მცენარეულობის ტიპი (სახეობრივი თავისებურებანი, პროექციული დაფარულობა, ყვავილნარების და გაზონების არსებობა).

აზიაში (ჩინეთი, იაპონია და სხვ.) ძირითადი აქცენტი ბაღის ან პარკის ბუნებრიობის მაქსიმალურ შენარჩუნებაზე და საერთო პეიზაჟზე კეთდება.

მწვანე დიზაინი, გარდა რეკრეაციული ფუნქციებისა, სასურველია ითავსებდეს გარემოს დაცვის და გარემოს აღმდგენ დანაშნულებას. ევროპულ ქვეყნებში ტრადიციული ხდება მიდგომა, რაც ითვალისწინებს ბაღებსა და პარკებში სპორტული მოედნების და ბილიკების, გასართობი, საპიკნიკე და სანაოსნო ადგილების მოწყობას.

მათ დაგეგმარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ურბანულ არეალებში, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის რეკრეაციული საქმიანობის ეფექტურობას. (ნ.ელიზბარაშვილი,გამოყენებითი გეოგრაფის საფუძვლები)

სურათი 1.7(წყარო19)



დასკვნა: მეორე თავში გამახვილებულია ყურადღება მსხვილმამუტაბიანი ლანდშაფტური დაგეგმარების არსზე ,რომ მოიცავს გეგმარებითი ტერიტორიის დეტალიზაციას და მის შეფასებას, შენარჩუნებას და მდგრად განვითარებას. ნათელი მაგალითია ურბანილი და სასოფლო დაგეგმარების კატეგორიები, რაც თვალსაჩინოს ხდის იმ სპეციფიკას ,რაც თან ახლავს მსხვილმამუტაბიან ლანდშაფტურ დაგეგმარებას.შემუშავებული გეგმის რეალიზაცია გეგმარებითი ტერიტორიის ,თემის სოფლის თუ ქალაქის ,რაც ბოლო პერიოდია აქტუალურია , წინაპირობა მდგრადი ეკოლოგიური განვითარებისათვის.

მესმე თავი

3.1 სოფელი ბოდბისხევი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ,სოფელი ბოდბისხევი, მდებარეობს გომბორის ჩრდილო-აღმოსვლეთის კალთაზე, ბოხორის უღელტეხილის ძირას, ძღვის დონიდან 550 მეტრზე და ქ. სიღნაღიდან 8 კმ. დაშორებით. ბოდბისხევი ქიზიყის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი სოფელია ,რომელიც მრავალ საუკუნოვანი ისტორიის მქონეა. მოხსენებული აქვს თვით ვახუშტი ბაგრატიონს „ აღწერასა სამეფოსა საქართველოსა“ , იოანე ბაგრატიონის „ ქართლ-კახეთის აღწერა „ ; 18 -მე საუკუნის ისტორიული საბუთები , იოჰან გიულდენშტენდტის „ მოგზაურობა საქართველოში. წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება 18-მე საუკუნის დასასრულისათვის, როგორც მეფის სახასო სოფელი და ქიზიყის ერთ-ერთი სოფელი. სოფელშია ცნობილი ბოდბისხევის ბაზრობა , რაც ტრადიციულად ამ დასახლებული პუნქტის ეკონომიკურ დაწინაურებლობაზე მეტყველებს. ბოდბისხევი იმითაც განსაკუთრებული, რომ საქართველოს მთის მსგავსად, გვარები ცალ-ცალკე ხეობებში ცხოვრობდნენ.

ბოდბისხევი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1961 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის , არქეოლოგიისა და ეთნოგრაფის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული დაზვერვების შედეგად სოფ. ბოდბისხევთან აღმოჩნდა გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის ნასახლარი გორები.

3.2 ზოგად გეოგრაფიული თავისებურებანი

რელიეფი. განსახილველი სოფელი მდებარეობს ცივ-გომბორის ქერდის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებაში , რომლის ლანდშაფტი წარმოდგენილია დაბალმთიანი გორაკ-ბორცვიანი რელიეფით, ზომიერტად ნოტიო ჰავით , ტყიანი და ტყე- სტეპური მცენარეულობით , მნიშვნელოვნად გარდაქმნილია ადამიანის ზემოქმედებით და დაფარულია ყავისფერი ნიადაგებით.

ჰავა. გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის კლიმატური პირობები გარდამავალია ზომიერად ნოტიოდან ნახევრად ნესტიანი თბილი სუბტროპიკული ჰავის ზონაში. მისი კლიმატური პირობები დახასიათებულია სიღნაღის , წნორის და გურჯაანის მეტეოსადგურების მონაცემებზე დაყრდნობით .

საკვლევი ტერიტორიის საშუალო წლიური ტემპერატურა გურჯაანის მეტეოსადგურის მონაცემებით შეადგენს + 12,7- 12,8 , წნორისთვის + 13. შესაბამისად ჰაერის ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმია – 22, – 25 . მისი საშუალო მინიმუმია + 8,3 , +8,6 ; ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმია + 39, +40 ; ტემპერატურის საშუალო მაქსიმუმია +17,6 , +18,8 ზამთრის პერიოდის საშუალო თვიური ტემპერატურა : გურჯაანისთვის +1,3-3,2 , წნორისთვის 0,6- 2,5 ; ყველაზე თბილი პერიოდებია ივლის-აგვისტო +23,1- 24 და 24,1 -24,8 . ჰაერის საშუალო ამპლიტუდა თვეების მიხედვით იცვლება : გურჯაანისთვის –6,7(XII)-6,9(I)-დან 11,1-11,5(VII-VIII) ფარგლებში. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა : გურჯაანის მეტეოსადგურების მონაცემებით– ყველზე ცივი თვისათვის (13 საათზე) –69% და 47 % , სიღნაღისთვის – 73 % , მაქსიმალური მოდის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებზე (79-80 %) . ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს : გურჯაანისთვის –802 მმ , წნორისთვის 611 მმ, ხოლო სიღნაღისთვის 811 მმ . ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შესაბამისად შეადგენს – 84 მმ. თოვლის საფარის დეკადების უდიდესი მაჩვენებელია : გურჯაანისთვის – 8 სმ, წნორისთვის –5 სმ, სიღნაღისთვის –6 სმ. შესაბამის თოვლის დღეთა რაოდენობა შეადგენს: გურჯაანისთვის –40 ,წნორისთვის – 9 , სიღნაღისთვის –40 . სიღნაღში თოვლის საფარი ჩნდება დეკემბრის პირველი დეკადის ბოლოს და ყველაზე გვიანდელი პერიოდი მისი აღბის არის თებერვლის პირველი დეკადა , იშვიათად თებერვლის ბოლო დღეები. თოვლის საფარის წონა შეადგენს 0,50კ/მ² -ზე. ქარის წლიური საშუალო სიჩქარეა – 1 მ/წმ, წნორისთვის – 0,9 მ/წმ , შესაბამისად იანვრისა და ივლისის თვეებისთვის უდიდესი და უმცირესი სიჩქარეებია : 3,8 – 2,7 მ/წმ და 1,3- 1,7 მ/წმ. ქარის უდიდესი სანგარიშო სიჩქარეებია

1,5 , 10 , 15, 20 მ/წმ ერთხელ ; გურჯაანისთვის – 16, 19 , 21 , 22 მ/ წმ; წნორისთვის –18, 23, 24, 26, 27 მ/მწ . მოწმენდილ და მოღრუბლულ დღეთა რაოდენობა შეადგენს: გურჯაანისთვის წლიური მოწმენდილი – 132 , მოღრუბლული – 59 , წნორისთვის შესაბამისად – 116 და 70 . ნისლიან დღეთა რაოდენობა გურჯაანისა და წნორის სადგურებით შეადგენს 31 და 20 . ყველაზე ღრუბლიან დღეთა რაოდენობა (43 და 40) მოდის დეკემბერ– თებერვლის თვეებზე. **კლიმატი** განპირობებულია მისი ადგილმდებარეობით. მუნციპალიტეტის ფარგლებში გამოიყოფა ჰავის რამდენიმე ტიპი. ივრის ზეგანსა და ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, აქ ზაფხულია ცხელია, ზამთარი ცივი. გომბორის ქედზე ზომიერად ნოტიო და თბილი ჰავაა. ზამთარი აქ ცივია, ხოლო ზაფხული ხანგრძლივად თბილი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 11-დან 13 გრადუსამდე მერყეობს. (მინიმუმი 24 , მაქსიმუმი 37-40 .) ნალექების სიმცირით ხასიათდება ივრის ზეგანი, სადაც წლიურად 400-500 მმ ნალექი მოდის. შედარებით მეტი ნალექია გომბორის ქედზე -810 მმ წელიწადში. **ჰიდროგრაფიული ქსელით** ტერიტორია მცირეა , პერიოდული ხასიათების მდინარებიდან ალაზანი და იორია. თუმცა განსახილველ ობიექტის ფარგლებში , გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში ,ძლიერი წვიმების დროს გომბორის კალთაზე არსებული მშრალ ხეებში წარმოიქმნება წყლის ნაკადები . (შპს „ნაპირდაცვა „სიღნაღის მუნციპალიტეტში, სოფ. ბოდბისხევში არსებული ხევის ჭალა -კალაპოტში ნაპირსამუშაოების პროექტი. თბ. 2014.)

3.3 ბიომრავალფეროვნება

სიღნაღის მუნციპალიტეტში შემოდის გომბორის ქედის მცირე მონაკვეთი , რომელზეც მდებარეობს განსახილველი ობიექტი , სოფ. ბოდბისხევი, აგებულია ნეოგენური ქვიშაქვებით , კონგლომერატებითა და თიხებით. სამხრეთ-დასავლეთით კალთა დამრეცია , დასერილია მშრალი ხეებით. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კალთა კი ციცაბოდ ეშვება ალაზნის ვაკისკენ . მუნციპალიტეტის ფარგლებში გომბორის ქედის უმაღლეს მთას წარმოადგენს , მთა ჭოპორტი (1087 მ) .

მუნციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოფა ლანდშაფტის შედგომი სახეები :

1. ჯაგეკლიანი სტეპური ვაკე ჰალოფილური მცენარეულობით შავმიწისებრ ალუვიურ და დამლაშებულ ნიადაგებზე

2. ტყის ყავისფერი ნიადაგები გამოიზიდვის კონუსებით ჯაგრცხილნართა და ჯაგეკლიანი სტეპებით
3. ვაკე ტაფობები სტეპის მცენაცეულობით შავმიწა და წაბლა ნიადაგებით
4. რუხ ყავისფერი ნიადაგები არიდული მცენარეულობით
5. ტაფობები ჰალოფილური მცენარეულობით
6. ტყის ყავისფერი და ყომრალი ნიადაგები მუხლნარ ცხილნარით
7. ტუგაის ტყის ლანდშაფტი (წყარო,14)

სოფლის ტერიტორიაზე გვხვდება ტყის ყავისფერი ნიადაგები , გამოიზიდვის კონუსებით , ჯაგცხილნართა და ჯაგეკლიანი სტეპებით. გავრცელებულია ვაციწვერიანი და უროიანი სტეპი , ასევე გვხვდება ჯაგეკლიანი ბუჩქნარებიც . ტყეს ქმნის ქართული ნეკერჩხალი , მუხა რცხილა , ღვია , აკაკი , თუთა და სხვა, ტყესტეპს ქმნის ჯაგრცხილა, ძეძვი და სხვა სახეობები .ასევე გვხვდება ჰალოფილური მცენარეულობა.

განსახილველ ობიექტზე ფლორა და ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია.ტერიტორიის ფარგლებში დიდი რაოდენობით გვხვდება : ტურა , მგელი, მელა, მაჩვი კვერანა, დედოფალა, კურდღელი, გარეული კატა, მცირე რაოდენობით არის ზოლიანი აფთარიც . მღრნელებიდან აღსანიშნავია : ტყის თაგვი, ბუჩქნარის მემინდვარა , მექვიშია და სხვ. ფრინველებიდან გვხვდება : მწყერი შაშვი , ხოხობი, კაკაბი, კაჭკაჭი, ყვავაი, გნოლი ,ურა გაზაფხულის ფრინველებიდან : მერცხალი , ნამგალა, კოდალა, ოფოფი და სხვ. (წყარო14)

3.4 . გეოლოგიური აგებულება

ცივ-გომბორის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც მდ. ბოდბისხევის გამომუშავებული აქვს ხეობა , გეოლოგიურად მთლიანად აგებულია აღჩაგილ-აფშერონული მოლასური ნალექებით, რომელიც წარმოდგენილია უხეშნამსხვრევი კონგლომერატებით და

თიხა-თიხნარი და სუსტად შეცემენტებული ქვიშაქვების შუაშრეებით, რომელთა სიმძლავრები ასეულობით მეტრს აღწევს. მოლასური ნალექების ჭრილში კონგლომერატი იკავებს 80 %-მდე და მასში მორიგეობენ თიხა-ქვიშაქვების წყებები შუაშრეების სახით 15 %-მდე. კონგლომერატების წყების ზედა და წვედა წყებები 20 მმ-ზე მეტი მსხვილი მასალა იკავებენ 65 მდე . 20-2მმ-მდე _ 11% , ქვიშაქვების სერები _ 18 %-მდე, ხოლო ალევრიტულ -პელიტური შედგენილობის სერები _3-5 % -მდე, ჭრილის შუა ნაწილში მასალა 20 მმ-ზე ,სხვილი იკავებენ 15% -მდე, ხოლო ხშეროვანი მასალა 46%-მდე, ქმროვანი _ 27%, თიხოვანი _ 8-10 %-მდე .

ცივ-გომბორის ქედის რელიეფის თანამედროვე ტრანსფორმაციას განსაზღვრავს ზედაპირზე ინტენსიურად მიმდინარე ეროზიულ-ღვარცოფიულ და მეწყერული მოვლენები, რომელთაგან დაზიანებადობის ხარისხისა და რეაქტივაციის რისკის მიხედვით მიეკუთვნება ძლიერ მაღალი საშიშროების ზონას. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება -რეაქტივაციის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორთა რისკებია.: დენუდაციურ-ეროზიულ პროცესებისადმი უკიდურესად მგრძნობიარე ქანების და ცოცხალი ტექტონიკური რღვევების ძლიერი გართულება , რელიეფის მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი და ზედაპირის ინტენსიური ეროზიული დანაწევრება , გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ატმოსფერული ნალექების მაღალი ინფილტრაცია ქანებში და თანამედროვე ვერტიკალური ტექტონიკური მოძრაობები, რომელიც საშუალოდ წელიწადში გამოიხატება + 6-8 მმ საზღვრებში. ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის არასწორი სამეურნეო-საინჟინრო საქმიანობა. ჩამოთვლილი აქტორებით არის განპირობებული ხეობაში მიმდინარე ჰიდროლოგიური და გეოლოგიური პროცესები, კერძოდ: წყალმოვარდნები, ნაპირების გარეცხვა, ფერდობების ჩამომეწყვრა და ღვარცოფები. საკვლევ ტერიტორიაზე ზემოთ აღწერილი ქანები გადაფარულია დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის მეოთხეული ასაკის ნალექებით , თვის მხრივ წარმოდგენილი თიხა-თიხნარებით კენჭების , ხრემის და ღორღის ჩანართებით. აღნიშნული ნალექები სხვადასხვა სიმძლავრისაა და მაქსიმუმს აღწევს მდ. ბოდბისხევის ქვემო წელში (10- 15-მდე) (. შპს „ნაპირდაცვა „სიღნაღის მუნციპალიტეტში, სოფ. ბოდბისხევში არსებული ხევის ქალა -კალაპოტში ნაპირსამუშაოების პროექტი. თბ. 2014).

3.5 ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია საქართველოს ბელტის არტეზიული აუზის ალაზნის არტეზიული აუზის ფოროვანი, ნაპრალოვანი და ნაპრალოვან- კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიური რაიონის ფარგლებში. ძირითადად გამოუყიფა 2 წყალშემცვლელი კომპლექსი :

- _ ალჩაგილ-აფშრონის კონტინენტური ნალექების წყალშემცვლელი კომპლექსი ;
- _ ალჩაგილა-აფშრონის ზღვიური ნალექების სპორადულად გაწყლოვანებული კომპლექსი

ალჩაგილ-აფშრონის კონტინენტური ნალექების წყალშემცვლელი კომპლექსი წარმოდგენილია კომპლომენტების, კენჭების , ქვიშებისა და თიხნარების მორიგეობით, საერთო სიმძლავრით 2000 მ-მდე . ყველაზე მეტი გავრცელებით ხასიათდება ალაზნის ველი , სადაც თავის მხრივ გამოიყოფა თელავისა და გურჯაანის წყალშემცვლელი ჰორიზონტები. საკვლევი ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია გურჯაანის წყალშემცვლელი ჰორიზონტის ფარგლებში და დაკავშირებულია ე.წ. „ ალაზნის სერიის“ შუა ქვეწყების ზედა ნაწილთან. აქ გაყვანილ ჭაბურღილებში წყლის დებიტები მერყეობენ 0,13 -დან 2,15ლ/წმ-მდე. მათი დებიტები პირდაპირ კავშირშია წყალშემცვლილი ფენის სიმძლავრესთან და ფილტრაციის კოეფიციენტთან . ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთის ძირში ჰორიზონტის წყალშემცვლელობაზე დიდ გავლენას ახდენს კვების არის სიახლოვე და მისი შეფარდებითი სიმაღლე . ჰორიზონტის წყალუხვობაზე ასევე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც, კერძოდ სხვა ჰორიზონტებიდან წყლების შემოსვლა და განტვირთვა.

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ჰორიზონტის წყლები ხასიათდებიან დაბალი და საშუალო მინერალიზაციით (0,6- 1,3 გ/ლ) და განეკუთვნებიან ჰიდროკარბონატულ - კალციუმთან-ნატრიუმთან, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმთან-კალციუმთან ან ჰიდროკარბონატულ - სულფატურ-ნატრიუმთან- კალციუმთან ტიპებს. წყლების საერთო სიხისტე 1-6,5 მგ1. ექვ-ში მერყეობს. სოფ ბოდბისხევის მიმდებარედ გაყვანილი ჭაბურღილების ქვედა წყალშემცველ ფენებში გამოდიან მაღალმინერალიზებული ქლორიდულ-

ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის ტიპის წყლები, 18გ/ლ მინერალიზაციით, ხოლო ჭაბურღილების დებიტი 2,0ლ /მწ-ში მერყეობენ.

აღჩაგილ-აფშრონის ზღვიური ნალექების სპორადულად გაწყლოვანებული კომპლექსი (საკვლევ ტერიტორიის სამხრეთით) წარმოდგენილია კონგლომერატების. თიხების და კენჭნარის მორიგეობით ქვიშის შემცველით, საერთო სიმძლავრით 1000მ- ზე მეტი. ცივ-გომბორის ქედის ზონაში წყლები სპორადული გავრცელებით და დაბალი დებიტებით ხასიათდებიან. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ძირითადად ქლორიდულ-სულფატური და ნატრიუმის-კალციუმისაა. მიწისქვეშა წყლების რესურსები უმნიშვნელოა, ხოლო მოთხოვნა დიდი, რაც გამოწვეულია ადგილის ლანდშაფტურ-გეოლოგიური პირობებით, კერძოდ: შედარებით უმნიშვნელო ატმოსფერული ნალექები, ინტენსიური აორთქლება, ჰაერის ტენიანობის უარყოფითი ბალანსი, შედარებით ნაკლები სიხშირის ჰიდროგრაფიული ქსელი და სხვ. სწორდ აღნიშნული პირობების გაუარესება ფიქსირდება ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. (შპს „ნაპირდაცვა „სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბისხევში არსებული ხევის ჭალა -კალაპოტში ნაპირსამუშაოების პროექტი. თბ. 2014).

3.6 სეისმური პირობები

ბოდბისხევის ტერიტორია მდებარეობს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთის ფარგლებში, რომელიც საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება 9 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე არაერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ წარსულში, ასევე უახლოეს წარსულში. მიწისძვრები ყველაზე მეტად გამოხატულია ტექტონიკურ

რღვევებს შორის განლაგებულ მორფოსტრუქტურულ ბლოკებში, სადაც დღესაც გრძელდება პულსაციური (როგორც აღმავალი ისე დაღმავალი) მოძრაობები.

ქვემოთ მოგვყავს სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) მახასიათებლები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ არსებული დასახლებული პუნქტებისათვის :

1. ქ. სიღნაღი _ 0,25მწმ 2;
2. ქ. წნორი _ 0,26 მ/წმ2;
3. სოფ. ბოდბისხევი _ 0,25 მ/წმ2;
4. სოფ. ჯუგაანი_ 0,25 მ/წმ2.

3.7 ინფრასტრუქტურა

სოფელი ბოდბისხევის ე.წ. „ხევი“, სადაც ატმოსფერული ნალექების შედაგად წარმოიქმნება დროებითი ნაკადი მდ. ბოდბისხევის სახელწოდებით . ოდესღაც ასე გამოიყურებოდა და ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის ადგილს წარმოადგენდა და მისი განთავისუფლების საშუალებას წარმოადგენდა სეზონზე მოსული ღვარცოფული ნაკადი. ცხადია რომ , ეკოლოგიური ეს კონფლიქტი რიგ პრობლემებს წარმოქმნიდა.

გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში მდ. ბოდბისხევის ჭალა-კალაპოტის ზონაში , სოფ ბოდბისხევიდან ქ. წნორამდე მდინარის ნაკადის გასატარებლად მოწყობილია ბეტონის ფილებით მოპირკეთებული წყალგამტარი არხი, რომელიც თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდა . მდ.ბოდბისხევი ზემო და შუა წელში მორფოლოგიურად წარმოადგენს v-ს მაგვარ ხეობას, ხოლო ქვემო წელში იშლება და ერწყმის მდ. ალაზნის მარჯვენა მაღალ ტერასულ ზედაპირს.

არსებული ხევის ჭალა-კალაპოტში ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება გახდა შესაძლებელი 2014 წელს. მოხდა ხევის მოპირკეთებული კალაპოტის აღდგენა მოსწორება 2364 მ სიგრძეზე (შპს „ნაპირდაცვა „სიღნაღის მუნციპალიტეტში,

სოფ. ბოდბისხევში არსებული ხევის ჭალა -კალაპოტში ნაპირსამუშაოების პროექტი. (თბ. 2014.)

სურათებზე ასახულია კონფლიქტი , საყოფაცხოვრებო ნარჩენების შედეგად წარმოქმნილი , რომელიც მძიმე ეკოლოგიურ სიტუაციას განაპირობებდა სოფელ ბოდბისხევში.

სურათი 1.8 დანგრეული ხევის ჭალა-კალაპოტი





სურათი 1.9

საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებული ხევი



სურათი 2.1

დაბინძურებულ ხევთან ართად , დანგრეული საავტომობილო გაზა


2015 წელს შემუშავდა პროექტი ბოდბისა და ბოდბისხევის გზის რეაბილიტაცია

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების- ბოდბისა და ბოდბისხევის დამაკავშირებელი 5 კმ -იანი გზის რეაბილიტაცია მოხდა , რომლის ღირებულება 2 831 384, 37 ლარია, მსოფლიო ბანკის დაფინსაებით , რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში ხორციელდება სამშენებლო სამუშაოზე 80 ადამიანია დასაქმებული. აღნიშნული გზის 2კმ-იან მონაკვეთზე უკვე დაიგო ასფალტის საფარი ,პარალელურ რეჟიმში კი დანარჩენ 3 კმ-ზე მიწის სამუშაოები მიმდინარეობს. გზის სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება და პროექტის ფარგლებში გზის საფარის, მიწის ვაკისიის, ხელოვნური ნაგებობების, ბეტონის კიუვეტების, ლითონის მილების მოწყობა და გვერდულების გაწმენდა მიმდინარეობს. არსებული გზა, რომელიც სიღნაღის მუნიციპალიტეტის 6-ზე მეტ სოფელს წნორთან და სიღნაღთან აკავშირებდა , მთლიანად ამორტიზებული იყო. მას რეაბილიტაცია 1985 წლის შემდეგ არ ჩატარებია. სამუშაოების შემდგომ დასრულების მერე, კომფორტულად გადაადგილების შესაძლებლობა ხვდა წილად მოსახლეობას სავაფქრო და ტურისტულ ცენტრებამდე. (შპს „ნაპირდაცვა „სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბისხევი არსებული ხევის ქალა -კალაპოტში ნაპირსამუშაოების პროექტი. თბ. 2014.)

ქვემოთ წარმოდგენილია მთავარი საავტომობილო გზაა, რომელიც სოფლებში გადაადგილების მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი იყო,წლების განმავლობაში არხდებოდა მისი რეაბილიტაცია, ფაქტიურად დანგრეული და გადაადგილებისათვის შეუსაბამო გარემო იყო.

სურათზე ასახულია სოფ. ბოდბისა და სოფ. ბოდბისხევის გზის მონაკვეთი რომელის რეაბილიტაციაც მოხდა

სურათი 2.2




სურათი 2.3 სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზა , რომელიც განადგურებული იყო





სურათი 2.4 სურთზე ასახულია უკვე აღდგენილი და რეაბილიტებული გზა სოფ.ბოდბესთან დამაკავშირებელი , ასევე ხევის ჭალა-კალაპოტის აღდგენილი და დასრულებული იერსახე



3.8 მოსახლეობა და მეურნეობა

მეურნეობა საბჭოთა დროს

მთელს სოფელს 12 917 ექტარი უჭირავს. აქედან 9484 ჰექტარი სავარგულებია, საიდანაც 3927 ჰექტარი- სახნავი , 511 ჰექტარი - ვენახი , 1703 ჰექტარი - ტყე , და 4740 ჰექტარი საძოვარია . სოფელში 1527 კომლია. კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 776 ოჯახი.1983 წელს კოლმეურნეობაში შრომობდა 1100 კოლმეურნე, მათ შორის შრომის უნარიანი -596, პენსიონერი 618, დანარჩენი მოსწავლეები არიან. კოლმეურნეობაში არის მემინდვრების სამი ბრიგადა , მევენახეობისა -11, მებოსტნეობა-მებაღეობისა -3, მეძროხეობის ფერმა - 5, მელორეობის ფერმა -6 ბრიგადით , მეცხვარეობის ფერმა- 2 ბრიგადით და ერთი მეფრინველეობის ბრიგადა. არვთ სააგურე, სკირე , გაჯის საწარმო.

ბოდბისხეველებს მინდვრები ათადან-ბაბაბდან ალაზანზე, მილარში, შირაქსა და ივრისპირეთში აქვთ. მიწებიც ნოყიერია, ბარ-ვენახებიც უხვმოსავლიანი , მთა-ბარშიც ცხვარ-ძროხაც დაუდით. არც მებატონე ჰყოლიათ, მაგრამ მაინც გაჭირვებაში იყვნენ, რადგან არ იცოდნენ მიწის , ბაღ-ვენახისა და ცხვარ-ძროხის ყადრი. იმდენ პროდუქტს აწარმოებდნენ, რამდენიც ოჯახის სარჩენად ეყოფოდათ. ღარიბები სოფლად უმრავლესობას წარმოადგენდნენ და მათ წინ ვერაფერი დუდგებოდათ. ისინი ენთუზიაზმით ჩაებნენ კოლექტიურ შრომაში და რამდენიმე წელიწადში კიდეც დარწმუნდნენ კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის სიმართლეში. თუ პირველ ხანებში ზოგი ეჭვით უყურებდა კოლმეურნეობს, სულ მალე ერთბაშად გაერთიანდნენ კოლმეურნეობაში. სიმბოლური იყო ისიც , რომ ბოდბისხევიდ კოლექტიურ მეურნეობებს იმ დროს ასეთ სახელებს არქმევდნენ. „ წითელი ოქტომბერი „ , გლეხის სინათლე” , „ნდობა” , „ განთიადი” და სხვ. ბევრ კოლმეურნეობას პარტიისა და სახელმწიფოს ლიდერთა სახელებსაც არქმევდნენ და ბოდბისხევი ერთ-ერთ დიდ გაერთიანებულ კოლმეურნეობას სტალინის სახელი უწოდეს.

მემინდვრეობა . სასურსათო პროგრამაში ძირითადი მემინდვრეობაა, კონკრეტულად კი მარცვლეული კულტურების უპირატესი განვითარება . რა თქმა უნდა , საქართველოს საკავშირო წილი მარცვლეულის წარმოებაში უმნიშვნელოა, მაგრამ ისიც ხომ კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ამიერკავკასია და კერძოდ , საქართველოა

კულტურული ხორბლის წარმოების დამწეები. მეცნიერული გამოკვლევებით და არსებული ფაქტობრივი მასალით დადგენილია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა ხორბლის განსაკუთრებული ენდემური სახეობების სიმრავლით. ცნობილი მემინდვრე და აგრონიმი გიორგი გოზალიშვილი აღწერით ხორბლი ბოტანიკურ გვარში შემავალი 23 კულტურული და 4 ველური სახეობა . ამათგან საქართველოში წარმოდგენილია 14 კულტურული სახეობა. სწორედ ამიტომ დიდი სიყვარულით ამუშავებდნენ მიწას ბოდბისხეველები , ხნავდნენ და დასათესად ამზადებდნენ მიწებს შირაქსა და ივრისპირეთში. ბოდბისხეველთა ბრიგადა ყოველწლიურად 850 ჰექტარზე თავთავიანებსა და სათოხნ კულტურებს თესავდნენ, აქედან 630 ჰექტარი ხორბალია , 74 ჰექტარი ქერი, და 150 ჰექტარი მზესუმზირა. კოლმეურნეობაში შექმნა საიჯარო მემინდვრეობის ბრიგადები . ბრიგადებში გაერთიანდნენ მექანიზატორები , მემინდვრები. მათ ქონდათ საერთო სასოფლო მანქანები, ასსაუქები და შხამქიმიკატები. გარდა ამის ა მიმინდვრებს საფიქრალი და საზრუნავიც ქონდათ, ხშირად ივრისპირეთში ჯეჯილებს ქარისმიერი ეროზია აზიანებდა.

მევენახეობა. ვაზისა და მარნის კულტი აქაურებს გამჯდარი აქვთ წინაპრებიდან . ამიტომაცაა, რომ ბოდბისხეველ მევენახეს არასდროს გაუკაფია ვაზი საზამთროსა და კიტრის მოსაყვანად . ვაზის ეს დიდი სიყვარული რომ არა, კოლმეურნეობის 511 ჰექტარ რქაწითელს რა მოუვლიდა. ამასთან ერთად ყველა ოჯახს აქვს საკარმიდამოზე კარგად მოვლილ-ნაპატრონები ვენახი და როგორც წესი ეზო თალრით არის დამშვენებული . კოლმეურნეობაში მევენახეობის 11 ბრიგადაა. წელიწადში სახელმწიფოს 3500-4000 ტონა ყურძნს მიჰყიდნიან. მევენახეობა კოლმეურნეობის ეკონომიკის ძირითადი დარგია. ვენახები კოლმეურნეობას ალაზნის ველზე და ივრისპირეთში აქვს გაშენებული.

როგორც ავღნიშნეთ, კოლმეურნეობაში არის მეძროხეობის, მეღორეობის და მეცხვარეობის მ ძლავრი ფერმები. აქ ეს დარგები ტრადიციულად ვითარდება .

მეძროხეობა. ფერმაში, რომლის ნაგებობანი ავტომატიზებული და მექანიზებულია, თანამედროვე ზოოვეტერინალურ წესებს სრულად აკმაყოფილებს, 820 სული მსხვილფეხა პირუტყვია,

მელორეობის ფერმაც კარაგა ხანია რენტაბელურად მუშაობს. ყველანაირი წესი დაცულია და ასაგეგმო დავალებები გადამეთტებით სრულდება. ფერმაში ექვსი ბრიგადაა. 1860 ღორს ორმოცი კაცი უვლის და პატრონობს.

მეცხვარეობა. ოდითგანვე ბოდბისხეველი მეცხვარეები განთქმულნი არიან თავინთი საქმიანობით. მეცხვარეობის ფერმის ორ ბრიგადაში 14 მწყემსია. ისინი სანიმუშო მოვლაპატრონობას არ აკლებდნენ პირუტყვსა და საგეგმო დავალებსზე ასრულებდნენ. მეცხვარეობის, სოფლის ამ ტრადიციული საქმის , წინსვლისთვის ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ვეტერინარებიც. ადერე ბოდბისხევეში ათეულ ათასობთ ;ცხვარი ჰყავდათ, მაგრამ ბოლო წლებში შემცირდა მისი რიცხვი , ახლა 2500 სული ჰყავთ.

აი ასე შრომობდნენ, სოფლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ბოდბისხეველები. ამ ღონიერი საზოგადოებრივი მეურნეობის ჩამოყალიბებამდე განვლილი გზა რთული მოვლენებით იყო

ბოდბისხევის ბაზარი. აღსანიშნავია სოფლის ერთ-ერთი გამორჩეული ობიექტი , ბაზარი , რომელიც ყოველ კვირა დღეს იმართება. 1914 წელს სოფელ ბოდბისხევეში გაიხსნა დიდი ბაზარი , რომელსაც სრულიად აკმაყოფილებდა სიღნაღის ამქართა ნაწარმი. ამ ბაზრით , გარდა კახეთისა, სარგებლობდა მისი მოასაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობაც : ლეკები, აზერბაიჯანელები და სხვ. რომლებიც ვაჭრობდნენ , როგორც ფულით, ასევე პროდუქტის გაცვლით.

სურათში ასახულია სოფელ ბოდბისხევის ბაზრის მიდამოები და ვაჭრები , რომელთა პრობლემაც არის ბაზრის შენობის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ,არარსებობს შესაბამისი სავაჭრო დახლებისა და თაროების სექციები, რაც ეფექტურს და მოსახერხებელს გახდიდა ვაჭრობისათვის .

სურათი 2.5 ბოდბისხევის ბაზარი



3.9 სოფ.ბოდბისხევის ღირსშესანიშნავი კულტურულ-ისტორიული ძეგლები

ბოდბისხევი, სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტი!

მდებარეობს გომბორის ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთაზე. სიღნაღიდან 8 კმ და ზღვის დონიდან 550 მეტრზე. უძველესი სოფელი, რომელიც მრავალსაუკუნოვანი საინტერესო ისტორის მქონეა, მოსხენებული აქვს თვით ვახუშტი ბაგრატიონს „ხორნაბუჯის დასავლეთით არის ბოდბისხრევი, პირველწოდებული ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა... ამ ხევსა ზედა არის ბოდბის ეკლესია, გუმბათიანი, დიდშენი, მშვენიერი.“

სწორედ ამ ხევის მიმდებარე ტერიტორიაა, სადაც ვხვდებით უმაღლეს მთაზე წარმომართულ წმინდა ნიკოლოზის ტაძარს, რომელიც სოფლის ყველა კუთხიდან ჩანს და უფლის ნებით და ლოცვით იცავს ბოდბისხდეველებს.

ეს ის ადგილია, მრევლი უხვად რომაა. ეს ის სოფელია თავისი მიწის სიყვარული რომ იცინ. ერთ სოფელში ორი წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი- ძველი საუკუნებისა და ახალი, პატივისცემის ღირსია. ეს ის ხალხია , ვინც საკუთარი ტაძრის , მისი ყოველი ქვის თუ სანთლით გამურული უძველესი კედლის თაყვანისცემა , რწმენა და პატივისცემა იცინ. მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ისტორიიდან ბოდბისხევში ექვსი ტაძარი ცოტა არაა.

აღსანიშნავია სოფელში რმდენიმე მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლებისა , არის ასევე იროდიონ ევდომვილის (ხოსიტაშვილი) სახლ-მუზეუმი. იგი იყო ცნობილი საბავშვო პოეტი.

მუზეუმის კოლექციების მოკლე აღწერა : მუზეუმში დაცულია ქართველი მწერლის იროდიონ ევდომვილის (1873-1916წწ.) მემორიალური ნივთები,ყოფითი და ეთნოგრაფიული მასალა - ჭურჭელი, ავეჯი, გრ. ჩირინაშვილის მიერ შესრულებული ორო ფერწერული ტილო, ფოტო და დოკუმენტური მასალა .

სურათი 2.6 იროდიონ ევდომვილის სახელობის მუზეუმი





სურათი 2.7 დამთვარიელებლები მუზეუმში





სურათი 2.8 მუზეუმის ეზო

წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი მდებარეობს სოფლის ყველაზე მაღალ მთაზე. საქართველ ოს ტაძართა შორის , რომლებიც წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა, ერთ-ერთი უძველესი ტაძარია და განეკუთვნება 6-9 საუკუნეებს. იგი დაჰყურებს წმინდა მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარს და იქმნებაერთიანი კომპლექსი. მნახველისთვის და მლოცველისთვის ეს საოცარი სანახაობა, რომელიც ყველა მხრიდან ჩანს , დიადად გამოიყურება; ბაღებს აზრს რომ ბოდბისხევეში უამრავი საუკუნის წინ ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი მრევლი იყო და წირვა-ლოცვები აქტიურად ტრადებოდა. ტაძრის შიგნით არის სამი საკურთხეველი. სამი წმინდანის სახელზეა ნაკურთხი: ძირითადი - წმინდა ნიკოლოზი , წმინდა ბარბარე და ღვთისმშობლის მიძინების . ტაძარი სამნავიანი ბაზილიკის სტილისაა.

სურათი 2.9 წმინდა ნიკოლოზობის ეკლესია „გარედან ხედი



სურათი 3.1. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის საკურთხეველი




სურათი 3.2. წმინდა ნიკოლოზობის ეკლესია დაჰყურებს მარიამ ღვთისმშობლის მიწინების სახელობის ტაძარს .




მარიამ ღვთისმშობლის მიწინების სახელობის ტაძარი, განეკუთვნება 18 საუკუნეს, ერთნავიანი ბაზილიკური ტიპის. ულამაზეს ადგილას მდებარეოს და უამრავი მრეელი და მომლოცველი ჰყავს. მრავალსაუკუნოვან ძეგლს დიდი ისტორია აქვს. საბჭოთა კავშირის დროს ტაძარი ააოხრეს,ხატები გამოიტანეს, გვერდით პატარა ოთახი მიუშენესდა კოლმეურნეობის ხორბლის საყრელ საწყობად გადაქციეს. სოფლის მრეელი მაინც პატრონობდა და ღამით ტაძრის გარშემო ,გარედან სანთლებს ანთებდნენ. დღესაცა შემორჩენილი ალით გამურული კედლების ნაკვალევი. შემდგომ

პერიოდში, როცა დრო შეიცვალა მამა დავითის (გრიგალიშვილის) ძალისხმევით ტაძრის რასტარვაცია გაუკეთდა და კვლავ წირვა-ლოცვა

სურათი 3.4 მარიამ ღვთისმშობლის მიზინების სახელობის ტაძარი



სურათი 3.5 მარიამობის ტაძრის საკურთხეველი



სურათი 3.6 ამაღლების ტაძრი



ამაღლების ტაძარი თარიღდება 15-18 საუკუნეებით

ერთნავიანი ბაზილიკა. რესტავირებულია პირვანდელი სახით. ამამღლების ეკლესიის დიაკვანი იყო ისაკ თადას ძე ხოსიტაშვილი, ცნობილი მწერლის იროდიონ ევდოშვილის მამა. თვით იროდიონიც 1873 წელს 18 მაისს მოინათლა ამავე ეკლესიაში . მუზეუმში ინახება ისაკის ნაქონი ღვთისმშობლის ხატი 18-მე საუკუნის და მისივე წიგნი - „სადმართო სჯულის ისტორია“, რომელიც ოჯახის ინფორმაციით გამოცემულია 1801 წელს. იმ დროს, როცა ეკლესიასა და საულიერო პირებს დევნიდნენ, აღნიშნულ

ხატთან ხოსიტაშვილების სახლში ლოცულობდნენ და ანთებდნენ სანთლებს. ამას მოწმობს უძველესი კედელი , სადაც არის სანთლის ალის ნაკვალევი (მუზეუმი სათუთად უფრთხილდება)

ამაღლების ტაძრის რესტავრირება გახდა შესაძლებელი 2018 წელს ადგილობრივი მრევლის დახმარებით.

სურათი 3.7. ფერისცვალების სახელობის ტაძარი



ფერისცვალების სახელობის ტაძარი (10- 12 -მე სს.) მარავალჭირნახულიაა . ტაძრის დღესასწაული 19 აგვისტოა. კედლებში ჩაყოლებულია მოჭიქული ქვები . საუკუნებს გადარჩენილი , მაინც ვერ გადაურჩა ჟამთა სვლას და ჩამოიშალა. მის შემოგარენში

უამრავი სამარხია წარწერით. მრევლს უყვარდა თავისი ტაძარი .დაწყებულია აღდგენა და იმედია მრევლის დახმარებითა და სხვათა დახმარებით მალე ვიხილავთ მის პირვანდელ სახეს, რადგან ეს ტაძარი ბოდბისხევის ისტორიაცაა და სალოცავიც.

წმინდა ივლიტა და კვირიკეს სახელობის ტაძარი (15-17-მე სს.)

ერთნავიანი ბაზილიკა. წმინდა ივლიტა და კვირიკეს სახელობის ტაძარი - მდებარეობს ბოდბისხევში. ამ ადგილს ჭაბანებს ეძახიან. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ეზოდან თეთრად მოჩანს თეთრ ნისლში გახვეული და მრევლს მისი ნახვა სულიერ ძალას მატებს. ამ უძველეს ადგილს არაერთი ქართველი დაატყდა. შემდგომ პერიოდში უკვე აღდგენილ ტაძარში , საუკუნების შემდეგ პირველად ჩატარდა ღვთისმსახურება , აღვლინა წირვა მამა ზურაბის მიერ 2014 წლის 28 ივლისს.

სურათი 3.8 წმინდა ივლიტა და კვირიკეს სახელობის ტაძარი



წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრი (21-მე სს.)

ორნავიანი ბაზილიკა. მდებარეობს სოფლის ცენტრში . გადმოცემის მიხედვით ამ ადგილას უდიდესი სამონასტრო ცხოვრება ყვაოდა. აქ ყოფილა მამათა მონასტერი , შემდეგ დედათა მონასტერი. . ამ ადგილს „ზვარე“ არქვა. მონასტერი დაურბევიათ და მის ადგილას ღვინის მარანი აშენებულა. უფროსებს დღესაც ახსოვთ მარანი. საბჭოთა წყების დროს კი ყველაფერი განადგურებულა და აქ სოფლის კოლმეურნეობა , ფოსტა და ა. შ. დარსებულა.

ამხელა ისტორია აქვს სოფელს, ამდენი ტკივილი მიწას. დრო გავიდა და აქ წმინდა ნიკოლოზის ტაძარი აშენდა . ახალგაზრდაკაცი, სიმონ დულაშვილი, რომელმაც საკუთარი სახსრებით დაიწყო მშენებლობა , ბეგლარ დულაშვილმა დანელი პავლიაშვილმა დაასრულეს ტაძრის მშენებლობა სოფლის და მრევლის თანადგომით. ტაძრის პირველი პარაკლისი 2008 წელს 19 დეკემბერს გადაიხადა მამა დავითმა (გრიგალიშვილი) , გაიმართა მრევლის ფეხით მსვლელეობა. 2009 წელს 17 სექტემბერს მამა დავითი გარდაიცვალა . სიმონ დულაშვილი ტაძრის ეზოშია დაკტძალული.

ტაძარი მუდამ მრევლითა სავსე .ეს მამაა ზურაბის დიდი დამსახურებაა. ულამაზესი წმინდა ნიკოლოზის ტაძარი დგას სოფლის შუაგულში და აქედან ყოველდღიურად აღევლინება ლოცვა ერისთს. ტაძრის დღესასწაული არის 19 დეკემბერი , 22 მაისი.

სურათი 3.9 მოქმედი წმინდა ნიკოლოზის სახელობის



3.10. დარგობრივი გეგმარებითი მიზნები

ამ ეტაპის საბოლოო მიზანს წარმოადგენს იმ დარგობრივი რუკების შედგენა, რომლის მიხედვით ჩატარდება ტერიტორიის ზონირება გამოყენების განსაზღვრის მიზნით.

შესაძლებელია გამოიყოს მიზნების სამი ძირითადი ტიპი :

- შენარჩუნება
- განვითარება
- გაუმჯობესება

მიზნების პირველი ტიპი - შენარჩუნება - ორიენტირებულია ბუნებრივი გარემოს არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ტერიტორია ან არ გამოიყენება, ან დატვირთვა ატარებს ექსტენსიურ ხასიათს. შენარჩუნებას შეესაბამება ღონისძიებათა ან ქმედებათა შემდეგი სახეები: გამოუყენებლობის შენარჩუნება; ექსტენსიური გამოყენების შენარჩუნება; ინტენსიურ გამოყენებაზე უარის თქმა და მისი გადაყვანა ექსტენსიურ ფორმებზე; უარის თქმა გამოყენების თანამედროვე ფორმებზე.

მიზნების მეორე ტიპი - განვითარება - ორიენტირებულია ტერიტორიის განვითარებაზე ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულია მისი როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური გამოყენება. მიზნის რეალიზაციას, ტერიტორიის გარემოსდაცვითი სტატუსი ან რჩება, ან იწვევს ერთი საფეხურით. მიზნისთვის „განვითარება“ შესაძლებელია ღონისძიებათა შემდეგი ტიპი:

- არსებული ექსტენსიური გამოყენების შენარჩუნება;
- არსებული ინტენსიური გამოყენების შენარჩუნება მისი შეფასების და რეგლამენტირების პირობით;
- არაგამოყენებადი ტერიტორიის გადაყვანა ექსტენსიური გამოყენების კატეგორიაში;
- გამოყენებადი ან სუსტად გამოყენებადი ტერიტორიის გადაყვანა ინტენსიური გამოყენების კატეგორიაში.

მიზნების მესამე ტიპი - გაუმჯობესება - ითვალისწინებს მხოლოდ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ემსახურება ლანდშაფტის გაუმჯობესებას. ეს ეხება იმ ტერიტორიებს, რომლებიც განიცდიდნენ ან ახლავ განიცდიან ძლიერ (ინტენსიურ) ზემოქმედებას.

დარგობრივი მიზნების განვითარების ტიპის განსაზღვრა ხორციელდება მნიშვნელობის და მგრძობელობის რუკების ანალიზის საფუძველზე. მიზნების ტიპების მიხედვით ტერიტორიის ზონირება (ფუნქციების განსაზღვრა) რეალიზდება შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:


- მიზანი „შენარჩუნება“ განისაზღვრება იქ, სადაც ტერიტორიას გააჩნია მაღალი მნიშვნელობა და მგრძობელობა;
- მიზანი „გაუმჯობესება“ განისაზღვრება იმ ტერიტორიებისათვის, რომელთაც გააჩნიათ დაბალი მნიშვნელობა;

მიზანი „განვითარება“ განისაზღვრება დანარჩენი ტერიტორიებისთვის, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მდგრადობის შეფასებას, როგორც მგრძობელობის ერთ-ერთ კრიტერიუმს. საშუალო მდგრადობის ან არამდგრადობის შემთხვევაში ტერიტორიისთვის არ განისაზღვრება „განვითარების“ მიზანი. დაცვით. (ლან. დაგეგმარება ნ. ელიზბარაშვილი; 2009წ)


ბოდბისხევის დარგობრივი გეგმარებითი მიზნების განსაზღვრისას შემუშავდა დარგობრივი რუკები, რომელებიც ითვალისწინებს ტერიტორიის ზონირებას, შენარჩუნება, განვითარება და გაუმჯობესება

სურათი 4.1

სურათზე ასახულია სოფ. ბოდბისხევის წყლის მიწოდების პრობლემა, რომელიც ნათლად ცანს რომ მოითხოვს არსებული სიტუაცია მის მის განვითარებას და გაუმჯობესებას სოფლის უმეტეს ტერიტორიაზე




სურათი 4.2 წყლის ხარისხიგ საკმაოდ დამაკმაყოფილებელი სურათი გვაქვს სოფლი მამტაბით , რაც ამ ეტაპზე საჭიროებს შენარჩუნებას არსებული მდგომარეობის .




სურათი 4.3 მკვეთრად გამოხატული სიტუაცია ზოგადად სოფლის სამხრეთით, სადაც სოფ.ბოღბისხევის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მკიდროდ არის


დასახლებული, რაც ნარჩენების გავრცელების არეალს წარმოადგენს, იგი საჭიროებს მეტი ნაგავსაყრელი ყუთების დამატებას და მათ რეგულარულ გასუფთავებას.




სურათი 4.4 გარეგანათების პრობლემა ინფრასტრუქტურის ერთერთი სახეობა სევე მნიშვნელოვანია ,მთავარი სავთომობილო მაგისტრალის გარდა მოხდეს გამოყოფილი უბნების კეთილმოწყობა და გაუმჯობესება



სურათი 4.5 პრობლემური გზაც შეინიშნება სოფლის მიდამოებში ,გარდა როგორც ვთქვით მთავარი სავტომობილო გზის მონაკვეთის გარდა, აღნიშნული მდგომარეობა საჭიროებს განვითარებას



სურათი 4.6 ხმაურის პრობლემა სოფ. ბოდბისხევში



3.11. ინტეგრირებული გეგმარებითი მიზნები

ტერიტორიის გამოყენების ინტეგრირებული კონცეფცია რეკომინდირებულია შემუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების (მათ შორის რეალური გამოყენების და თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით) ტერიტორიის რესურსული პოტენციალის და ცალკეულ ბუნებრივი კომპონენტის ფორმულირებული მიზნების ანალიზის საფუძველზე.

კონცეფცია (რუკის სახით) მუშავდება იმ მიზნით, რათა:

- **გამოიყოს** ის ტერიტორიები, რომელთათვის რეკომინდირებულია ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
- **განისაზღვროს** ის ტერიტორიები, რომლებიც გამოირჩევიან ეკოლოგიური პრობლემებით და რომელთათვის საჭიროა მიღებულ იქნას განსაკუთრებული ღონისძიებები მათი გაუმჯობესებისათვის;
- **დაზუსტდეს** ტერიტორიის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

რუკა -კონცეფციის შინაარსის სამი ძირითადი კომპონენტი ინტეგრაციის შედეგად საშუალებას იძლევა ტერიტორიულ დონეზე გაიმიჯნოს ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, გამოიყოს მათი გადაჭრისათვის შესაბამისი ტერიტორია, მათი ოპტიმიზაციისთვის შემუშავდეს ქმედებათა მიმართულებანი .

ამგვარი ტერიტორიების გამოყოფა ხორციელდება კალკულ კომპონენტთა - ბიოტოპების, ნიადაგების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ჰავის, ლანდშაფტების-გამოყენების მიზნის შედარების შედეგად . ლანდშაფტთა გამოყენების ოპტიმიზაციის საფუძველი მათი პოტენციალი და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციაა.

ინტეგრირებული გეგმარებითი მიზნები სასურველია შემუშავდეს დარგობრივი მიზნების რუკების ანალიზის საფუძველზე. თუ დარგობრივი მიზნების არეალები ერთმანეთს არ ემთხვევა, ინტეგრირება ხორციელდება პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენებით. ინტეგრირებული მიზნების რუკას ემატება სპეციალური ტექსტი, სადაც აღწერილ იქნება ტერიტორიის განვითარების ზოგადი კონცეფცია . ამგვარ ტექსტში ასახული უნდა იყოს :

- გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი თავისებურებანი;

- გეგმარებითი წინადადების ძირითადი სახეები;
- საბაზო სტრუქტურათა ჩამონათვალი , რაც უზრუნველყოფს განვითარების რეალიზაციას.

გეგმარებითი ტერიტორიისთვის შესაძლებელია განისაზღვროს ქმედებათა და ღონისძიებათა შემდეგი მიმართულებები (ტიპები)

- ტერიტორიისთვის საერთო ღონისძიებები , რომლებიც მიზანმიმართული იქნება განვითარების კონცეფციის რეალიზაციაზე; აქ შეიძლება გაერთიანდეს როგორც ზოგადი ხასიათის , ისე ლანდშაფტური გეგმის რეალიზაციისთვის სამართლებრივი ნორმატივების შემუშავება, წინადადებები ტერიტორიის მართვის ფუნქციური სტრუქტურის რაციონალიზაციისთვის , სხვადასხვაგვარ საქმიანობათა ფორმები და სხვ.
- ღონისძიებები ტერიტორიის ცალკეული უბნის არსებული ან გეგმარებითი გამოყენებისთვის (მიზნობრივი ზონების გამოყოფა არსებული და გეგმარებითი გამოყენებისათვის)
- ღონისძიებები, დაკავშირებული შენარჩუნების მიზნის მისაღწევად;
- ღონისძიებები სოციალური სფეროს გაუმჯობესების მიზნით.

ცალკეულ ქმედებათა აღწერა მიზანშეწონილია განხორციელდეს მეურნეობის და მიწათსარგებლობის დარგობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით (მაგალითად, ცალკე სოფლის მეურნეობისთვის, სატყეო მეურნეობისთვის, ტურიზმის ან სოციალური სფეროსთვის და ა.შ.) მაშტაბურობის ერთგვაროვანი ღონის და ქმედებათა დეტალურობის პრინციპის დაცვით.(ლან.დაგეგმარება ნ.ელიზბარაშვილი;2009წ)

ინტეგრირებული გეგმარებითი მიზნების შემუშავების შედეგად გამოიკვეთა სოფლის კვლევისას და მოსახლეობის სოციალური გამოკითხვის შედეგად გეგმარებითი ტერიტორია, რომელსაც გააჩნია რეკრაციული პოტენციალი და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან დაინტერტესებას, რომ შექმნას ესთეტიკური და რეკრაციული გარემო მოსახლეობისათვის.

სურათი 4.7 სოფელი ბოდბისხევის ინტეგრირებული გეგმარებითი უბანი ;ტერიტორია მოიცავს რამდენიმე ჰექტარ ნაძვნარს ,რომელიც მოსული თუ ადგილობრივი მოსახლეობისათვის დასვენების პოტენციალს წარმოადგენს.



დასკვნა: მესამე თავში წარმოდგენილია სოფელი ბოდბისხევის ბუნებრივი გარემოს დახასიათება, მისი პოტენციალი, შეფასება და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრება, ხასიათი, ასევე ვეცნობით სოფლის მნიშვნელოვან კულტურულ ფასეულობებს, რომელიც ქმნის სოფლის ისტორიას. სოფელში არსებობდა რიგი ეკოლოგიური პრობლემები, რაც მძიმე შედეგს იწვევდა და არა ესთეტიურ გარემოს ქმნიდა, საბედნიეროდ შემუშავდა პროექტები და მოხდა არსებული კონფლიქტების აღმოფხვრა. სოფლის დარგობრივ და ინტეგრირებულ მიზნებში წარმოდგენილია მისი

არსებული პრობლემის აღმოფხვრის, მდგომარეობის გაუმჯობესების და განვითარების გეგმა, რაც მოგეხსენებთ წარმოადგენს სოფლის მდგრად ეკოლოგიურად ორიენტირებულ განვითარებას.

მეოთხე თავი. მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების დადგენა , დასკვნითი ნაწილი და ანალიზი.

4.1 სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდოლოგია

კვლევის ერთ-ერთი მეთოდად აღებული იქნა ასევე ინტერვიუები. ინფორმაციის მიღება გარკვეულწილად შესაძლებელია მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგადაც, რისთვისაც უნდა შეიქმნას სპეციალური კითხვარი. კითხვარი დაიყოფა 6 მიმართულებად : 1. ბუნებრივი რესურსები. 2. მოსახლეობის ცხოვრების დონე 3. ეკონომიკა- სოფლის მუეურნეობა. 4. ეკოლოგიური ცნობიერება. 5. ეკოლოგიური პრობლემები . 6. ადგილის შესაბამისობა საცხოვრებლად. აღნიშნულთაგან, კვლევის თემატიკიდან გამომდინარე ყურადღება გამახვილებული იქნება გარემოს დაცვასა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. გათვლილი იქნება სხვადასხვა ასაკის რესპოდენტებზე. მოპოვებული ინფორმაცია დამუშავება და ვიზუალიზაცია მოხდება GIS ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიქმნება შესაბამისი რუკები და მონაცემთა ბაზები.

კვლევის წარმართვისათვის და ეფექტურობისათვის აღმოჩნდა ხელსაყრელი გზა , ადგილობრივი მოსახლეობის , ასევე სკოლაში, გამოკითხვის მეთოდიკა. კითხვარი მოზარდებთან განსხვავებული სპეციფიკის იყო და შემოიფარგლებოდა თუ რამდენად გათვითცნობიერებულია გარემოს პრობლემატიკისადმის და სკოლაში არსებული დისციპლინა აქტიურად განიხილავდა თუ არა გარემოს მნიშვნელობას.

კითხვარის სრულიად აღების შემდეგ მოხდა მათი განსაზღვრულ კვოტებში დაჯგუფება და ანალიზი, რაც წარმოდგენილი იქნება სამაგისტრო ნაშრომის ბოლო თავში- კვლევის შედეგებში.

ახლა კი კითხვარი, რომლის მეშვეობით განხორციელდა ბოდბისხევის სოციოლოგიური კვლევა:

კითხვარი

სახელი----- გვარი----- ასაკი--- პროფესია---

1. კომფორტულია თუ არა თქვენთვის საცხოვრებელი ადგილი ?
2. როგორ შეაფასებდით ადგილობრივ კლიმატს ?
3. შეინიშნება თუ არა ბუნებრივი კატასტროფები : თავსხმა წვიმები , წყალმოვარდნები , უღვარცოფები, სეტყვა , გვალვა , გაუდაბნობა, და ა. შ. ? კონკრეტულად რომელია გამოკვეთილად და ინტენსიურად ?
4. ხელსაყრელია თუ არა სოფ. ბოდბისხევის კლიმატი სოფლის მეურნეობისათვის ? რომელი მიმართულებისათვის ?
5. სოფლის მეურნეობა შესაბამეა თუ არა ბოდბისხევის ბუნებრივ პოტენციალს ?
6. როგორია სასმელი წყლის ხარისხი ?
7. რამდენად რაციონალურად მოხმართ წყალს და შეინიშნება თუ არა მისი დეფიციტი ?
8. როგორ შეაფასებთ სოფლის გარშემო ტყის რესურსებს ?
9. რამდენად ინტენსიურად მიმდინარეობს ხე-ტყის რესურსის გამოყენება ?
10. ხდება თუ არა ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებით მონიტორინგი ?
11. ხორციელდება თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ , ტყის აღდგენა ?
12. იცით თუ არა ტყეში მოზინადრე არსებების შესახებ და ხდება თუ არა ნადირობა ?
13. როგორ შეაფასებდით ეკოლოგიურ მდგომარეობას სოფლისას ?
14. რა დონეზეა გარემოს დაცვა ?
15. არის თუ არა სოფელში ნაგავსაყრელების პრობლემა ?
16. რამდენად ზრუნავს მთავრობა გარემოს შენარჩუნებაზე და დაცვაზე ?
17. ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება გარემოსადმი და მასზე ზრუნვა ?
18. რემდენად ურთიერთშეთანხმებულია მოსახლეობის და სახელმწიფოს ინტერესები ?
19. ინფორმირებულია თუ არა მოსახლეობა ეკოლოგიურ კანონმდებლობაზე ?
20. არის თუ არა ტურიზმის /ეკოტურიზმის განვითარება და პოტენციალი ?
21. რამდენად იყენებთ ადგილობრივ გარემოს რეკრაციისთვის ?
22. ხომ არ ისურვებდნენ სოფელში რეკრაციული ზონის შექმნას ?
23. მოსახლეობა რამდენად მიჩნევს გარემოს მიმზიდველად , ესთეტიკურად და რას აკეთებს შესანარჩუნებლად, ან კეთილმოწყობისათვის ?
24. შეინიშნება თუ არა მოსახლეობის ზრდა ?
25. რამდენად მოქმედებს სოფელში მოსახლეობის მიგრაციული პროცესები მის განვითარებაზე ?

26. დასაქმების დონე და კონკრეტულად რა მიმართულებებია ?
27. ციფრული კომუნიკაციის (ინტერნეტი, ტელევიზია) განვითარების დონე ?
28. რამდენად შეაფასებთ სოფ . ბოდბისხევის ბაზრობის პოტენციალს ?
ისურვებდით მის კეთილმოწყობას ?
29. ბაზრის რეკონსტრუქცია რამდენად ხელს შეუწყობს სოფლის განვითარებას ?

4.2 არსებული პრობლემებისა და საფრთხეების ანალიზი

სოფელ ბოდბისხევში ბუნებასა და ლანდშაფტზე გავლენას ახდენს და ხშირ შემთხვევაში საფრთხესაც იქმნის სხვადასხვა ქმედებები, რომლებიც უკავშირდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ბოლო პერიოდში ლანდშაფტისა და ბუნებრივი რესურსების მოხმარებას (მაგ. გადამოვება, ეროზია ,ტყის ჩეხვა) ტურიზმს და რეკრეაციას (მაგ. არაკონტროლირებადი განვითარება), ან ისეთ პრობლემებსაც კი, რომელთა გადაჭრაც არ მოხდა ეროვნულ დონეზე (მაგ. ნარჩენების მართვა).

დღეისათვის ,სოფელში არსებული პრობლემების უმრავლესობა სათავეს იღებს კომუნისტების პერიოდიდან, როდესაც საბჭოთა ეკონომიკის გავლენით ცხოვრების ტრადიციულ წესში დიდი ნაპრალი გაჩნდა . ფაქტია, რომ კომუნისტების დროს, უდიდესი გავლენა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობაზე, ცხოვრების დონეზე და შეიძლება ითქვას ხასიათზე. ნებისმიერი დარგი და მიმართულება აღორძინების და განვითარების უმაღლეს სტადიაზე იყო. სოფლის ნებისმიერი მკვიდრი , შეძლებული თუ გლეხი , ყველა ჩაბმული იყო კომუნისტურ ბრიგადებში სამუშაოდ. კოლმეურნეობის დროს სოფელში მემინდვრების სამი ბრიგადა , მევენახეობისა -11, მებოსტნეობა-მებაღეობისა -3, მეძროხეობის ფერმა - 5, მეღორეობის ფერმა -6 ბრიგადით , მეცხვარეობის ფერმა- 2 ბრიგადით და ერთი მეფრინველეობის ბრიგადა, იყო სააგურე, სკირე , გაჯის საწარმო. საბჭოთა კრახის შემდგომ ბუნებრივია შეიცვალა სიტუაცია ზოგადად და არც გამოწაკლისი სოფელ ბოდბისხევის მოსახლეობის საქმიანობა იქნებოდა. გამოკითხულთაგან , რომლებიც სოფლის ასაკოვან მკვიდრს წარმოადგენს, კარგად ახსოვთ კომუნისტური რეჟიმის დროს

სამუშაო ბრიგადების არსებობა .მათ დროს სოფელში ცხოვრება გაცილებით კარგი იყო , რადგან ყველას შეძლო სურვილის მიხედვით მუშაობა ,არ იყო გაჭირვება . დღესდღეისობითაც არსებობს სოფელში რამდენიმე სამუშაო ბრიგადა , ჯგუფი რომელიც მოსახლეობის მცირე რაოდენობის დასაქმებით შემოფარგლება. ფაქტია რომ ძველებურად როგორც კომუნისტების დროს ბოდბისხევეში არ დომინირებს არცერთი დარგი . ზოგადად თვლი, რომ არა ბოდბისხეველების, საერთოდ საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემა.

თემის აქტუალურობის დროს ყურადღება მახვილდება სოფლის ადგილის შესაბამისობა საცხოვრებლად, ბუნებრივი რესურსები, ეკოლოგიური ცნობიერება, მეურნეობა, მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების დონე, ეკოლოგიური პრობლემები. გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შდეგად გამოიკვეთა **სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური თავისებურებები და პრობლემები:**

კლიმატის ცვლილება

ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილება ,რომელიც განაპირობებს საქმიანობას და ქმედებებს მის შესაბამისად. ბოდბისხევი ,როგორც ვთქვით, მდებარეობს ზღვის დონიდან 550 მეტრზე , გომბორის ჩრდილო-დმოსავლეთ კალთაზე,ტუხას ელელტეხილის მთის ძირას. ბოლო რამდენიმე ათწლეულია ,შეინიშნება კლიმატის მკვეთრი ცვლილება,გაზრდილი ტემპერატურა და ნალექების არათანაბარი გადანაწილება, უფრო ხანგრძლივი გვალვები, ძლიერი ქარიშხლები ,სეტყვა, წვიმა და ა. შ. ყველა ამ ფაქტორმა შესაძლოა მძიმე გავლენა იქონიოს ეკოსისტემის ეკოლოგიურ სტაბილურობაზე და საფრთხე შეუქმნას ბუნებრივი რესურსების მდგრად მოხმარებას.

რა თქმაუნდა მკვეთრად გაზრდილი ტემპერატურა ხელის შემშლელი ფაქტორია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისათვის და სოფლის მაცხოვრებლები საკუთარ ბად-ბოსტანში მცირე მასშტაბებით ამუშავებენ მიწას, რადგან ასევე შეინიშნება წყლის მიწოდების პრობლემაც. მოსახლეობა ამახვილებს ყურადღებას, რომ ბოდბისხევეში ხშირი იყო თავსხმა წვიმების შედეგად ღვარცოფული ნაკადების წარმოქმნა,რაც კატასტროფულ შედეგს იწვევდა. წარმოქმნილი ღვარცოფული ნაკადი ჩაედინებოდა ხევი , ხშირად გადმოდიოდა და მიმდებარე ინფრასტრუქტირას თუ მოსახლეობის სავარგულებს ტბორავდა და ანგრევდა . ეს ხევი სოფელს ორ ნაწილად ჰყოფს და დამაკავშირებელ ხიდები წყალს მიჰქონდა. ამ ხევის რეკონსტრუქცია ,ბოლო

სამიოდე წელია, გახდა შესაძლებელი. როგორც ვთქვით სიმშრალის მომატება აღარ იწვევს ასეთ კატასტროფულ ღვარცოფულ ნაკადებს , მაგრამ გამოფიტვას შეუწყობს ხელს, რაც მოგეხსენებათ არ ეს არის დამაკმაყოფილებელი სიტუაცია. ბუნებრივი კონფლიქტებიდან სოფელში იკვეთება რამდენიმე ბუნებრივი მოვლენა რაც ბოლო წლებია აყალიბებენ და მოქმედებენ სოფლის ლანდშაფტზე, თავსხმა წვიმები, სეზონზე ხშირი სეტყვა, ტემბერატურის მკვეთრი მომატება და უჩვეულოდ თბილი და უნალექო ზამთარი.

სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა

ბოდბისხევის მაცხოვრებლებისათვის მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო პრობლემაა ,სასმელი წყლის მიწოდება. სოფლის გეოლოგიური აგებულების შესწავლის შედეგად , ბუნებრივი ფაქტორებიდან გამომდინარე , წყლის პოტენციური სხვადასხვაგვარია სოფლის ადგილმდებარეობის მიხედვით, მის ჩრდილოეთ ნაწილში საკმარისი მარაგია წყლის ჭაბურღილების , რომელიც სრულად აკმაყოფილებს ბოდბისხევის ჩრდილოეთით დასახლებულ მოსახლეობას, აქ მუდმივ რეჟიმში მისდით წყალი სახლის ეზოებში, რასაც ვერ ვიტყვით სოფლის სამხრეთით დადასახლებულ მკვიდრებზე . მათ გრაფიკის(ორ დღეში ერთხელ) მეშვეობით აქვთ შესაძლებლობა წყლის მიწოდება რაც თავისთავად არ არის დამაკმაყოფილებელი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისათვის.

არსებული ინფორმაციით დამტკიცდა პროექტი , რომელიც ბოდბისხევი და მიმდებარედ რამდენიმე სოფელში მიმდინარეობს ჭაბურღილების და რეზერვუარების გაკეთება . ეს პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სიღნაღის მუნციპალიტეტის თანადაფინსაებით ხორციელდება. რა თქმაუნდა სასიხარულო ინფორმაცია ეს , ბოდბისხეველების მთავარი პრობლემა ამოიფხვრება თუმცა სანამ პროექტი დასრულდება მანამდე შემაწუხებელი იქნება ეს პრობლემა მოსახლეობისათვის.

აღსანიშნავია ,რომ სასმელი წყლის ხარისხი მოსახლეობისათვის დამაკმაყოფილებელია.

ტყის ინვენტარიზაციის არარსებობა, ხე-ტყის უკანონო ჭრა ხე-ტყის ჭრა სერიოზულ გავლენას ახდენს ლანდშაფტზე და შეიძლება იქტვას რომ სოფლის ტყის რსურსები დეგრადირებულია. სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი სანქციების შემდგომ ხე-ტყის არალეგალური ჭრა შემცირდა.

ამაზე, სავარაუდოდ, გავლენა იქონია ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტენსიურმა კომუნიკაციამ და მკაცრმა ჯარიმებმა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს ეფექტური კონტროლი და ხე-ტყის უკანონი ჭრა ვერ ჩაითვლება სრულად აღმოფხვრილად.

ტურიზმისა და რეკრეაციის პოტენციალის განვითარება

ტურიზმის განვითარების პოტენციალი სოფელში ნამდვილად არის, ამას მოწმობს სოფელში არსებული კულტურული-ისტორიული ძეგლები, მრავალ საუკუნოვანი სამონასტრო კომპლექსები და ძალზე მნიშვნელოვანია მათი შენარჩუნება და გაუმჯობესება. სოფელში არსებობს იროდიონ ევდოშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი, რომელიც საჭიროებს რესტავაციას და ვიზიტორების მოზიდვას.

ინფრასტრუქტურა ამ კულტურულ ძეგლებისადმი მისასვლელი ნამდვილად მოსაწესრიგებელია, რაც ხდის ადვილად ხელმისაწვდომს მნახველთათვის. ვფიქრობ რომ მნიშვნელოვანი საწინდარია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურისტების მოსაზიდად და ადგილობრივი ეკონომიკის ეფექტურობისათვის.

მოსახლეობა მიჩნევს რომ, სოფელს აქვს რეკრეაციის სესაბამისი ტერიტორია და საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან დაინტერესებას და შესაბამისად დახმარებას მის კეთილმოწყობისათვის. ეს მცირე რამდენიმე ჰექტარი ადგილია, თუმცა ნამძნარი ხის ნარგავებით გამოირჩევა ეს ტერიტორია. ადგილობრივი მოსახლეობისათვის იქნება ესთეტიური და დასვენების ობიექტი.

მოსახლეობის მიგრაცა

ინფორმაციას სოფლის მოსახლეობის რაოდენობების შესახებ იძლევიან მოსახლეობის აღწერები. მოსახლეობის რაოდენობის დიამიკა საგრძნობლად მკვეთრად განსხვავებულია ბოლო რამდენიმე ათწლეულის შედეგების განხილვისას და შედარებისას. ფაქტია რომ ბოდბისხევის და არა მარტო ზოგადად ნებისმიერი სოფლის პრობლემა დღესდღეისობით საქართველოში, მოსახლეობის მიგრაციაა სოფლიდან ქალაქში. მიგრაციული პროცესები ბევრმა ფაქტორმა შეიძლება განაპირობოს, მაგრამ ამ შემთხვევაში სოფელს ტოვებს ძირითადად ახალგაზრდები რომელთაც აქვთ საგანამანათლებლო, დაუსაქმებლობა, თუ სხვა მიზეზებია. სოფელი ვერ აკმაყოფილებს ხალხის მასის მოთხოვნილებებს. სოფელი მოსახლეობით, მაშინ არის სავსე, როდესაც მნიშვნელოვანი დღესასწაულებია.

1989 წლის მოსახლეობის აღწერის მოხედვით სოფელ ბოდბისხევის მოსახლეობა შეადგენდა 4028 მცხოვრებს. **2002** წლის აღწერით - 3841-ს;
2014 წლის აღწერით - 2665-ს.

ეს მონაცემები ეკუთვნის საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. გენდერულ შემადგენლობას თუ გავითვალისწინებთ , კაცი 1276 და ქალი 1389. შემადგენლობით სჭარბობენ ქართველები (97, 8%) და მცირე რაოდენობით სომხები (1,5 %) (წყარო ,სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

4.3 მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერება

სოფელ ბოდბისხევის მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერება თანდათან განიცდის ტრანსფორმაციას, თუმცა ეს განსაკუთრებით სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობს. მოსახლეობა დანაზოგს უკეთებეს ბუნებრივ რესურსებს, ძირითადად ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან სანქციების ემინიათ.

ოდესღაც სოფელში მწვავე პრობლემა იყო ნაგავსაყრელების, არ არსებობდა შესაბამისი ნაგავსაყრელები და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრა ხდებოდა სოფლის ხევში ,რაც მძიმე ეკოლოგიურ თუ ეპიდემიურ კონფლიქტებს იწვევდა , მისი გასუფთავების საშუალებას, ღვაეცოფული ნაკადები წარმოადგენდა. საბუნდიეროდ ,ეს პრობლემა სრულად აღმოფხვრილია და სოფლის ქუჩებში არის ნაგავსაყრელი ყუთები , ადგილობრივი მოსახლეობას აქვს გააზრებული საწინაღმდეგო ქმედება და მაქსიმალურად ცდილობენ გარემოს მოწესრიგებას.

ფაქტია რომ ეკოლოგიური ცნობიერების დონე განვითარების სტადიაზეა, მოსახლეობის ფსიქო-ეკოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ნებისმიერი მკვიდრი, სკოლოს მოსწავლეების ჩათვლითაც კი, თვითვეული ბუნების კომპონენტი მნიშვნელოვანია, ეს იქნება ტყის რესურსები , მობინადრე ცხოველები და ფრინველები , წყლის რესურსები.და ა.შ რომლებიც წარმოადგენს სოფლის კულტურულ ლანდშაფტს, იერსახეს და ასევე ის კულტურულ ფასეულობები რომელიც სოფლის ისტორია.

4.4. სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები ნებისმიერი

ტერიტორიის ბალანსირებული განვითარება უკავავირდება სოციალურ-ეკონომიკურ და ბუნებრივ-ეკოლოგიურ ფაქტორებს. ნებისმიერი მათგანის

გაუთვალისწინებლობა იწვევს დისბალანსს და განვითარების პროცესის შეფერხებას. მაღალი ბუნებრივი ღირებულებების მქონე ტერიტორიებისთვის ეკოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინება აუცილებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მდგრადი საზოგადოებრივი და ეკოლოგიური განვითარებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტერიტორიული დაგეგმარების სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება. ამგვარი კონცეფცია მიმართულ უნდა იქნას კონფლიქტების რეგულირებისკენ : სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებსა და ტერიტორიის ეკოლოგიურ მდგრადობას შორის.

კონფლიქტების გამოვლენისთვის სასურველია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. რესურსმოხმარების ბალანსირებული მოდელირება;
2. საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების ოპტიმიზაციისთვის ქმედებების კოორდინირებული ინსტრუმენტების შემუშავება (ეკოლოგიურად ორიენტირებული მიწათსარგებლობის ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება);
3. ეროვნულ ინტერესების ბალანსირება და ტერიტორიის განვითარებისთვის ახალი (ალტერნატიული) რესურსების გამოვლინება, ბუნებრივი რესურსების მოხმარებისგან მიღებული შემოსავლების განაწილება
4. ლანდშაფტური და სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიული დაგეგმარების გამოცდილების გამოყენება სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ;
5. ადმინისტრაციულ ორგანოების სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფა

4.5 ლანდშაფტის მართვა და ლანდშაფტის მომსახურება

ლანდშაფტის მართვა – არსი და მნიშვნელობა

ლანდშაფტის მართვა სწრაფად განვითარებადი სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულებაა, რომლითაც დაკავებული არიან გეოგრაფები, ტერიტორიული დაგეგმარების და მართვის სპეციალისტები, სოციოლოგები, ურბანისტები, ლანდშაფტის არქიტექტორები, ეკონომისტები და სხვ. მისი არსი, უპირველეს ყოვლისა, გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებას და უზრუნველყოფას უკავშირდება. აქ იგულისხმება იმ სივრცითი ურთიერთობების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოიქმნება ადგილობრივ, რეგიონულ, ქვეყნის ან

გლობალურ დონეზე (არსებობს სივრცითი ურთიერთობების სხვა ფორმებიც: სასოფლო სივრცე – ურბანული სივრცე – ნაციონალური სივრცე).

ლანდშაფტის მართვის საბოლოო მიზანი ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემოს ჰარმონიული თანაარსებობაა. ამგვარი მიზნის მიღწევა კი შეუძლებელია იმ ბუნებრივი მექანიზმების ცოდნის გარეშე, რაც განაპირობებს ბუნებრივი გარემოს სტრუქტურისა და ფუნქციონირების გეოგრაფიულ თავისებურებებს. მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი პროცესები და ცნობიერება არსებითად განსაზღვრავს ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას, რის გამოც ამა თუ იმ ადგილისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების და საზოგადოების ქცევის კვლევა ლანდშაფტის მართვის აუცილებელი წინაპირობაა.(ნ.ელიზბარაშვილი, გამოყენებითი გეოგრაფის საფუძვლები,2016წ)

ამრიგად, ლანდშაფტის მართვა მრავალწახნაგოვანი საქმიანობაა, რომელშიც ჩაბმულია სამეცნიერო, პრაქტიკული (სამეურნეო) და ადმინისტრაციული წრეები.

ლანდშაფტი, ამ შემთხვევაში, განიხილება როგორც გეოეკოლოგიური ან სოციოეკოლოგიური სისტემა, რომელსაც გააჩნია მყარი ბუნებრივი საფუძველი და რომელიც ადგილობრივი მართვის ობიექტს. ამგვარი ხედვით, ნებისმიერი ტერიტორია წარმოადგენს სისტემური კავშირების ერთობას, სადაც მეტ-ნაკლები ხარისხით ურთიერთდაკავშირებულია ბუნებრივი და საზოგადოებრივი პროცესები. სივრცით მართვასა და დაგეგმარებაში ლანდშაფტური (პეიზაჟური) მიდგომა მას შემდეგ მოექცა საყოველთაო ინტერესის სფეროში, რაც კაცობრიობის მიერ აღიარებულ იქნა მდგრადი განვითარების პრინციპის საყოველთაო განხორციელების აუცილებლობა. მდგრადი განვითარებისთვის ლანდშაფტური „პოლიტიკის“ შემუშავება და ლანდშაფტური დაგეგმარება განვითარებულ სამყაროში თანამედროვე ქმედებათა შემადგენელი ნაწილი გახდა, რაც სივრცით მოწყობაში ინოვაციების, ადგილობრივი ინიციატივების, სისტემური და დეცენტრალიზებული მართვის აუცილებლობას ითვალისწინებს.

ლანდშაფტური მართვა უკავშირდება რთულ სისტემებს, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია ბუნება და საზოგადოება. ისინი ამ სისტემაში შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვადასხვა დონეების და „კერძო“ ინტერესების სახით. დონეებში იგულისხმება როგორც სივრცითი (მაგალითად – ლოკალური და რეგიონული, მთა და ბარი, სოფელი და ქალაქი, ეთნოსი და ხალხი), ისე ინტერესებით (მაგალითად – ბუნებრივი მოვლენები და პროცესები, რელიეფი და ჰავა, ჰავა და წყლები,

მცენარეულობა და ეკოსისტემები, ეკოსისტემები და მეურნეობა, რესურსები და ეკონომიკა, ეკონომიკა და სოციალური სფერო, მოსახლეობა და ეკოლოგიური ვითარება, სოციალური სფერო და ეკოლოგიური პროცესები, ეკოლოგიური პროცესები და ეკონომიკა) განსაზღვრული ურთიერთობები. გასაგებია, რომ ამგვარი ურთიერთობები უსასრულოდ შეიძლება წარმოვაჩინოთ, თუმცა ლანდშაფტური მიდგომა მათ მინიმიზაციის და სრულყოფილების საშუალებას იძლევა.

ლანდშაფტის მართვის **ინოვაციური ფორმები** გულისხმობს ადმინისტრაციული მართვის ვერტიკალზე ძალაუფლების გადანაწილებას ადგილობრივი მოსახლეობის (სამოქალაქო საზოგადოების) და კერძო სექტორის ინიციატივების სასარგებლოდ. ამგვარი მიდგომისას მართვა (ადმინისტრირება) ეფუძნება არაერთ პრინციპს, რომელთაგან ძირითადია: ადგილობრივი პრობლემების კომპლექსური შესწავლა (კვლევა), მათზე მოსახლეობის მაქსიმალური ფოკუსირება, ქმედებათა ადაპტაცია, ერთიანობა და მოქნილობა. გასაგებია, მართვის რომ ინოვაციური ფორმების რეალიზაცია მხოლოდ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელიუფლებას შორის ინტერესების გადანაწილების, კოორდინაციის და თვითორგანიზაციის, კონსენსუსის და ურთიერთშეთანხმების გზითაა შესაძლებელი.

ლანდშაფტის მართვა **დინამიური პროცესია**, რაც განპირობებულია ასევე დინამიური ბუნებრივი და საზოგადოებრივი პროცესებით. მართვის ეფექტურობა უკავშირდება ცენტრალური და ადგილობრივი პოლიტიკის ეფექტურობისა და მოქნილობის ხარისხს, რაც ლანდშაფტურ და ადმინისტრაციულ ცვლილებათა მაქსიმალურ თანხვედრას გულისხმობს. ამის გამოა, რომ როგორც ლანდშაფტის მართვაში, ისე ლანდშაფტურ დაგეგმარებაში ქმედებათა ხანგრძლივობა ძირითადად 5, იშვიათად კი 10 წლით განისაზღვრება. ამის შემდეგ როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე ადგილობრივი მოსახლეობა განხორციელებულ ქმედებათა რევიზიას და ახალ დაგეგმარებას ახორციელებს. (ნ.ელიზბარაშვილი, გამოყენებითი გეოგრაფის საფუძვლები, 2016წ)

ლანდშაფტის მართვა განსაკუთრებულად **ფოკუსირდება** ლანდშაფტის ეკოლოგიური, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ფასეულობების შენარჩუნებაზე, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე, სახელმწიფოს ეკონომიკურ (ტურისტულ) და სოციალურ პოლიტიკაზე.

ლანდშაფტის მართვა, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის და კერძო სექტორის ინტერესების, მათი ეკოლოგიური აქტიობის მეშვეობით და ცნობიერების გათვალისწინებით ხორციელდება (რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად ქვეყნებზე). სწორედ ამგვარი მიდგომით განისაზღვრება ლანდშაფტის ფუნქციები (რესურსული, გარემოსდაცვითი, გარემოსაღმდგენი, რეკრეაციული და სხვ.) და გამოყენების (დაგეგმარების) მიზნები. მას, როგორც წესი, ითვალისწინებს ადგილობრივი თუ რეგიონული (ფედერალური) ხელისუფლება. ასევე ხორციელდება ადგილობრივი რესურსების (ბუნებრივი, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) გამოყენების ფორმები. ამგვარი მიდგომით ყურადღება მახვილდება როგორც: 1. ლანდშაფტის კვლევით და დაგეგმარებით დაკავებული სპეციალისტების, ისე 2. ადგილობრივი მოსახლეობის მაღალ სოციალურ და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობაზე. (ნ.ელიზბარაშვილი, გამოყენებითი გეოგრაფის საფუძვლები, 2016წ)

ლანდშაფტის მართვაში ჩაბმული სპეციალისტები, ადგილობრივი მოსახლეობა და ადმინისტრაციული ორგანოები ლანდშაფტის ფუნქციებს და პერსპექტიული გამოყენების ფორმებს შეთანხმებულად განსაზღვრავენ და გარკვეული პერიოდით აკანონებენ. ამის გამოა, რომ ლანდშაფტის მართვაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **ურთიერთშეთანხმების** (სხვანაირად – მოლაპარაკების) პროცესს, რითაც მიიღწევა ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

ლანდშაფტის ეფექტური მართვა ძირითადად დამოკიდებულია იმ კონფლიქტების სწორად განსაზღვრაზე, რაც უკავშირდება ბუნებრივ და საზოგადოებრივ გარემოს. ამგვარი მიმართებით განსაკუთრებით საყურადღებოა უშუალოდ დაინტერესებული მხარეების ანუ **საზოგადოებრივი ინტერესების** გათვალისწინება. იგი ხდება ძირითადი ფოკუსი ლანდშაფტის მართვისას, რაც არ უნდა წინააღმდეგობრივი იყოს სამეცნიერო კვლევის შედეგები ან კერძო სექტორის მიზნები. ამგვარი მიდგომა მყარ საფუძველზეა ორიენტირებული – ადგილზე ვერც ერთი რეკომენდაცია ვერ განხორციელდება, თუკი ისინი არაა გათავისებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ან არსებითად ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს.

ამჟამად **განსაკუთრებით აქტუალურია** კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, რაც მიწათსარგებლობის, და შესაბამისად, ლანდშაფტის მართვის სპეციფიკური პოლიტიკის გატარებას საჭიროებს. ამ

მიმართულების მუდმივად იზრდება სამეცნიერო კვლევების მასშტაბები და გეოგრაფია, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებულია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინფორმაციას. ცნობილია, რომ რაც უფრო ნაკლებადაა ინფორმირებული მოსახლეობა გლობალურ პრობლემებზე და რაც უფრო „სპეციფიკური (სამეცნიერო) ენით“ ხდება მათი წარმოჩენა, მით უფრო რთულდება მეცნიერებისა და მოსახლეობის ჰარმონიული თანამშრომლობა.

ლანდშაფტის მართვა ძირითადად **ადმინისტრაციულ ფარგლებში** ხორციელდება, რაც ნაკლებად ითვალისწინებს ბუნებრივ გარემოს ელემენტების ან ეკოსისტემების საზღვრებს. ამგვარი მიდგომა კვლავ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ თუ განსახლების ინტერესებს ემსახურება. ამიტომ, არც თუ ისე ცოტაა შემთხვევა, როცა იდენტურ ან მსგავს ბუნებრივ გარემოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმოდგენილი მოსახლეობა განსხვავებულ მოთხოვნას „უყენებს“. განსაკუთრებული სპეციფიკურობით გამოირჩევა **ურბანული ტერიტორიების** ლანდშაფტის მართვა. აქ ყურადღება მახვილდება არაერთ ფაქტორზე, რომელთაგან მნიშვნელოვანია: განაშენიანების ფორმები და სიხშირე, ეკოლოგიური და რეკრეაციულ სივრცე, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის დემოგრაფიული და სოციალური ინტერესები, ლანდშაფტის ტრანსფორმაციის მასშტაბები, ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული რისკები. მისი ეფექტურობა დამოკიდებულია ექსპერტული შეფასების და ადმინისტრაციული მართვის საიმედოობაზე. (ლან.დაგეგმარება ნ.ელიზბარაშვილი;2009წ)

ლანდშაფტის მართვისას **არსებითი ყურადღება** ასევე მახვილდება იმ კანონმდებლობაზე, რითაც რეგულირდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება ან სხვადასხვაგვარი სივრცითი ურთიერთობები. მხოლოდ მისი გათვალისწინებითაა შესაძლებელი ადგილობრივი კონფლიქტების მინიმიზაცია და ლანდშაფტის მაქსიმალურად ოპტიმალური მართვა. ლანდშაფტის გამოყენების და მართვის რეგიონული (ევროპული) პოლიტიკის მიზნები გაწერილია ევროპის ლანდშაფტურ კონვენციაში. (ლან.დაგეგმარება ნ.ელიზბარაშვილი;2009წ)

როგორც წესი, ადგილობრივ მოსახლეობასთან მოლაპარაკების პროცესში ლანდშაფტის მართვის **რამდენიმე ვარიანტი** განიხილება. აქ წინა პლანზე გამოდის იმ ობიექტური კრიტერიუმების წარმოჩენის აუცილებლობა, რაც განაპირობებს

ადგილობრივი მოსახლეობის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მდგრადობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: 1. ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის შესაძლებლობას; 2. ბუნებრივ და საზოგადოებრივ პროცესებს, 3. სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკის ინტერესებს.

ლანდშაფტის მართვის სტრატეგიის შემუშავება **წარმატებულად ითვლება**, თუ იგი:

1. ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას,
2. განაპირობებს მათ მაქსიმალურ და მიზანმიმართულ ჩართულობას ლანდშაფტის მომსახურებაში,
3. ზრდის საინვესტიციო მიმზიდველობას,
4. ამცირებს ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მასშტაბებს,
5. ხელს უწყობს გადაწყვეტილებათა მიღების დეცენტრალიზაციას,
6. ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოკულტურულ თავისებურებებს,
7. იტოვებს შესაძლებლობას (მექანიზმებს) დროულად და ეფექტიანად გადაიხედოს ან შეიცვალოს სტრატეგიის სხვადასხვა მიმართულებები.

ლანდშაფტის მართვის **საყოველთაოდ მიღებული** მეთოდოლოგია დღემდე არ არსებობს, რადგან მას არ გააჩნია დიდი ხნის ისტორია. ამგვარ მეთოდოლოგიას საფუძვლები თანდათან ეყრება, რისთვისაც განსაკუთრებით აქტიურობენ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის სპეციალისტები (შვედეთი, გერმანია, შვეიცარია, ნორვეგია, ავსტრია, ფინეთი, ავსტრალია, იაპონია და სხვ.). გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს ლანდშაფტის გამოყენების და მართვის ტრადიციულ ფორმებს, რითაც განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და ევროპის ქვეყნები გამოირჩევა. ამჟამად სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია ლანდშაფტის მართვის თანამედროვე შედეგების შესახებ, რომლის გათავისებას არსებითი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი ევროინტეგრაციისთვის.

ლანდშაფტის მომსახურება

ლანდშაფტის მომსახურებაში იგულისხმება იმ ქმედებათა ერთობლიობა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ახორციელებს მისი ესთეტიკური ღირებულებების და ეროვნული მნიშვნელობის შენარჩუნების მიზნით.

ლანდშაფტის იერ-სახე მკაფიოდ მეტყველებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და ეკოლოგიურ კულტურაზე. დაბინძურებული და მოუვლელი, დეგრადირებული და დამორგუნველი ლანდშაფტი არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთა, არამედ საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად ითვლება.

სახელმწიფო ძირითადად ზრუნავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაშიც გზების, არხების, კავშირგაბმულობის, სოციალური და ეკოლოგიური ობიექტების მშენებლობის ხელშეწყობა და სტიმულირება იგულისხმება. მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია აქციოს ლანდშაფტი მიზიდველ და საინტერესო, ჯანსაღ და უსაფრთხო, დაცულ და სუფთა გარემოდ, რაც ასევე აისახება მათ ფსიქოლოგიურ განწყობასა და სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობაზე. ამ მიზნით, ევროპის ქვეყნების დასახლებულ პუნქტებში შენობების ფასადის, ბაღების, ეზოებისა და პარკების კეთილმოწყობას და მიზანმიმართულ რეგულირებას უდიდესი ყურადღება ექცევა.

ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში არაერთი ორგანიზაციაა დაკავებული იმით, რომ დახმარება გაუწიოს ადგილობრივ მოსახლეობას ლანდშაფტის მომსახურებაში. ამ მიზნით მუშავდება და ხორციელდება ე.წ. მწვანე გეგმა, რაც ლანდშაფტური დაგეგმარების და მომსახურების ნაწილია. მასში იგულისხმება მოცემული ტერიტორიის ლანდშაფტური არქიტექტურა და დიზაინი, გამწვანებული ან დეკორატიული საფარის განვითარება და აღდგენა, მათთვის სპეციალური ფორმების მიცემა, ბილიკების და გზების რეაბილიტაცია, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდა (სასუქების შეტანა), განათება, შემორაგვა, წყლის დრენაჟი, ირიგაცია და ა.შ. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის მხოლოდ ორ ქვეყანაში (აშშ, კანადა) ამგვარი საქმიანობით დაკავებულია 400 ათასამდე კომპანია, მათ მიერ მიღებული ყოველწლიური შემოსავალი კი 80 მლრდ დოლარს აღწევს.

თუმცა სპეციალისტების დახმარება ამით ამოიწურება და მთელ შემდგომ პასუხიმგებლობას ადგილობრივი მოსახლეობა იღებს საკუთარ თავზე. ლანდშაფტის მომსახურება ყოველდღიურ ფიზიკურ შრომას მოითხოვს, რითაც შესაძლებელი ხდება „მწვანე გარემოს“ შენარჩუნება. (ნ.ელიზბარაშვილი, გამოყენებითი გეოგრაფის საფუძვლები, 2016წ)

მომსახურების კლასიფიკაცია ადგილობრივ ლანდშაფტის დაგეგმვის მხარდასაჭერად

ლანდშაფტი, როგორც ევროპული ლანდშაფტის კონვენციის (ევროპის საბჭოს 2000) განსაზღვრულია ჰოლისტიკური, სივრცითი და მენტალური დინამიკური ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა ადგილურთიერთქმედების შედეგებს (Antrop 2000, Tress and Tress 2001, Antrop et al. 2012) . ჰოლისტიკური მიმოხილვა გულისხმობს ლანდშაფტის იერარქიულ ორგანიზაციას და ლანდშაფტის ელემენტებს შორის კონტაქტს და ურთიერთობას. მიწის განზომილება, მატერიალური და არამატერიალური, გულისხმობს, რომ ლანდშაფტი არა მხოლოდ გეოგრაფიული ერთეულისაა, რომელიც შედგება ეიფორიის, ბიოტიკური და ჰუმანური ელემენტებისგან, ეს ასევე ჩვენი აღქმული გარემოა. ამ აღქმის ასპექტის გათვალისწინება გულისხმობს ადამიანთა როლის განსხვავებულ კონცეფციას, რომელიც დაკავშირებულია თეორიულ ეკოლოგიურ მიდგომასთან შედარებით. ადამიანები არ არიან მხოლოდ ფაქტორი, რომელთა ქმედებებიც დადებითი ან უარყოფითი გავლენა ბუნებაზე, ისინი განიხილება ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილი. ეს ნიშნავს, რომ კუნძულები ბუნებრივი და ადამიანურ პროცესებს შორის ურთიერთქმედების შედეგია. ადამიანებმა გავლენა მოახდინეს ლანდშაფტების მთელ დროში, რათა მათ შეცვალონ მოთხოვნები და ამავდროულად, ლანდშაფტები გავლენას ახდენდნენ ადამიანებზე. ეს ლანდშაფტური კონცეფცია მთელ ადამიანის ეკოსისტემაზე (THE) კონცეფციაზეა განლაგებული, რომელიც აერთიანებს ბუნებრივ ეკოსისტემთან დაკავშირებულ დამატებით ინტეგრაციის დონეს, რომლებიც ადამიანის საერთო გარემოში ინტეგრირებულია (Naveh and Lieberman 1994, Naveh 2000).

შესაბამისად, ლანდშაფტის სერვისების კონცეპტუალური ლანდშაფტური დაგეგმარების გამოყენება ითვალისწინებს ეკოსისტემის მომსახურებასთან შედარებისას დამატებით საკითხებს. რაც შეეხება მომსახურების ტიპოლოგიას, ჩვენი ყურადღება გამახვილებულია, უნდა იყოს ბალანსი ადგილობრივ თემებში არსებული მატერიალურ და არამატერიალურ სარგებელს შორის; ბუნებასა და ბუნებრიობის ურთიერთქმედებისგან მიღებული კეთილგანწყობათა შორის; და ლანდშაფტის ჰორიზონტალურ ურთიერთობებს შორის. ლანდშაფტის მომსახურების კლასიფიკაციის მიზანია განვიხილოთ ლანდშაფტის ინტეგრირებული კონცეფცია და მისი გამოყენება ლანდშაფტის დაგეგმვაში. ჩვენი შემოთავაზებული კლასიფიკაცია landscape მომსახურება ადაპტირებულია საერთო

საერთაშორისო კლასიფიკაცია ეკოსისტემის მომსახურებაზე (CICES; Haines-Young and Potschin 2010) ლანდშაფტის სერვისის მნიშვნელობით და ასრულებს იმ ასპექტებს, ეკოსისტემის მომსახურების კლასიფიკაცია და საერთო საერთაშორისო კლასიფიკაცია ეკოსისტემის მომსახურებისათვის (CICES) Haines-Young და Potschin (2010) შეიმუშავა კლასიფიკაცია forES, ეკოსისტემის სერვისების საერთო კლასიფიკაცია (CICES), ძალიან ძვირფასი სამუშაო, რომელიც შეადგინა არსებულ ძირითად პირობებთან ერთად. CICES classification- ს აქვს მომსახურების სამი კატეგორია: (1) დებულება, (2) რეგულირება / შენარჩუნება და (3) კულტურული. ეს მომსახურება სამი ტიპის ფუნქციებს შორისაა: რესურსი, ჩაიძირა და მომსახურება. ძირითად პირობებთან დაკავშირებით განსხვავება ხდება "პროცესის" ფუნქციას, "სერვისს" და "სარგებელს" შორის. "ფუნქციები" განიხილება როგორც შუალედური კონცეფცია "პროცესები" და "სერვისები". ფუნქციები განისაზღვრება, როგორც ეკოსისტემის შესაძლებლობები ადამიანებისა და მომხმარებლებისათვის, ხოლო მომსახურების გაწევაზე დამოკიდებული იქნება ბენეფიციართა არსებობა. მომსახურება განისაზღვრება როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი წვლილი ადამიანის კეთილდღეობაზე, ხოლო სარგებელი ითვლება ეკოსისტემებისგან მიღებული კეთილდღეობის მიღწევები (Haines-Young and Potschin 2010). CICES კლასიფიკაციაში ინტეგრაციის მცდელობა ქმნის ლანდშაფტის სერვისის კონცეფციის გამოყენებას საინტერესოდ. თუმცა, აუცილებელია განიხილოს დამატებითი საკითხები თუ ლანდშაფტის სერვისების კონფიგურაცია უნდა იქნეს გამოყენებული ლანდშაფტდაგეგმარებასა და დიზაინში. პირველ რიგში, დარგის მომსახურების ფარგლებში, მხოლოდ ბუნებრივი რესურსების მიმწოდებლის ლანდშაფტის როლი შედის CICES- ში. ლანდშაფტის კონცეფცია, როგორც არნახული ან ადგილი, რომელიც ხელს უშლის ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა მითითება საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში ფუნქციონირებს: "რომელიც უზრუნველყოფს ყველა ცოცხალ არსებას, მათ შორის კაცობრიობას" (Haines-Young and Potschin 2010: 4). ასპექტი, ანუ ლანდშაფტი, როგორც ყოველდღიური საქმიანობის დეკორაციები, ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს გადამზიდავ ფუნქციებს დე გროტის (2006) მიერ განსაზღვრული გადამზიდავი ფუნქციების შესახებ, რომლებიც ეხებოდა ეკოსისტემების შესაძლებლობებს სივრცესა და შესაფერისი სუბსტრატის (ნიადაგის) ან საშუალო (წყლის, ჰაერი) ხელშეწყობა ადამიანის უფლებებისადმი, როგორცაა კულტივირება, საცხოვრებელი ან სატრანსპორტო და სივრცის უზრუნველყოფა, ანუ შესაბამისი საცხოვრებელი ფართობის უზრუნველყოფა (ანტროპი და სხვ.). ეკოლოგიურად სუფთა CICES- ის კლასიფიკაციით, მარეგულირებელი მომსახურება ფოკუსირებულია ეკოლოგიური პროცესების კონტროლის მიზნით, კერძოდ,

ვერტიკალურ ურთიერთობებში. მომსახურება ეფუძნება ურთიერთქმედებებს ეკოსისტემებში აბიოტურ და ბიოტური კომპონენტებს შორის. სავსე პირობებში მცენარეულობა გავლენას ახდენს წყლის ინფილტრაციის პროცესებზე, რაც, თავის მხრივ, წყლის დინების რეგულირების მომსახურებას განსაზღვრავს. თუმცა, ამ კონცეფციის გამოყენებისას ლანდშაფტების ორი დამატებითი მიმართულებაა: განიხილება ორივე perceptual andecological პროცესების რეგულაცია და ჰორიზონტალური ურთიერთობების ეკოსისტემების როლი ლანდშაფტის მასშტაბში, ორივე ტიპის პროცესების რეგულირებისას. (წყარო 17)


ეკოსისტემის მომსახურება და ადამიანური კეთილდღეობა, ლანდშაფტის სერვისის კონცეფცია, ეკოსისტემის მომსახურების მსგავსად, დაკავშირებულია ადამიანის კეთილდღეობასთან. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დამატებითი წინადადება ეკოლოგია და საზოგადოება, მოითხოვს მნიშვნელოვან ურთიერთობებს ეკოსისტემასა და ლანდშაფტების სტრუქტურებს შორის და ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილებას შორის. თუმცა, არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული განმარტება ადამიანის კეთილდღეობისთვის. სხვადასხვა დისციპლინაზე ყურადღება გამახვილებულია კეთილდღეობის, ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის შესწავლაზე, რომელიც ყველაზე მეტად აქტუალურია თეორიული და ემპირიული ცოდნით.

კულტურული მომსახურება და ადამიანური კეთილდღეობა, ადამიანთა კეთილდღეობის განზომილებებსა და კულტურულ მომსახურებას შორის, რომელიც განისაზღვრება წინა კლასიფიკაციითა და ინერგნიტური ფსიქოლოგიით. ყველა განხილული კლასიფიკაცია აჩვენებს კავშირებს ეკოსისტემებს შორის, როგორც სარგებლობასა და პირად შესრულებას შორის. პერსონალური შესრულების ზოგიერთი ასპექტის წვლილს ითვალისწინებს, როდესაც ეკოლოგიურ მეცნიერებად ითვლება ცოდნა, შთაგონება და სულიერი გამოცდილება. ტოპერსონალური შესრულება დაკავშირებულია მომსახურების, ისტორიულ, კულტურულ და ანტიესპტიკურ სოციალურ ღირებულებებთან (Brown 2004), რომელიც გვიჩვენებს როლს გარემოში, ხალხის ცხოვრების უფრო მეტად შესრულებას ანტინტელექტუალური, ტრანსცენდენტული ან მხატვრული თვალსაზრისით. სივრციალურობა ქმნის დამატებით წვლილს პერსონალურ შევსებასთან დაკავშირებით, როგორც ეს კვლევამ აჩვენა გარემოსდაცვითი ფსიქოლოგიის შესახებ. სივრცითი გარემო ასრულებს როლს, იძლევა ინფორმაციას და აკმაყოფილებს ადამიანის საჭიროებებს

მომსახურების გაწევა პროვაიდერული მომსახურება ზოგადად უკავშირდება ეკოსისტემების ფუნქციას ბუნებრივი რესურსების წყარობად. ისინი გვაწვდიან ფულს, წყალს და ენერჯიას, ჩვენი გადარჩენისთვის არსებითი ელემენტებით, რაც გვაძლევს საშუალებას ჩვენი ძირითადი მატერიალური მოთხოვნილებები დავაკმაყოფილოთ.. თუმცა, ლანდშაფტი ასევე ითვალისწინებს სხვა საჭიროებებს. ისინი არ არიან მხოლოდ ენდოგენური რესურსებით, მაგალითად, ნაყოფიერი ნიადაგით, ინფრასტრუქტურის, საცხოვრებლის ან სამრეწველო საქმიანობის შესახებ, რომლებიც საჭიროებს გარკვეულ სივრცეს მათ მხარდასაჭერად. ეს საქმიანობა ასევე ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობას. შესაბამისად, ისევე, როგორც ეკოსისტემები დააკმაყოფილებს ძირითად ადამიანურ მოთხოვნებს, როგორც ბუნებრივი რესურსების ასპექტს, ვივარაუდოთ, რომ ლანდშაფტები, როგორც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თეზისი, ასევე უზრუნველყოფს ადგილობრივი თემების ადგილს მათი ძირითადი ყოველდღიური საქმიანობის განვითარებისთვის. ეს საბაზისო სამუშაოები შეჯამებულია საცხოვრებლად, გადაადგილებასა და სამუშაოზე . ამ კლასში ჩართვა ხელს შეუწყობს მდგრადობის კრიტერიუმების შემუშავებას და დაგეგმვისა და დაგეგმილ ტერიტორიებზე, სადაც ადამიანები უმეტესწილად ხარჯავენ თავიანთ დროს. მომსახურების დანერგვა განსხვავდება სხვადასხვა მიწის გამოყენებისა და მწვანე ჰერმეტიკული ინფრასტრუქტურის ურთიერთქმედების შესახებ.

მარეგულირებელი და ტექნიკური მომსახურებები წარმოდგენილი კლასიფიკაციის, მარეგულირებელი და შენარჩუნების სფეროებში მოიცავდა, როგორც ეკოსისტემებს ,აკონტროლებდნენ ან შეცვლიდნენ ლანდშაფტის აღქმის ასპექტებებს.. დეგროტის (2006) მონაცემებით, რეგულირების მომსახურება ითვლება ყველა სხვა მომსახურებისთვის აუცილებელი პირობა. CICES კლასიფიკაციაში ჩართული სერვისების გარდა, ახალი კლასი, სივრცის სტრუქტურის რეგულირება დაემატა. შემოთავაზებულია სამი სერვისი: სივრცის კავშირი, ბუფერული შემამფოთებელი მიზნები და ადგილიდან სივრცის სირთულეების უზრუნველყოფა .(წყარო17)





სურათი 4.8

ლანდშაფტის მართვა, დაგეგმვა და მომსახურების სპეციფიკური საქმიანობები

დასკვნა

1. სოფელი ბოდბისხევის მდგრადი ეკოლოგიური განვითარებისათვის და ლანდშაფტური დაგეგმარებისათვის ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემებიდან გაკეთდა დასკვნა, საერთო ჯამში გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი პრობლემათა ჯგუფი, რომელთა განხორციელება სოფელ ბოდბისხევის ლანდშაფტურ გეგმას წარმოადგენს.

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვისათვის, საფრთხეების პრევენციისათვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება
- მყარი ნარჩენების მომსახურების უზრუნველყოფა - დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა;
- ღვარცოფული პროცესების პრევენცია.

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გასატარებელი ღონისძიებები:

- გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობა
- ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია
- დასასვენებელი და გასართობი ადგილების მოწყობა ბავშვებისთვის
- გარე განათების სრული რეაბილიტაცია
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია
- სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობისათვის შესაბამისი პირობების შექმნისათვის:

- აუცილებელია სანიაღვრე და საირიგაციო სისტემის მოწესრიგება.
- აუცილებელია შეღავათიანი მცირე სესხები ფერმერებისათვის.
- მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა გარემოს დაცვისა და მოფრთხილებისათვის.
- სოფლის მეურნეობის სექტორში დონორი ორგანიზაციების შესვლა

ტურიზმი

- ინფრასტრუქტურის განვითარება
- ტურიზმის სხვადასხვა სექტორის განვითარება.
- მოსახლეობისათვის სახელმწიფოს მიერ ხელის შეწყობა შესაბამისი სასტუმროების/გესტჰაუსების აშენება, რეკონსტრუქციისათვის.

ლანდშაფტური დაგეგმარების არსი და მეთოდოლოგია მოიცავს , ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარებას,რაც მოგეხსენებათ ევროპის წამყვანი ქვეყნები ითვალისწინებენ ლანდშაფტურ დაგეგმარების პრინციპებს და მკაფიოდ განსაზღვრავენ განვითარების დონეს.საქართველოც საერთაშორისო ფონზე განვითარებადი სახელმწიფოა, რომელსაც მკაფიოდ აქვს შემუშავებული გარემოს დაცვითი კანონმდებლობა , თუმცა მდგრადი ეკოლოგიურად ორიენტირებული ანუ ლანდშაფტური დაგეგმარების თეორიული და პრაქტიკული მონაცემები ახლად ისახება და ვითარდება, რაც მოგეხსენებთ საწინდარია ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ბალანსისთვის.

საყურადღებოა მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური დაგეგმარების არსი ,რომ მოიცავს გეგმარებითი ტერიტორიის დეტალიზაციას და მის შეფასებას, შენარჩუნებას და მდგრად განვითარებას. ნათელი მაგალითია ურბანილი და სასოფლო დაგეგმარების კატეგორიები, რაც თვალსაჩინოს ხდის იმ სპეციფიკას ,რაც თან ახლავს მსხვილმასშტაბიან ლანდშაფტურ დაგეგმარებას.შემუშავებული გეგმის რეალიზაცია გეგმარებითი ტერიტორიის ,თემის, სოფლის თუ ქალაქის ,რაც ბოლო პერიოდია აქტუალურია , წინაპირობა მდგრადი ეკოლოგიური განვითარებისათვის.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური დაგეგმარებისას საკვლევი ობიექტი ყოფილიყო სოფელი ,რაც მოგვცემს საშუალებას მის დეტალურად დაგეგმვაში.მოხდა სოფელი ბოდბისხევის დაგეგმარება , მისი ბუნებრივი გარემოს დახასიათება, მისი პოტენციალი, შეფასება და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრება,ხასიათი, ეკოლოგიური ცნობიერება, ასევე ვეცნობით სოფლის მნიშვნელოვან კულტურულ ფასეულობებს , რომელიც ქმნის სოფლის ისტორიას.სოფელში არსებობდა რიგი ეკოლოგიური პრობლემები,რაც მძიმე შედეგს იწვევდა და არა ესთეტიურ გარემოს ქმნიდა , საბედნიეროდ შემუშავდა პროექტები და მოხდა არსებული კონფლიქტების აღმოფხვრა.სოფლის დარგობრივ და ინტეგრირებულ მიზნებში წარმოდგენილია მისი არსებული პრობლემის შეფასება, აღმოფხვრის, მდგომარეობის გაუმჯობესების და განვითარების გეგმა, რაც მოგეხსენებთ წარმოადგენს სოფლის მდგრად ეკოლოგიურად ორიენტირებულ განვითარებას.

სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდის შემუშავების შედეგად დადგინდა სოფლის მოსახლეობის ფსიქო-ეკოლოგიური მახასათებლები, თუ რამდენად იყვნენ ინფორმირებულები სოფლის გარემოს კომპონენტების და მოვლენების

მიმართ, ასევე გარემოს რამდენად უფრო თხილდებოდნენ და აუმჯობესებდნენ თუ არა მის მდგომარეობას. სოციოლოგიურმა გამოკითხვამ მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი შედეგი დადასტოვა სოფელი ბოდბისხევის დაგეგმარებისას და შემოდგომა ვთქვა, რომ სოფელს ამჟამად მწვავე ეკოლოგიური პრობლემები არ აწუხებს, რაც მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად ორიენტირებული გარემოსათვის და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციისათვის. თუმცა გარკვეულმა ბუნებრივმა პრობლემებმა იჩინა თავი, რაც მოსახლეობის სოციალურ აქტოვობებისათვის ხელისშემშლელი აღმოჩნდა, კერძოდ სასმელი წყლის პრობლემა. ასევე საყურადღებოა ლანდშაფტის მართვის და მომსახურების პრობლემატიკები, ფაქტია რომ სოფლის თვითმართველობას არ აქვს მკაფიოდ შემუშავებული გეგმა რაც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას ბუნებრივი ლანდშაფტის კეთილმოწყობისათვის,

განაპირობებს მათ მაქსიმალურ და მიზანმიმართულ ჩართულობას ლანდშაფტის მომსახურებაში, განვითარებასა და გაუმჯობესებაში. ლანდშაფტის მომსახურებაში იგულისხმება იმ ქმედებათა ერთობლიობა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ახორციელებს მისი ესთეტიკური ღირებულებების და ეროვნული მნიშვნელობის შენარჩუნების მიზნით.

ამრიგად, სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესების და სოფელ ბოდბისხევის მოსახლეობის ჩართულობის, აგრეთვე არსებული რესურსების მართებულად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა ჯეროვანი სოციალურ-ეკონომიკური აღმასვლა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების მიღწევა, რაც მნიშვნელოვანია სოფელ ბოდბისხევის, და საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელიზბარაშვილი ნ. გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები, თბ., 2016,
2. ელიზბარაშვილი ნ. ლანდშაფტური დაგეგმარება: მეთოდოლოგია და გამოცდილება, თბ., 2009,
3. ვ. გოზალიშვილი „ბოდბისხეველები“ გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ. 1985
4. საქართველოს გეოგრაფია, ტ.3, თბ., 2004 გვ. 121-124.

5. შპს „ნაპირდაცვა „სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბისხევში არსებული ხევის ქალა -კალაპოტში ნაპირსამუშაოების პროექტი. თბ. 2014.
6. „ბოდბისხევის ტაძრები”გამომცემლობა ქართლიავტ.მარინა ჯალიაშვილი.2017
- 7.სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფლების ბოდბისა და ბოდბისხევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია გარემოსა და სოციალური ზემოქმედების და გარემოს დაცვის მართვის გეგმა
მსოფლიო ბანკი რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტითბილისი, 2015 წელი
- 8.ქალაქთგეგმარება და ურბანული განვითარება,ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა,2008
- 9.ქალაქთგეგმარება და ურბანული განვითარება, მთაწმინდის ზედა უნის რეკონსტრუქცია ,2008
- 10.ქალაქთგეგმარება და ურბანული განვითარება,ბორჯომის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობა, 2008
- 11.ქალაქთგეგმარება და ურბანული განვითარება, დაბა ბაკურიანისმიმდებარე ტერიტორიის მიწათსარგებლობის გეგმა,2008
- 12.ქალაქთგეგმარება და ურბანული განვითარება,ქურორტ აბასთუმანის ქალაქთმშენებლობითი დიკუმენტაცია,2007-2008
13. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა; რ. ჯ. ს. ბიტონი, და ა. ჯ. ჯ. ლინჩი 2012
14. signagi.gov.ge
- 15.<https://www.weforum.org/agenda/2016/04/what-is-green-infrastructure-and-how-do-we-include-it-in-urban-planning/>
- 16.https://en.wikipedia.org/wiki/Urban_planning
- 17[https://www.researchgate.net/publication/273918478 A Classification of Landscape Services to Support Local Landscape Planning](https://www.researchgate.net/publication/273918478_A_Classification_of_Landscape_Services_to_Support_Local_Landscape_Planning)
- 18.<http://www.paigelandscapes.com/services/commercial-landscape-maintenance-services/>
- 19.[https://en.wikipedia.org/wiki/rural planning](https://en.wikipedia.org/wiki/rural_planning)